

ჰიდროლოგია – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი შრომები
ტომი № 106

**GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
TRANSACTIONS OF THE INSTITUTE OF
HYDROMETEOROLOGY
VOL.Nº106**

**АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ
ТОМ № 106**



ჰიდროლოგიის პრობლემები

PROBLEMS OF HYDROLOGY

ПРОБЛЕМЫ ГИДРОЛОГИИ

თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ

2001

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები
ტომი № 106**

ჰიდროლოგიის პრობლემები

**GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
TRANSACTIONS OF THE INSTITUTE OF
HYDROMETEOROLOGY
VOL. №106**

PROBLEMS OF HYDROLOGY

**АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ
ТОМ № 106**

ПРОБЛЕМЫ ГИДРОЛОГИИ

თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ

2001

მთავარი რედაქტორი Editor in Chief	ნოდარ ბეგალიშვილი N.Begalishvili Бегалишвили Н.А.
სარედაქციო კოლეგია	ად.არველაძე, ბ.ბერიაშვილი (რედაქტორის მოადგილი), გ.გაჩეჩილაძე, გ.გუნია, გ.გრიგორია, გ.ელიზბარაშვილი, დ.კერეჟელიძე (რედაქტორის მოადგილი), გ.მელაძე, ბ.მიქაშვილი, რ. სამუკაშვილი, ვ.ცომაია, თ.ცინცაძე (პასუხ.მდგივანი)
სარედაქციო საბჭო	ნ.ბუაჩიძე ი.გელაძე დ.დემეტრაშვილი, ჯ.ვაჩნაძე, ლ.ინკირველი, გ.კუჩავა, გ.რობიტაშვილი, გ.ხიკვაძე, ი.მილაძე, ლ.ალდანი, გ.ხერხეულიძე.
Editorial Board	G.Arveladze, B.Beritashvili (Deputy Ed.inChief), G.Gachechiladze, G.Gunia, G.Grigolia, E.Elizbarashvili, D.Kereselidze (Deputy Ed.inChief), G.Meladze, B.Mikashavidze, R. Samukashvili, V.Tsomaia, T.Tsintsadze (Executive secretary)
Editorial Council	N.Buachidze, J.Vachnadze, I.Geladze, D.Demetrashvili, L.Inckirveli, G.Kuchava, G.Chikvaidze, I.Chogovadze, G.Robitashvili, L.Kaldani, G.Kherkheulidze
Редакционная коллегия	Арвеладзе Г.А., Бериташвили Б.Ш. (зам.гл. редактора), Гачечиладзе Г.А., Григолия Г.Л., Гуниа Г.С., Кереселидзе (зам.гл. редактора), Д.Н., Меладзе Г.Г., Микашавидзе Б.А.Самукашвили Р.А., Цомая В.Ш., Цинцадзе Т.Н. (отв. секретарь), Элизбарашивили Э.Ш.
Редакционный совет	Буачидзе Н.С., Вачнадзе Д.И., Геладзе И.М., Деметрашивили Д.Л., Инцирвели Л.И., Калдани Л.А., Кучава Г.Л., Робиташвили Г.А., Чикваидзе Г.Д., Чоговадзе И.В., Херхеулидзе Г.И.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. პიდონოგეტეოროლოგიის
ინსტიტუტი. 0112 თბილისი 12, დავით აღმაშენებლის გამზირი 150^o,

Email: nb@gw.acnet.ge

Georgian Academy of Sciences. Institute of Hydrometeorology.

150^a David Agmashenebeli ave., Tbilisi, 0112, Georgia,

Академия наук Грузии. Институт гидрометеорологии

0112, Тбилиси 12, пр.Д. Агмашенебели 150^a.

SSN 1512-0902

© პიდონოგეტეოროლოგიის ინსტიტუტი
Institute of Hydrometeorology

Институт гидрометеорологии

2001

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა წინამდებარე კრებული ეძღვნება აკადემიკოს გივი სვანიძის ხსოვნას. კრებულში მოთავსებულია პიდროლოგიის დარგში მისი ხელმძღვანელობით ბოლო წლებში ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგები.

კერძოდ, დახასიათებულია საქართველოს წყლის რესურსების ძირითადი წყაროების რაოდენობრივი მახასიათებლები, მათი განაწილების თავისებურებაზე, გამოვლენილია წყლის რესურსების მგრძნობიარობა კლიმატის ცვლილების მიმართ. განხილულია არსებული და პერსპექტიული ირიგაციული წყალსაცავებით მდინარეთა ჩამონადენის რეგულირების შესაძლებლობები მელიორაციული სამუშაოებისათვის. დამუშავებულია მდინარეთა ჩამონადენის გაუმჯობესებული საპროგნოზო მეთოდიკა სტატისტიკური მონაცემების რიგის გაზრდით. საქართველოს პირობებში განსაზღვრულია ორვლისა და ფირნის ხაზების მდებარეობა და დინამიკა აეროლოგიური მონაცემებისა და დაკვირვებათა მასალების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. გაანგარიშებულია ანთროპოგნური ფაქტორების გავლენა წყლის მაქსიმალური ხარჯის სიდიდეზე. სამეცნიერო თეორიის მეთოდების გამოყენებით განსაზღვრულია წაყლსაცავების წყლის ქიმიური შემადგენლობისა და თვისებების რაოდენობრივი მახასიათებლები. მეტეოროლოგიური ველების ობიექტები წარმოდგენის და განაწილებული პარამეტრების გამოყენების საფუძველზე დამუშავებულია ჩამონადენის ფორმირების რიცხვითი მოდელი. გამოთვლილია მყარი და თხევადი ჩამონადენი საქართველოს ძირითადი მდინარეებისათვის. სხვადასხვა ინფორმაციული მონაცემების გამოყენებით დადგენილია ზევსშემკრებების გავრცელების ხილშირე. გაანალიზებულია ადგილის სიმაღლის და ჰაერის ტემპერატურის მიმართ მდინარის აუზში შიდატემპერატურის კოეფიციენტის ცვლილების კანონზომიერება. მოცემულია “მსოფლიოს თოვლ რესურსების აღლასში” შესული ქართველ მკვლევართა მიერ შედგენილი გლაციოლოგიური რეკების ანალიზი.

კრებული განკუთვნილი ხმელეთის პიდროლოგიის დარგის სპეციალისტებისათვის.

The presented volume of Transactions of the Institute of Hydrometeorology of the Georgian Academy of Sciences is dedicated to the memory of late Academician Givi Svanidze. The volume contains the results of investigations in the field of Hydrology, carried out in recent years under his leadership.

In particular, the quantitative features of basic sources of water resources in Georgia are described along with peculiarities of their distribution. The sensitivity of water resources to climate change is assessed. The possibilities of river runoff regulation using present and prospective water reservoirs to carry out irrigation

works are discussed. The improved methodology for river runoff forecast is elaborated using prolonged observation series. The disposition of snow and firn lines for the conditions of Georgia and their dynamics are determined on the basis of statistical analysis of air sounding and field observation results. The impact of anthropogenic factors on the value of maximum water discharge is calculated. Applying the theory of reliability the quantitative features of chemical composition and properties of water in reservoirs are defined. On the basis of objective representation of meteorological fields and distribution of parameters, the numerical model of runoff formation is worked out. The solid and liquid discharge is calculated for the main rivers of Georgia. Using different information sources the frequency of snow avalanche catchments spreading is determined. The regularity of the variation of internal moisture circulation factor in the river basin is analyzed in relation to the height of locality and air temperature. The analysis is given of glaciological maps, drown by Georgian scientists and placed in the “World Atlas of Snow and Ice Resources”.

The volume is intended for experts and specialists working in the field of Land Hydrology.

Настоящий Сборник трудов Института гидрометеорологии Академии наук Грузии посвящен памяти академика Гиви Гедеоновича Сванидзе. В сборнике помещены результаты исследований в области гидрологии, проведенные в последние годы под его руководством.

В частности, охарактеризованы количественные показатели основных источников водных ресурсов Грузии, особенности их распределения, проведена оценка чувствительность водных ресурсов по отношению к изменению климата. Рассмотрены возможности регулирования стока рек существующими и перспективными ирригационными водохранилищами для проведения мелиоративных работ. Разработана улучшенная методика прогноза стока рек с увеличением ряда статистических данных. В условиях Грузии определены расположения снежной и фирновой линий и их динамика на основе статистического анализа аэрологических данных и материалов полевых наблюдений. Рассчитано влияние антропогенного фактора на величину максимального расхода воды. С применением теории надежности определены количественные характеристики химического состава и свойств воды в водохранилищах. На основе применения объективного представления метеорологических полей и распределенных параметров разработана численная модель формирования стока. Рассчитан твердый и жидкий сток для основных рек Грузии. С использованием различных информационных источников установлена частота распространения лавиносборов. Выполнен анализ закономерности изменения коэффициента внутреннего влагооборота в бассейне реки по отношению к высоте местности и температуре воздуха. Дан анализ гляциологических карт, составленных грузинскими исследователями, которые вошли в «Мировой атлас снежноледовых ресурсов».

Сборник предназначен для специалистов, работающих в области гидрологии сушки.

კრებული ეძღვნება აკადემიკოს
გივი სვანიძის ხსოვნას

The volume is dedicated to the memory of
Academician Givi Svanidze

Сборник посвящен памяти академика
Гиви Гедеоновича Сванидзе



აკადემიკოსი ბიზო სვანიძე

შრომათა კრებული ეძღვნება გამოქვიდი მეცნიერის, სტოქასტური პიდროლოგიის ერთერთი ფუძემდებლისა და საქართველოში მისი დამაარსებლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტის, თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდროლებროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის, ხალხთა მეგობრობის და დირსების ორდენების კავალერის გივი სვანიძის ხსოვნას.

ბატონმა გივიმ დაძაბული შრომითა და ბრწყინვალე გამარჯვებულით აღსავს ცხოვრების გზა განვლო. თავისი დიდი ნიჭის, სამაგალითო შრომისმოვარეობისა და საოცარი ჰუმანურობის წაყლობით ყველგან, სადაც კი უხდებოდა მოღვაწეობა, მან დატოვა დაუკიწყარი და ნათელი სახელი.

გივი სვანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად განისაზღვრებოდა პიდროლოგიის, პიდროლებრეგეტიკისა და პიდროლექნიკის პრობლემებით. გ.სვანიძე ავტორია 270 დაბეჭდილი სამეცნიერო შრომისა, მათ შორის 15 მონოგრაფიისა, რომლებიც ეხება მდინარეების ჩამონადენის რეგულირების ამოცანებს. წინამდებარე კრებულში შესულია გ.სვანიძის ბოლო სტატიები.

გ.სვანიძე 1971–1998 წლებში ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პიდროლოგიის კათედრას, ხოლო 1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – მეცნიერებათა აკადემიის პიდროლებროლოგიის ინსტიტუტს. მან დიდი როლი შეასრულა საქართველოში ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოთა განვითარებაში. ბოლო წლებში გ.სვანიძე აქტიურად მონაწილეობდა კლიმატის ცვლილების პრობლემასთან დაკავშირებულ სამუშაოებში. მისი თაოსნობით შესრულდა საქართველოს ეროვნული მოხსენების ნაწილი, მიძღვნილი წელის რესურსების სამომავლო მდგომარეობის შესწავლისადმი. ამ წლებში ის იყო აგრეთვე იუნესკოსთან არსებული საქართველოს პიდროლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი და მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მრჩეველი პიდროლოგიაში.

გ.სვანიძის ხელმძღვანელობითა და კონსულტანტობით დაცულია 40ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პირველი ვიცეპრეზიდენტი, აშშ+ს და პოლონეთის გეოფიზიკურ საზოგადოებათა წევრი. დიდი მეცნიერის, სამაგალითო კოლეგისა და ბრწყინვალე ადამიანის – აკადემიკოს გივი სვანიძის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიაში.

Academician Givi Svanidze

The offered volume of Transactions is dedicated to the memory of outstanding scientist, one of the pioneers of stochastic Hydrology and its founder in Georgia, Academician of the Georgian Academy of Sciences and Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Professor at the Tbilisi State University, Director of the Institute of Hydrometeorology of the Georgian Academy of Sciences, the Honored Scientist, holder of the orders of Peoples Friendship and Honor, the late Givi Svanidze.

Academician Givi Svanidze has passed the life full of hard work and magnificent victories. Due to his great talent, exemplary diligence and astonishing humanism he left unforgettable and bright memory everywhere, where he performed his activities.

The scientific activity of Givi Svanidze mainly was concentrated on the problems of Hydrology, Hydroenergetics and Hydraulic engineering. He is the author of 270 published scientific works, among them of 15 monographs, which deal with the problems of river runoff regulation. The offered volume contains latest papers by G.Svanidze.

In the 19711998 G.Svanidze chaired the Hydrology Department at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University and since 1976 up to end of his life he was the Director of the Institute of Hydrometeorology. He made a great contribution to the development of precipitation enhancement activities in Georgia. In the last year G.Svanidze actively participated in the works, carried out on the Climate Change problem. Under his guidance the part of Georgia's Initial National Communication under the UN Framework Convention on Climate Change has been prepared, devoted to the assessment of vulnerability and adaptation of water resources. At this period he also performed the duties of the President of Georgian Hydrological Association and of the Advisor on Hydrology to the Permanent Representative of Georgia to the World Meteorological Organization.

Under the guidance and consultations of G.Svanidze more than 40 theses of Masters and Doctors of Science have been defended. He was the First VicePresident of the Georgian Geographic Society and the Member of Geophysical Societies of the USA and Poland.

The memory of Givi Svanidze – great scientist, exemplary colleague and eminent person will remain forever in the history of Georgian science.

Академик Гиви Гедеонович Сванидзе

Предлагаемый сборник Трудов посвящен памяти выдающегося ученого, одного из основоположников стохастической гидрологии и ее основателя в Грузии, академика АН Грузии и членакорреспондента Российской Академии наук, профессора Тбилисского государственного университета, директора Института гидрометеорологии АН Грузии, Заслуженного деятеля науки, кавалера орденов «Дружбы народов» и «Чести» Гиви Гедеоновича Сванидзе.

Г.Г.Сванидзе прошел жизненный путь полный напряженного труда и блестящих побед. Благодаря своему огромному таланту, примерному трудолюбию и удивительному гуманизму везде где только ему приходилось работать он оставил незабываемые и светлые воспоминания.

Научная деятельность Г.Г.Сванидзе в основном определялась проблемами гидрологии, гидроэнергетики и гидротехники. Он является автором 270 опубликованных научных работ, в том числе 15 монографий, касающихся задач регулирования речного стока. В настоящий сборник включены последние статьи Г.Г.Сванидзе.

В 19711998 годах Г.Г.Сванидзе руководил кафедрой гидрологии Тбилисского государственного университета им. Ив.Джавахишвили, а с 1976 года до конца своей жизни –Институтом гидрометеорологии АН Грузии. Он сыграл большую роль в развитии работ по искусенному увеличению осадков в Грузии. В последние годы Г.Г.Сванидзе активно участвовал в работах, связанных с проблемой изменения климата. Под его руководством была выполнена часть Первого Национального Сообщения Грузии по Рамочная конвенции ООН по изменению климата, посвященная оценке уязвимости и адаптации водных ресурсов относительно ожидаемого изменения климата. В эти годы Г.Г.Сванидзе выполнял также обязанности Президента Гидрологической ассоциации Грузии и советника по гидрологии постоянного представителя Грузии при Всемирной Метеорологической Организации.

Под руководством и консультативном Г.Г.Сванидзе защищено более 40 кандидатских и докторских диссертаций. Он был первым вице-президентом Географического Общества Грузии, членом Геофизического общества США и Польши.

Имя академика Гиви Сванидзе – крупного ученого, примерного коллеги и блестящего человека навеки останется в истории грузинской науки.

უაკ 626.812

გ.სვანიძე, გ.ცომაია, რ.მესხია

საქართველოს ტყელის რესურსების მოწყვლადობა და
ადაკტაციის ღონისძიებები

საქართველოს ტერიტორიაზე წყლის რესურსების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ მდინარეები, გრუნტის წყლები, მყინვარები, ჭაობები, ტბები და წყალსაცავები. მათ შორის მნიშვნელოვანია პირველი სამი სახის წყლის ობიექტი, რომლებიც განსაზღვრავენ წყლის რესურსებთან დაკავშირებულ კველა მოვლენას, პროცესს, მათ მსვლელობასა და გავლენას გარემოზე.

წყლის ობიექტებს შორის წამყვანი ადგილი უკავია მდინარეებს, რომლითაც მდიდარია საქართველო, აქ აღრიცხულია 26 ათასი მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე შეადგენს 60 ათას კმს, ხოლო მდინარეთა ქსელის საშუალო სიმჭიდროვე 0.85 კმ/კმ^2 . ამით იგი თითქმის 3ჯერ უსწრებს მეზობელ აზერბაიჯანს, და საერთოდ, ყოფილ საბჭოთა კავშირს. მდინარეთა პიდროგრაფიული ქსელი არათანაბრადაა განაწილებული საქართველოს ტერიტორიაზე. დასავლეთ საქართველოში ირიცხება 18100 მდინარე, საერთო სიგრძით 35 ათასი კმ, რაც შეადგენს საერთო რაოდენობისა და სიგრძის 69 და 58%ს შესაბამისად. იგი ასევე გამოირჩევა მდინარეთა ქსელის დიდი სიმჭიდროვით 1.07 კმ/კმ^2 . აღმოსავლეთ საქართველოში მდინარეთა ქსელი შედგება თითქმის 8 ათასი (31%) მდინარისაგან, რომელთა საერთო სიგრძე 25 ათას კმს (41%) შეადგენს, ქსელის სიმჭიდროვე 0.68 კმ/კმ^2 .

მდინარეთა ქსელის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ სრულიად პატარა და ძალიან პატარა კლასის მდინარეები, რომელთა სიგრძე <10 კმზე. მათ წილზე მოდის 25 ათასი (97%) მდინარე, საერთო სიგრძით 43 ათასი კმ (72%). ასევე ბევრია პატარა კლასის მდინარე, რომელთა სიგრძე 10100 კმს შეადგენს. მათ წილზე მოდის 690 (2.6%) მდინარე, საერთო სიგრძით 13 ათასი კმ (22%). ძალიან უმნიშვნელოა საშუალო კლასის მდინარეთა რაოდენობა, რომელთა სიგრძე შეადგენს 101500 კმს. ასეთი მდინარე სულ 140ა (0.027%). ისინი გამოირჩევიან შენაკადების დიდი რაოდენობით. პირველ ადგილზეა მდ. მტკვარი, რომლის აუზში ირიცხება 6434 (24.7%) მდინარე, საერთო სიგრძით 13656 კმ (22.9%). მდინარეები, რომელთა ქსელი შედგება 10003000 შენაკადისაგან, ნია: ყვირილა (3320 მდინარე, 6112 კმ საერთო სიგრძით), ქციახრამი (2260 მდინარე და 6717 კმ), ალაზანი (1796 მდინარე და

6845 კმ², აჭარისწყალი (1511 მდინარე და 2115 კმ), ხობისწყალი (1038 მდინარე და 1635 კმ), კოდორი (1307 მდინარე და 2121 კმ).

მდინარეთა ქსელის სიმჭიდროვეს ახასიათებს ვერტიკალური განაწილება იგი ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება, აღწევს მაქსიმუმს მთების საშუალო სიმაღლეზე, შემდეგ კი სათავეებისაკენ მცირდება. ასეთივე ხასიათს ატარებს მდინარეების განაწილება კატეგორიების მიხედვით, რომელთა რაოდენობა იზრდება მდინარეების სიგრძისა და წყალშემკრები აუზის ფართობის ზრდასთან ერთად. მათი განაწილებისათვის დამახასიათებელია მდინარეების რაოდენობისა და სიგრძეების ზრდა დაბალი კატეგორიიდან მაღალი კატეგორიისაკენ.

მდინარეები განირჩევიან წყალშემკრები აუზის ფართობებით; იგი დიდ გავლენას ახდენს მდინარის წყლიანობაზე და ფართო გამოყენება აქვს პიდროლოგიურ და პიდროგრაფიულ გაანგარიშებებში. მდ. მტკვრის აუზი 188000 კმ² (საქართველოს ფარგლებში 19050 კმ²), ჭოროხი 22100 კმ² (საქართველოს ფარგლებში 1600 კმ²), რიონი 13400 კმ², ალაზანი 10800 კმ² (საქართველოს ფარგლებში 5943 კმ²), ქვიახრამი 8340 კმ² (საქართველოს ფარგლებში 4600 კმ²), იორი 4650 კმ² (საქართველოს ფარგლებში 4190 კმ²), ენგური 4060 კმ² და სხვ. საერთოდ ჭარბობები მდინარეები, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი <500 კმ², მათ წილზე მოდის მდინარეების საერთო რაოდენობის 99.8%.

მდინარეების პიდროგრაფიული ქსელის პარამეტრები იცვლება არა მარტო ტერიტორიის მიხედვით, არამედ დროის მიხედვითაც, როგორც ანთროპოგრაფიური, ასევე ბუნებრივი ფაქტორების გავლენით. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სარწყავი არხების რაოდენობა და მშენებლობა. დღისათვის გვაქვს თანამედროვე პიდროგექნიკური ნაგებობებით აღჭურვილი სარწყავი სისტემები: ტაშისკარის, ტირიფონის, სკრაგრაკალის, ტეზიოკამის, მუხრანის, მისაქციულის, სამგორის, ალაზნისა და სხვა. მათი სარწყავი არხების საერთო სიგრძემ 18 ათას კმმდე მიაღწია, რის შედეგად სარწყავ ფართობზე ქსელის სიმჭიდროვე გაიზარდა 3.5 კმ/კმ²დღე, რაც 610ჯერ მეტია ვიდრე ბუნებრივი ქსელის სიმჭიდროვე. მაგრამ, არის რაიონები, სადაც ადგილი აქვს მდინარეთა ქსელის პარამეტრების ზრდას ან შემცირებას, რომელიც პერიოდულ ხასიათს ატარებს. ამით გამოირჩევა მაღალმთიანი რაიონი, სადაც ადგილი აქვს გამყინვარებას. ვიურმის გამყინვარების დროს მდინარეთა ქსელის სიმჭიდროვე 3ჯერ ნაკლები იყო თანამედროვე მდინარეთა ქსელის სიმჭიდროვეზე. ამრიგად, გამყინვარების გავრცელების ზონაში მდინარეთა ქსელის სიმჭიდროვე მცირდება გამყინვარების გაძლიერებასთან ერთად და პირიქით.

საქართველოს წყლის რესურსებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე გამყინვარებას, რომელიც წარმოადგენს პლისტოცენის რიგით მესამე ვიურმის გამყინვარების ნაშთს. იგი დაიწყო 24000 წლის წინათ და თავისი განვითარების მაქსიმალურ სტადიაში, რასაც 2000 წელი დასჭირდა, ეკავა 1617 ათასი კმ^2 ფართობი, რაც შეადგენდა კავკასიონის მთლიანი გამყინვარების 35%ს. მაშინ მყინვარები ეშვებოდნენ ძალიან დაბლა 8001000 მეტრამდე ზღვის დონიდან, ზოგიერთი მყინვარის სიგრძე 6070 კმს აღწევდა. მდ. ენგურის აუზი სოფ. ხაიშამდე თითქმის დაკავებული იყო მყინვარებით, რომელთაც ეკავათ დასხლოებით 2700 კმ^2 ფართობი. 1213 ათასი წლის წინ დაიწყო მყინვარების დეგრადაცია და ჩენი წლელთაღრიცხვის XIII საუკუნისათვის მათი ფართობი ძლიერ შემცირდა. XIVXVII საუკუნეების ძლიერ ნალექიანობასა და ჰაერის დაბალ ტემპერატურას მოჰყვა მყინვარების გაძლიერება (მცირე გამყინვარება), რომელმაც მაქსიმალურ განვითარებას მიაღწია გასული საუკუნის 50იან წლებში (ფერნაუს სტადია). მაშინ მყინვარების საერთო ფართობი გაიზარდა 40%-ით XIII საუკუნის ფართობთან შედარებით. მომდევნო წლებში ისევ დაიწყო მყინვარების დეგრადაცია. მათი ფართობი შემცირდა 511 კმ^2 -მდე, რაც შეადგენს კავკასიონის გამყინვარების 36%ს და 17%-ით ნაკლებია 1891 წლის გამყინვარების ფართობზე. მაგრამ მყინვარების დეგრადაცია ბოლო 150 წლის განმავლობაში არ იყო უწყვეტის: ცალკეულ წლებში (სულ 67ჯერ) ადგილი ჰქონდა მყინვარების გააქტიურებას. შედარებით ძლიერი იყო ჩენი საუკუნის 6070 წლების მცირე აცივების პერიოდი, რომელიც გამოწვეული იყო 19551965 წლების (5 წლის) ძლიერი ნალექიანობით, რასაც მოჰყვა მყინვარების გააქტიურება, წინსვლა 30120 მმდე. მას შემდეგ, ისევე, როგორც გლობალური მასშტაბით, აქაც დაიწყო მყინვარების დეგრადაცია, რომელიც დღემდე გრძელდება.

თანამედროვე გამყინვარებით მდიდარია კავკასიონის ქედი; აქ გამოირჩევა მდ. ენგურის აუზი, სადაც მყინვარებს უკავიათ 288 კმ^2 ფართობი, რომელშიც დაგროვილია 22.5 კმ^3 წყალი, რაც შეადგენს საქართველოს მთელი გამყინვარების ფართობისა და მოცულობის 56 და 75%ს შესაბამისად. შემდეგ მოდის მდ. თერგი (ყაზბეგის რაიონში) 68 კმ^2 (13%) და 3.34 კმ^3 (11%), მდ. რიონი 63 კმ^2 (12%) და 2.2 კმ^3 (7%), მდ. კოდორი 60 კმ^2 (11%) და 1.6 კმ^3 (5%); მყინვარები აგრეთვე გავრცელებულია მდინარეების ბზიფის (7.8 კმ^2 და 0.19 კმ^3), კელასურის (1.5 კმ^2 და 0.03 კმ^3), ხობის (1.6 კმ^2 და 0.04 კმ^3), დიდი ლიახვის (6.6 კმ^2 და 0.13 კმ^3), არაგვის (1.6 კმ^2 და 0.03 კმ^3) აუზებში.

მყინვარების რეჟიმი აშეარად უკავშირდება ნალექებს და ჰაერის ტემპერატურას. ფირნის ხაზის საშუალო სიმაღლის 3400 მის შემთხვევაში, ჰაერის ტემპერატურის 1%-ით მატებისას ფირნის ხაზი აი-

წევს 160 მეტრით, ჩამონადენის ფენის სიმაღლე გაიზრდება 500550 მმით; ჰაერის ტემპერატურის 2⁰ჩით აწევის შემთხვევაში, რაც სავარაუდოა მყინვარების სუსტი გავრცელების რაიონებში, ფირნის ხაზი აიწევს 320 მეტრით და ბევრი მყინვარი აღმოჩნდება საზრდოობის (ფირნის) ველის გარეშე, რაც მყინვარების სრულ გაქრობას გამოიწვევს, როგორც ამას ადგილი აქვს დღეს გამყინვარების აღმოსავლეთ და დაბლაძებარე რაიონებში. მყინვარების დნობის შედეგად მდინარეები იღებენ დამატებით 1.5 კმ³ ნაღნობ წყალს, ზოგიერთი მდინარე კი 0.86 კმ³ (მდ. ენგური), ე.ო. თითქმის იმდენს, რამდენიც ჯვრის წყალსაცავში. გარდა ამისა, მყინვარები წარმოადგენენ სხვადასხვა სახის რეკრეციული მეურნეობის, ეროვნული მყინვარული პარკების შექმნის საფუძველს, აღგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის წყაროს. ამიტომ, მყინვარები უნდა შენარჩუნებულ იქნეს ადაპტაციის საჭირო ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე.

ჭაობები, დაჭაობებული ადგილები, დაჭაობებული წყალსატევები წარმოადგენენ ჭარბი ტენის დაგროვების აღგილებს. საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 87 ჭაობი და დაჭაობებული ადგილი, რომელთა საერთო ფართობი 1081 კმ²ს შეადგენს. 10 კმ²მდე ფართობის მქონე ჭაობი და დაჭაობებული ადგილები 390ა 232 კმ² საერთო ფართობით. გაცილებით ნაკლებია რაოდგნობის მხრივ დიდი ჭაობები და დაჭაობებული ადგილები, რომელთა ფართობები 10 კმ²ზე მეტია ასეთი სულ 110ა (12%), მაგრამ ძლიერ განვითარებულ ერთეულებს წარმოადგენენ, მათ უკავიათ თითქმის 600 კმ² ფართობი, რაც მთელი ფართობის 55%ს შეადგენს. 100 მეტრ სიმაღლემდე გავრცელებული ჭაობები დამახსიათებელია დასავლეთ საქართველოსათვის. ეს არის კარგად ცნობილი კოდნების დაბლობის ჭაობები და დაჭაობებული ადგილები, სადაც აღრიცხულია 17 (20%) ჭაობი 634 კმ² (59%) საერთო ფართობით.

ჭაობებისა და დაჭაობებული ადგილების გამოყენებას ყურადღება ექცევა ბოლო ათწლეულებში. გატარებულ იქნა დაშრობის მთელი რიგი ღონისძიება. ამ ზონაში მოქეცა კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილისა და სხვა 1000 მეტრ სიმაღლემდე მდებარე ჭაობებისა და დაჭაობებული ადგილების დაშრობა; მიმდინარეობს მათი მოწების საცხოვრებელ მასივებად და სავარგულებად გამოყენება. საჭიროა დადგინდეს ჭაობების წყლის ბალანსი, წყლისა და სითბოს ურთიერთეკვშირის რეჟიმის რაოდგნობრივი დახასიათება და სხვ. ამისათვის საჭიროა ზოგიერთი საინტერესო ჭაობის ეროვნულ ნაკრძალად გამოცხადება და სათანადო ადაპტაციის ღონისძიებათა განხორციელება.

ტბებსა და წყალსაცავებს უკავიათ შესაბამისად 170 და 163 კმ² ფართობი, რომელებიც წარმოდგენილია ასევე შესაბამისად 856 და 44

პიდოლოგია – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

ერთულისაგან. მათში დაგროვილია შესაბამისად 0.72 და 3.32 კმ³ წყალი.

საქართველოს წყლის ჯამური რესურსები 100 კმ³ს აღწევს. აქედან, მდინარეების წილად მოდის 65 კმ³, მყინვარების 30 კმ³, ტბების 0.72 კმ³, წყალსაცავების 3.32 კმ³, ჭაობების 1.9 კმ³ მოცულობის წყალი. მათ შორის დაახლოებით 35 კმ³ მოცულობის წყალი, რომელიც თავმოყრილია მყინვარებში, ტბებში, წყალსაცავებსა და ჭაობებში, წყლის საუკუნოვან მარაგს წარმოადგენს და წყლის წრებრუნვაში ნაკლებ მონაცილეობას იდებს (ნახ. 1). 65 კმ³ მოცულობის მდინარის ჩამონადენიდან 56.5 კმ³ ფორმირდება საქართველოს ტერიტორიაზე, რაც მთელი ჩამონადენის 86%ს შეადგენს. დანარჩენი 8.74 კმ³ (14%) შემოდის მის გარეთ მდებარე ტერიტორიებიდან (სომხეთიდან და თურქეთიდან). საქართველოს ტერიტორიაზე წყლის ეს რესურსები არათანაბრადაა განაწილებული, რაც კარგად ჩანს ცხრ. 1დან.

რეგიონებში ჩამონადენი კიდევ უფრო არათანაბრადაა განაწილებული. მის ნათელ სურათს იძლევა ჩამონადენის განაწილება აღმინის-ტრაციული რაიონების მიხედვით. დიდი ჩამონადენით (3.0 კმ³ და მეტი) გამოირჩევიან გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის და ოჩამჩირის რაიონები. ასევე შედარებით დიდი (152.0 კმ³) ჩამონადენით გამოირჩევიან ისევ დასავლეთ საქართველოს სხვა აღმინისტრაციული რაიონები. ჩამონადენი 1.015 კმ³ გრადაციის ფარგლებში მოიცავს დასავლეთ და ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს. აღმოსავლეთ საქართველოში ამით გამოირჩევა ყაზბეგის, ჯავისა და დუშეთის რაიონები. განსაკუთრებით დაბალი ჩამონადენი (0.10.2 კმ³ ნაკლები) გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში. დანარჩენ რაიონებში ეს ჩამონადენი მერყეობს 0.21.0 კმ³ ფარგლებში.

ცხრილი 1 წყლის რესურსების განაწილება რეგიონების მიხედვით
1980 წლის დონეზე (ჩამონადენი კმ³ში)

რეგიონი	აგილობრივი	მეზობელი ქვეყნიდან შემოსული	ჯამი
დასავლეთ საქართველო	43.8	6.62	50.4
აღმოსავლეთ საქართველო	12.7	2.12	14.8
საქართველო	56.5	8.74	65.2



განახლებადი წყლის რესურსები დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში ენერგეტიკაში, მრეწველობაში, კომუნალურ მუნიციპალიტეტებში, მელიორაციაში. ამის შედეგად 1980-1990 წლების დონისათვის განახლებადი წყლის რესურსების კომპლექსურმა გამოყენებამ სახალხო მეურნეობაში 5.2 კმ³ მიაღწია, რაც მთელი წყლის რესურსების 8%ს შეადგენს. აქედან დაახლოებით 70% (3.5 კმ³) გამოყენებულია სოფლის მეურნეობაში (ნათესების მორწყისათვის, ზამთრის საძოვრების გაწყლოვანებისათვის, სოფლის მოსახლეობის საყიფაცხოვებო და კომუნალური საჭიროებისათვის და სხვა). დანარჩენი 1.7 კმ³ წყალი გამოყენებულია მრეწველობაში, ქალაქების კომუნალურ მეურნეობაში. აღმოსავლეთ საქართველოში აღგილი აქეს თითქმის 5 ჯერ მეტ წყალგამოყენებას, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. პერსპექტივაში გათვალისწინებული წყლის კომპლექსური გამოყენება გაიზარდოს 67 კმ³-ზე.

გამოყენებული წყლის რესურსებიდან მდინარეებს უბრუნდება მხოლოდ 2025% წყალი, დანარჩენი ისარჯება მცენარეების ვეგეტაციაზე, აორთქლებაზე, ნიადაგში ჩაეფინვაზე და სხვა. ამასთან, საყურადღებოა, რომ განახლებადი წყლის რესურსების წყლების სარწყავ ტერიტორიაზე მისავანად გაყვანილია 10 ათასი კმ³ სიგრძის არხები (დასაშროო არხების ჩათვლით), რაც მდინარეების საერთო სიგრძის 40%-ს შეადგენს. ეს ცხადია, ზრდის წყლის დანაკარგებს.

წყალაღება იწვევს მდინარეების წყლის ჩამონადენის შემცირებას და იგი ხასიათდება წყლის ხარჯის შემცირების კოეფიციენტით, რომლებიც საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის უმნიშვნელოა და შეადგენს 0.93ს. ახლო მომავალში გათვალისწინებულია წყლის კომპლექსური გამოყენების ზრდა, რის შედეგად წყლის ხარჯის დამახინჯების კოეფიციენტი 0.91ს მიაღწიეს. ყველა პიდროლოგიური საგუშაგოსათვის გამოთვლილ იქნა წლიური წყლის ხარჯის დამახინჯების კოეფიციენტი. ამ კოეფიციენტის გეოგრაფიული განაწილების რუკა წარმოდგენილია ნახ. 2ზე.

რეკიდან ჩანს, რომ საქართველოს დიდ ტერიტორიაზე (80%ზე), წყლის ხარჯის შემცირებას აღგილი არა აქვს, მისი კოეფიციენტი $k=1.0$. ტერიტორიის დანარჩენ ფართობზე აღგილი აქვს წყლის მარგის შემცირებას წყალაღების გამო. ყველაზე პატარა ფართობებით იგი წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოში მდ. რიონისა და მისი შენაკადების შესართავების რაიონში კოლხეთის დაბლობის ფარგლებში და მდ. აჭარისწყალის აუზში. ეს კოეფიციენტი 0.95ზე დაბლა არ ხამოდის. წყლის ხარჯების ყველაზე დიდ შემცირებას აღილი აქვს აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ეს კოეფიციენტი ეცემა 0.65მდე და მოიცავს მდ. იორის ქვემო დინებას, მდ. მტკვრის მარცხენა და მარჯვენა შენაკადებს ქვემო ქართლის ვაკის ფარგლებში. მისი

ზედა საზღვარი, სადაც $k=1.0$, გადის 700800 მეტრის სიმაღლეზე. მის ზემოთ წყლის ხარჯის შემცირების არა აქვს ადგილი, მაგრამ, მაინც გამოიყოფა მდინარეების ფარავნისა და ფოცხოვის აუზები, სადაც შემცირების კოეფიციენტი, ისე როგორც დასავლეთ საქართველოში, 0.95ზე მეტია.


წყლის ხარჯების შემცირების დაბალ კოეფიციენტებს ადგილი აქვთ ცალკეული თვეებისათვის; ეს ჩანს მდ. ქციახრამის (ს. იმირი) მაგალითზე, მიხო წყლის მაქსიმალურად გამოყენების თვეებში. წყალ-მცირობის 1958, 1960, 1961 წლებში, ჩამონადენის შემცირების კოეფიციენტი უფრო მეტად ეცემა (0.360.51) და იზრდება მდინარის წყლიანობის ზრდასთან ერთად. შედარებით უხევყლიან 1951, 1955 და 1959 წლებში, დამახინჯების კოეფიციენტი 0.580.62მდე აღწევს. იგივე ხასიათის დამოკიდებულებას აქვს ადგილი სხვა მდინარეებზეც.

განახლებადი წყლის რესურსების და მასთან დაკავშირებული სხვა მოვლენების მდგომარეობა 1980 წლის დონისათვის საფუძვლად დაედო 2010, 2030 და 2075 წლების დონეებზე საპროგნოზო მრავალწლიური წყლის საშუალო ხარჯების სავარაუდო პროგნოზს.

გამოყენებულ იქნა დეტერმინისტული, კონცეპტუალური (SRM) და გეოგრაფიულპიდროლოგიური მოდელები. დეტერმინისტული მოდელის რიცხვითი რეალიზაციისათვის საჭირო ინფორმაცია თოვლის ნადნობი წყლის, წვიმის წყლის, მიწისქვეშა ჩამონადენის ინტენსივობის, თოვლის მოხვდის, თოვლში სიცივის მარაგის ზრდის, თოვლიდან აორთქდების, თოვლის საფარში წყლის გაყინვის, თოვლის დნობის, თოვლის ზედაპირზე წვიმის მოხვდის, თოვლის საფარში წყლით გაჯერების და წყალგაცემის, ინფორმაციისა და სხვათა შესახებ. იგი ხორციელდება მდინარის აუზში გამოყოფილი ერთგვარი ლანდშაფტური ტიპების მიხედვით. კონცეპტუალური (SRM) მოდელის საფუძველზე კლიმატის ცვალებადობის გავლენის შეფასების დღვენდელი მიზანმდებარებული სისტემის საშუალების შეფასების და ნალექების გამოყენების მოდელებს. მათი საშუალებით წარმოებს წყლის მოძრაობის მოდელირება იმ დროიდან, როდესაც იგი ხვდება აუზში ნალექის სახით და იმ დრომდე, როდესაც იგი ტოვებს წყალშემკრებს ჩამონადენის სახით. მოდელის სტრუქტურა ითვალისწინებ C ჩამონადენის კოეფიციენტს, C_m თოვლის დნობის დანაკარგებს, h წვიმის დანაკარგს, P_s – თოვლის სიმკვრივეს, T დღედამის ტემპერატურულ ფაქტორს, Δt – ტემპერატურის შემცირებას და მის გრადიენტს, h_{st} მეტეოსადგურის სიმაღლეს ზღვის დონიდან, h აუზის ან ზონის საშუალო სიმაღლეს, S თოვლის საფარის ფართობს, P ნალექების წლილს ჩამონადენში, A აუზის ან ზონის ფართობს, k₁ გადამყვან

და k_2 გამოლევის კოეფიციენტებს და სხვა. კერძოდ, ჩამონადენი გამოითვლება ფორმულით:

$$Q = [C_m Q_n (T_n + \Delta T) S_n + C_m P_n] A 1000 / 86400 (1 + K_{n+1}) + Q_n K_{n+1} . \quad (1)$$



6.4.1. მდგრადი მარშრუტი (გვ)

მოდელი გამოიყენება აუზებისათვის, რომლების სიმაღლეთა სხვაობა არ აღემატება 500 მ. ოუ ეს სიდიდე მეტია, რეკომენდებულია აუზის

დაყოფა სიმაღლებრივ ზონებად 500 მეტრიან შეუალებელით. 1500 მიანი სიმაღლეთა დიაპაზონის აუზისათვის გვექნება სამი ზონა და განტოლება (1) წარმოგვიდგება 3 განტოლების სახით, თითოეული დიაპაზონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

გეოგრაფიულპიდროლოგიური მოდელი ითვალისწინებს წლიური ჩამონადენისა და მისი პარამეტრების (წყალიდიდობის დაწყების, თოვლის დნობის ჩამონადენის, მყარი ნალექების და მასთან დაკავშირებული თოვლის საფარის სისქისა და მასში წყლის მარაგის და სხვათა) გამოთვლას.

ჩამონადენის გამოსათვლელ ძირითად ფორმულას წარმოადგენს:

$$Q_i = \frac{Q_0 - Q_M}{x_0(t_0 + 8)} x_i(t_i + 8) + Q_M \quad (2)$$

თუ $x_i = x_0$, მაშინ

$$Q_i = \frac{Q_0 - Q_M}{x_0(t_0 + 8)} (t_i + 8) + Q_M \quad (3)$$

თუ $t_i = t_0$, მაშინ

$$Q_i = \frac{Q_0 - Q_M}{x_0} x_i + Q_M \quad (4)$$

სადაც (Q_0), (Q_M) და (x_i) არის შესაბამისად წლიური წყლის ხარჯის ნორმა, წყლის მინიმალური ხარჯი და წლიური ნალექების ნორმა. ($t_0 + 8$) და ($t_i + 8$) წარმოადგენს ტემპერატურულ ფაქტორებს. გამოთვლა ტარდება მეტეოროლოგიური სადგურების მიხედვით ცალცალკე, ხოლო მათი გასაშუალოებით გამოითვლება მოლიანი ჩამონადენი.

საქართველოს სხვადასხვა მდინარეებისათვის დამოდელირებულ და დაკორეგებულ წლიურ ჩამონადენს შორის კარგი შესაბამისობა აღმოჩნდა; საშუალო ცდომილება შეადგენს 1520%ს პირველი და მეორე მოდელების გამოყენების შემთხვევაში და 57%ს გეოგრაფიულპიდროლოგიური მოდელის გამოყენების შემთხვევაში.

თვით ეს მეორედი იძლევა ყველა შემთხვევაში კარგ შედეგს. მაგალითად, დეტერმინისტული მოდელის გამოყენებისას ყველაზე უარესი შედეგი მივიღეთ მდ. მტკვარი ს. მინაძესთან. ცდომილება შეადგენს საშუალოდ 59%ს. ფორმულების (2), (3) და (4) გამოყენების

დროს საშუალო ცდომილება შეადგენს 11%ს. გარდა ამისა ეს ფორმულები, განსაკუთრებით ფორმულა (3), გამოირჩევა კიდევ იმ უპირატესობით, რომ იგი საპროგნოზო პერიოდისათვის იძლევა საიმედო შედეგს, რადგან იგი ემყარება უფრო მეტად ჰაერის ტემპერატურას. მაგალითად, გლობალური დათბობის შემთხვევაში იღებენ ჰაერის ტემპერატურის შესაძლო ცვლილებებს 1 ან 2^0 სიდიდით. გამოთვლება გვიჩვენა, რომ ჰაერის ტემპერატურის 1 ან 2^0 ით მატებისას, დასავალეთ საქართველოს მდინარეებზე (ბზიფი, ენგური, რიონი) ჩამონადევნი გაიზრდება საშუალოდ შესაბამისად 79 და 814%-ით. მდ. აჭარისწყალზე კი შემცირდება ასევე შესაბამისად 2 და 4%-ით. მაგრამ, მიღებული შედეგები სავარაუდოა, რადგან ფაქტიური დაკვირვებების მასალებში შერჩეულ 23 წლის შემთხვევაში, სადაც მართლაც ჰქონდა ადგილი ჰაერის ტემპერატურის გადიდებას 1 ან 2^0 ით, სხვა შედეგები იქნა მიღებული.

ამიტომ გამოყენებულ იქნა მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს თვით ჩამონადენის ცვლილების დინამიკას, რადგან ჩამონადენის ეს ცვლილება არის ძირითადად ნალექებისა და ჰაერის ტემპერატურის ცვლილების ერთობლივი მოქმედების შედეგი. ამ მეთოდს ჩამონადენის ცვლილების ინჯრციის მეთოდი ეწოდა. ამისათვის გამოყენებულ იქნა დაკვირვების ხანგრძლივი ჰერიოდის საშუალო სიდდეები, ამოკრეფილი 1962, 1970, 1975, 1980 და 1990 წლების წყლის კადასტრებიდან, სადაც მათი მნიშვნელობები გამოთვლილია დაკვირვების დაწყებიდან 1962, 1970, 1975, 1980 და 1990 წლებამდე; მათი დინამიკის საფუძველზე, საპროგნოზი 2010, 2030, 2075 წლებისათვის გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ 1980 წლის დონეზე ნაკლები ხარჯები მოსალოდნელია 28 (21%) პიდროლოგიურ კვეთში, კოდორისა და ენგურის სათავეების შენაკადებისათვის, დასავალეთ საქართველოს სამხრეთ მთიანეთის მდინარეებისათვის ხანისწყალიჩაქვისწყლის უბანზე, მდ. კვირილას აუზის ზოგიერთ მდინარეზე. აღმოსავლეთ საქართველოში მას ადგილი ექნება მდ. მტკვარზე (ზაჟსი და ქ. თბილისი) და მის პატარა შენაკადებზე ბორჯომის ქვემოთ, ასევე მდ. ღურუჯზე. საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე, წყლის ხარჯების გადახრა 2010 და 2030 წლებისათვის 1980 წლის დონესთან შედარებით იცვლება შესაბამისად $-14 +39 \text{ } \text{მ}^3/\text{წ}$ და $-24 +52 \text{ } \text{მ}^3/\text{წ}$ ფარგლებში, საშუალო გადახრა კი შეადგენს შესაბამისად $+5$ და $+10\%$ ს. ხარჯების შემცირების ტენდენცია კოდორისა და ენგურის სათავეებში გამოწვეულია თოვლიანობის ზრდის ტენდენციით ალბედოს ზრდის გამო, რის შედეგად მცირდება მყინვარების დნობა და მათი პიდროლოგიური ეფექტიანობა, ხოლო მდ. მტკვარზე მდგრიბილისის უბანზე ხარჯების შემცირების ტენდენცია გამოწვეულია მდ. არაგვიდან $25 \text{ } \text{მ}^3/\text{წ}$

წყალდაღებით ქ. თბილისის წყალმომარაგებისათვის და თბილისის წყალსაცავის საზრდოობისათვის.

აღნიშვნული მეთოდებით გამოთვლილია ყველა მდინარის ჩამპეტი პიდროლგიური კვეთისათვის ჯამური ჩამონადენი. ასეთი კატეგორიის მდინარე 13 აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოში, 7 აღმოსავლეთ საქართველოში. მათი საშუალო მრავალწლიური ჯამური ჩამონადენი 1960, 1970, 1975, 1980 და 1990 წლებისა და საპროგნოზო 2010, 2030 და 2075 წლებისათვის გამოთვლილ იქნა ჩამონადენის ციკლური ცვალებადობის გაუთვალისწინებლად (I ვარიანტი) და გათვალისწინებით (II ვარიანტი). აღმოჩნდა, რომ მრავალწლიური საშუალო ხარჯი გაიზრდება 4, 7 და 13%-ით 2010, 2030 და 2075 წლების დროისათვის 1980 წლის დონესთან შედარებით, ამასთან ეს მატება დასავლეთ საქართველოში 24%-ით მეტი იქნება ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში (ცხრ.2). შეიძლება ველოდოთ წლიური ხარჯების მწერივების ვარიაციას ჩამონადენის ციკლური ცვალებადობის გამო, კერძოდ, მატების ფაზაში (1975-2015 და 2055-2075 წლებში) აღგილი ექნება ზრდას, ხოლო დაცემის ფაზაში (2015-2055 წლებში) კლებას, მაშინ მრავალწლიური საშუალო ხარჯი გაიზრდება 3.84.4%-ით მთლიანად საქართველოში, 1.93.2%-ით აღმოსავლეთ საქართველოში და 4.55.0%-ით დასავლეთ საქართველოში 1980 წლის დონესთან შედარებით.

წინასწარი მოსაზრებებით საქართველოში მდინარული ჩამონადენი 2010-2030 წლების განმავლობაში განიცდის მატებას 47%-მდე. შესაბამისად, გაიზრდება პიდროენერგოსაბურუებზე გამომუშავებული ენერგია.

საქართველო მდიდარია პიდროენერგეტიკული რესურსებით. იგი შეადგენს 229 მლრდ კვტსთ, რომლის დიდი ნაწილი 219 მლრდ კვტსთ (96%) ადგილობრივი რესურსებია; მხოლოდ 10 მლრდ კვტსთ (4%) მოდის ტრანზიტული პიდროენერგეტიკული რესურსების ხარჯზე. ეს რესურსები საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული. მისი უდიდესი ნაწილი 165 მლრდ კვტსთ (72%) მოდის დასავლეთ საქართველოზე (განსაკუთრებით მის ჩრდილო ნახევარზე). 64 მლრდ კვტსთ (28%) მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე. აქაც შედარებით დიდი პიდროენერგეტიკური რესურსებით გამოირჩევა ჩრდილოეთი ნაწილი. საერთოდ საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილში 5ჯერ მეტი პიდროენერგორესურსებია სამხრეთ საქართველოსთან შედარებით. აღრიცხული 208 დიდი, საშუალო და პატარა მდინარიდან 19 დიდი მდინარე იძლევა 72 მლრდ კვტსთ ენერგიას, მათ შორის 5 მლრდ კვტსთზე მეტი ენერგიით გამოიჩინიან მდინარეები ენგური (12.4 მლრდ კვტსთ), რიონი (10 მლრდ კვტსთ), მტკვარი (9.4 მლრდ

პიდონოგია – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

კვერცხის მდგრად კვერცხი (5.65 მლრდ კვტ), და კოდორი (5.4 მლრდ კვტ).

ცხრილი 2 საქართველოს მდინარეების ჩამონადენის სავარაუდო ცვლილება საპროგნოზო 2010, 2030 და 2075 წლებში 1980 წლის დონესთან შედარებით

რეგიონი	წლები					საპროგნოზო		
	1960	1970	1975	1980	1990	2010	2030	2075
I ვარიანტი ბირთად მდინარეთა ჩამონადენი								
აღმ. საქ. მ³/წ	351	364	362	365	367	375	382	399
%						2.74	4.66	9.32
დას. საქ. მ³/წ	897	900	898	907	930	952	979	1044
%						4.96	7.94	15.1
საქართველო მ³/წ	1248	1264	1260	1272	1297	1327	1361	1443
%						4.32	7.00	13.4
II ვარიანტი ჩამონადენის ციკლური ცვალებადობის გათვალისწინებით								
აღმ. საქ. მ³/წ						375	372	377
%						2.74	1.91	2.74
დას. საქ. მ³/წ						952	948	951
%						4.96	4.52	4.85
საქართველო მ³/წ						1327	1320	1328
%						4.32	3.77	4.40
I ვარიანტი საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ჩამონადენი								
აღმ. საქ. მ³/წ				470		483	492	514
%						2.74	4.66	9.32
დას. საქ. მ³/წ				1600		1679	1727	1842
%						4.96	7.94	15.1
საქართველო მ³/წ				2070		2162	2219	2356
%						4.32	7.00	13.4
II ვარიანტი ჩამონადენის ციკლური ცვალებადობის გათვალისწინებით								
აღმ. საქ. მ³/წ				470		483	479	485
%						2.74	1.91	3.19
დას. საქ. მ³/წ				1600		1679	1672	1678
%						4.94	4.52	4.85
საქართველო მ³/წ				2070		2162	2158	2163
%						4.32	3.77	4.40

ასეთი პიდონოენერგეტიკული რესურსების მახასიათებლით საქართველო მეოთხე ადგილზე იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ხოლო 1 კმ²ზე ხვედრითი მახასიათებლით ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

ამჟამად ენერგოსისტემაში მუშაობს 60მდე მმდლავრი, საშუალო და მცირე ჰესი. მათი საერთო დადგმული (საპროექტო) სიმძლავრე 2.7 მლნ კვტია, ხოლო გამომუშავება 10 მლრდ კვტსაათი. არსებული მდგრმარეობით, რეალურად ამ ჰესების გამომუშავება 40%-ით არის შემცირებული და 6 მლრდ კვტსაათს არ აღემატება, მაშინ, როდესაც 1988 წლის 8.7 მლრდ კვტსაათს შეადგენდა ეს იმის შედეგია, რომ უანასკნელი 67 წლის მანძილზე არ ჩატარებულა არც კაპიტალური და არც მიმდინარე რემონტი. უნდა ვიფიქროთ, რომ უახლოესი 23 წლის განმავლობაში ჩატარდება არსებული ჰესების აღდგენარეაბილიტაცია, რაც ვაზრდის ენერგიის გამომუშავებას 22.5 მლრდ კვტსაათით და მიაღწეს 1988 წლის დონეს.

პარალელურად უნდა განახლდეს 700 მეგავატი სიმძლავრის ხუდონაკესის მშენებლობა, რიონის კასკადს შეემატოს ნამოხვანის, ტემპისა და ჟონეთის პიდროველექტროსადგურები. ამ 4 ჰესის საერთო სიმძლავრე 1.14 მლნ კვტს შეადგენს, ხოლო ენერგიის გამომუშავება 3.3 მლრდ კვტსაათს. საერთოდ კი, უახლესი 2030 წლის განმავლობაში საქართველოში შეიძლება აშენდეს 300მდე საშუალო და მცირე ჰესი 40 მლრდ კვტსაათის საერთო გამომუშავებით. ამით პრაქტიკულად 80%-ით იქნება ათვისებული ჩვენი ეკონომიკური პიდროვენერგეტიკული პოტენციალი (ტექნიკურად შესაძლებელია ორჯერ უფრო მეტი ენერგიის მიღება).

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩამონადენის ამჟამად არსებული ნორმის ფარგლებში დარჩენის შემთხვევაში ენერგიის გამომუშავება დღევანდელ დონეზე იქნება; თუ ჩამონადენის მატებამ 2010-2030 წლებისათვის 47% შეადგინა, მაშინ იმავე ჰესებზე ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე მიღებულ იქნება 2010 წლისათვის 340 მლნ კვტსაათი, ხოლო 2030 წლისათვის 600 მლნ კვტსაათი.

გარდა ამისა, ახალი წყალსაცავების მშენებლობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ჩამონადენის რეგულირების პირობებს, ამცირებს კატასტროფული წყალმოვარდნების საშიშროებას. ამას დაემატება კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებით გამოწვეული ჩამონადენის შიგაწლიური განაწილების დადებითად შეცვლა, რაც გამოწვეულია ზამთრის ხარჯების ზრდასა და გაზაფხულზაფხულის ხარჯების შემცირებაში. ჩამონადენის ასეთი შესაძლო ტრანსფორმაცია აღნიშნულია მრავალი ავტორის მიერ და ჩვენი საკუთარი გამოკვლევებით დასტურდება.

ამრიგად, 21-ე საუკუნის შუა ხანებამდე კლიმატის მოსალოდნელი ცვლილება არა თუ არ გააუარესებს ენერგეტიკის საჭიროებისათვის წყლის რესურსების გამოყენების პირობებს, არამედ, შესაძლოა, კიდევ ვაც გააუმჯობესოს იგი.

წყლის რესურსებზე კლიმატის შესაძლო ცვლილების ზემოქმედების შეჩილებისათვის საჭირო ადაპტაციის ღონისძიებანი

საქართველოს მდიდარი წყლის რესურსები (65 მლრდ მ³) როგორც ამჟამად, ისე მომავალ საუკუნეში რაოდენობრივად სავსებით უზრუნველყოფს მისი მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს. ერთ სეულ მოსახლეზე მოსული წყლის რაოდენობა საშუალოდ წელიწადში 12 ათას მ³ია, რაც ერთერთი საუკეთესო მაჩვენებელია საერთაშორისო მასშტაბით. მიუხედავად ამისა, ეს რესურსები მეტად უთანაბროდ არის განაწილებული რესუბლიკის ტერიტორიაზე. წყლის რესურსების თითქმის სამი მეოთხედი დასავლეთ საქართველოზე მოდის, ხოლო ერთი მეოთხედი აღმოსავლეთ საქართველოზე. გარდა ამისა, რიგ რაიონებში უკვე არსებობს წყლის მწვავე დეფიციტი, რაც დროზე უნდა იქნეს ლიკვიდირებული. მასთან ერთად მძიმე მდგომარეობაა მდინარეთა ცალკეულ უბნებზე (ცვირილა და სხვ.) წყლის დაბინძურების მხრივ, რაც ამძიმებს არსებულ მდგომარეობას.

კლიმატის მოსალოდნელი ცვლილება, უნდა ვივარაუდოთ, გამოიწვევს საშიში პიდრომეტეოროლოგიური და გლაციოლოგიური მოქლეების გამძაფრებას. იზრდება გვალვების, წყალმოვარდნების სიხშირე, რის გამოც ადგილი ექნება წყლის დეფიციტს გახშირებული გვალვების დროს, ერთის მხრივ და წყალმოვარდნების შედეგად მიყენებული ზარალის ზრდას მეორეს მხრივ. ასეთი სიტუაციის პირობებში მოსალოდნელია მთელი რიგი შეცვერსებები სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დარგში და ამის გამო, იზრდება წყლიანობის ადაპტაციის მასშტაბები საპროგნოზო წლებისათვის. იგი ჩატარდება ძირითადად სამი მიმართულებით: წყლის დარგვალირების, დაზოგვისა და რესურსების შევსების გზით.

1. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების გზები. წყლის რესურსების შენარჩუნება მოითხოვს არსებული წყალგამოყენების სისტემების რეაბილიტაციას და გაფართოებას, ახალი ნაგებობების (კაშხლების, არხების, ჯებირების, აკვედუქების და სხვათ) მშენებლობას, წყალგამოყენებისა და წყალმომარაგების არსებულ სისტემების სრულყოფას:

1.1. საჭიროა ამ სისტემების წესრიგში მოყვანა, მათი ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქსელის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის დროული განხორციელება, ახალი, თანამედროვე წყალდამზოგი სისტემებით აღჭურვა. ამ კატეგორიას გაუთვის, ძირითადად, წვეთოვანი მორწყვის სისტემები, რაც უზრუნველყოფს სარწყავი წყლის უადრესად ეფექტიან და რაციონალურ გამოყენებას,

წყლის დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანას, რადგან სისტემები და-
ხურულია და წყლის მიევანამიწოდება ხდება ლითონის ან პოლიეთო-
ლენის მილებით;

1.2. კოლხეთის დაბლობის შავი ზღვისპირა ზონის რამდენიმე ჭაო-
ბი საჭიროა გამოცხადებეს ნაკრძალ ზონად, რაც ხელს შეუწყობს
არსებული წყლის რესურსების, რეკრეაციული მეურნეობის შენარჩუ-
ნებას, მთლიანი ტერიტორიის კოლოგიური პირობების დაცვას;

1.3. უნდა შემცირდეს მეორადი დაჭაობების პროცესები სარწყავ ტე-
რიტორიებზე და კოლხეთის დაბლობის შემადლებულ 530 მეტრის სი-
მაღლის ზონაში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ბა-
ზაზე სარწყავ რაიონებში და წყლის დრენაჟის გაძლიერების ბაზაზე
კოლხეთის დაბლობზე წყალსაწრები თხრილებისა და კვალების
წყალგამტარობის გადიდების გზით.

2. მდინარული წყალდიდობების შემცირების გზები. წყალდიდობებ-
ბი გამოწვეული სხვადასხვა კატეგორიის წყალმოვარდნებით იწვევს
საშიშ და კატასტროფულ მოვლენებს. დაცვის მიზნით უნდა განხორ-
ციელდეს ღონისძიებების შემდეგი სისტემა:

2.1. მდინარეთა ხეობებში (ბზიფი, კოდორი, ენგური, რიონი, ცხენის-
წყალი, მტკვარი და მისი შენაბადები) განხორციელდეს უახლოეს
1530 წლებში გათვალისწინებული წყალსაცავების მშენებლობა, რო-
გორც წყალმოვარდნებისაგან დაცვის უკეთებები უფრო საიმედო და
ეფექტუარი საშუალება;

2.2. დადგინდეს მდინარის პირას დასახლებულ ადგილებზე და სა-
მეურნეო საქმიანობის უბნებზე დატბორვის საზღვარი უველა კატეგო-
რიის წყალმოვარდნების გათვალისწინებით;

2.3. გამოვლინდეს მდ. რიონის პირას არსებული დამბების საშიში
უბნები, რომელიც გამოწვეულია ხანგრძლივი პერიოდის მდინარის
მეანდრირებისა და წყლის გვერდითი ეროზიის პროცესების მოქმედე-
ბით და რომლებიც შეიძლება გაირღვეს ახალი წყალმოვარდნის
დროს. საჭიროა განხორციელდეს მათი შეკეთება;

2.4. მდინარისირა დასახლებულ ადგილებზე სისტემატურად, უ-
კელი წყალმოვარდნის გავლის შემდგებ, კალაპოტის წყალგამტარობის
გაზრდის მიზნით, საჭიროა გაიწმინდოს მდინარის კალაპოტი გავლი-
ლი წყალმოვარდნის მიერ დატოვებული ქვადორდისაგან;

2.5. შედგეს წყალმოვარდნის ნაკადის გარენის დროს ზოგიერთი
წყალსაცავის ავარიული დაცლის სადისპერსიული გრაფიკები ისე,
რომ წყალსაცავის დაცლამ არ გამოიწვიოს მდინარეზე გამავალი
წყალმოვარდნის გაძლიერება და დაცლის შედეგად უფრო ეფექტუარი
გახდეს მოდინებული წყლის აკუმულირების პირობები;

2.6. მიწისძვრის ეპიცენტრის ახლოს მდებარე წყალსაცავები საჭიროების შემთხვევაში დროულად იქნებს დაცლილი, რადგან შესაძლოა გავლილ მიწისძვრას მოჰყვეს ახალი ძლიერი ბიძგები;

2.7. შეიქმნას პერიოდული და სტაციონარული დაკვირვებების ქსელი იმ ძინარეთა აუზებში, სადაც სეისმური მოვლენებით გამოწვეულმა კლდეზვავებმა და მეწყერებმა ჩახერგეს ხეობები და წარმოქმნეს ხელოვნური ტბები, რომლებიც წარმოადგენს პოტენციურად საშიშ ობიექტებს;

2.8. შედგეს კატასტროფული წყალმოვარდნების კატალოგი და კატასტროფული წყალმოვარდნის საშიშროების რუკა.

3. წყლის რესურსების შეგსების გზები. მშრალ და გვალვიან თვეებში წყლის რესურსების მოსალოდნებლი დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით, გაფართოვდეს წყლის რესურსების მატების შესაძლებლობა ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების მეთოდების გამოყენების გზით. ამ სამუშაოთა უფექტიანობის ამაღლების მიზნით მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული რეგიონის ბუნებრივი პირობების თავისებურებანი. ამისათვის საჭიროა:

3.1. განახლდეს აღმოსავლეთ საქართველოში კვლევითი და საწარმოო სამუშაოები ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების დარგში დამატებითი ნალექების გამოწვევის მიზნით, რომელთა შედეგად, როგორც პრაქტიკაში გვიჩვენა "იორის" და "ფარავნის" პოლიგონებზე, ნალექები 1015%-ით გაიზრდება, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს ჩამონადენის ზრდას 58%-ით;

3.2. ღრუბლებზე ზემოქმედება შეიძლება ჩატარდეს წლის ციკ პერიოდშიც საქართველოს სამხრეთაღმოსავლეთ უტეურ მაღალ პლატომთან, ზღვისპირა მთიან, უხვოვლიან და ძლიერ თოვლის ზვავსაშიშ რეგიონებში, რაც ხელს შეუწყობს თოვლის საფარის სისქის მატებას. ეს კი გამოიწვევს თოვლის საფარის გადანაწილებას დიდი მოცულობის ნამქერებისა და თოვლის ზვავების სახით. ამის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდება თოვლის დანაკარგი აორთქლებაზე, გახანგრძლივდება თოვლის საფარის დონის კიდევ 24 თვით, გაძლიერდება პატრის ტენის კონდენსაციის პირობები. ყოველივე ეს გამოიწვევს ჩამონადენის გაზრდას ზაფხულის ცხელ დღეებში 1015%-ით.

3.4. წყალდიდობისა და ხელოვნური ზემოქმედების გზით მიღებული წყლის ბაზაზე დროულად განხორციელდეს წყალდაგროვება წყალსაცავებში, ასევე გაფართოვდეს წყალსაცავების ქსელი ახალი ობიექტების მშენებლობის ხარჯზე. ძინარული ჩამონადენის ხელოვნურად გადიდების, დაზოგვის, დაცვის აღნიშნულ ღონისძიებათა ნაწილი დანგრეგილია პრაქტიკაში, ნაწილი კვლევის სტადიაშია, მაგრამ მათი გამოყენებისა და კვლევის დღევანდელი დონე სრულიად არადა-

მაქმაყოფილებელია, შეიძლება ითქვას მთლიანად შეწყვეტილია არ-სებული ეკონომიკური სიძნელეების გამო.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მოითხოვს წყლის რესურსების ორგორიც წყალმომარაგებისა და პიდროენერგეტიკული რესურსების სასიცოცხლო წყაროს, გაზრდის, დაზოგვისა და დაცვის ღონისძიებათა სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით კვლევითისაძიებო სამუშაოების განახლებასა და გაძლიერებას. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სპეციალური საცდელი პოლიგონის შექმნა, სადაც ჩატარდება ექსპერიმენტული, ექსპედიციური კვლევითი სამუშაოები, რომელთა შედეგად მიღებული მასალების დრმა ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე შეიქმნება სრულყოფილი მეცნიერული ბაზა. იგი საფუძვლად დაედება წყლის რესურსების დაზოგვის, დაცვისა და ხელოვნურად გაზრდის ღონისძიებათა ტექნიკურებისა და საბუთებას.

აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა ხელმძღვანელი სამართველოების, უწყებებისა, სამთავრობო აპარატის სისტემის შექმნა, რომელიც განახორციელებს წყლის რესურსების დაზოგვის, დაცვისა და გადიდების მეცნიერულ, პრაქტიკულ და ოპერატიულ საქმიანობას.

ლიტერატურა REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. სვანიძე გ., ცომაია ვ., მესხია რ., ხმალაძე გ. წყლისა და პიდროენერგეტიკული რესურსების მოწყვლადობის შეფასება საქართველოს ტერიტორიაზე. 1996/1998 წლების სამეცნიერო ანგარიშები, კლიმატის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ფონდი.

უაკ 626.812

საქართველოს წყლის რესურსების მოწყვლადობა და ადაპტაციის ღონისძიებები. /გ.სვანიძე, ვ.ცომაია, რ.მესხია/.კმის შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ. 11-29. – ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

დახასიათებულია საქართველოს წყლის რესურსების ძირითადი წყაროები – მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები და ჭაობები. მოცემულია მათი რაოდენობრივი მასასიათებლები და წყლის რესურსების განაწილების თავისებურებანი.

გამოვლენილია წყლის რესურსების ცვალებადობის ძირითადი თავისებურებანი, მათი მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ და დეტერმინისტული, კონცეფტუალური და გეოგრაფიულპიდროლოგიური მოდელების გამოყენების საფუძველზე მოცემულია მდინარეების წყლიანობის პროგნოზი 2010, 2030 და 2075 წლებისთვის.

დადგენილია, რომ 2010 – 2030 წლებისთვის მოსალოდნელია ჩამონადენის ზრდა 4 – 7%ით 1980 წლითან შედარებით. ასევე აღნიშნულია, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ადგილი

ექნება საშიში პიდოთლობიური მოვლენების გახშირებას. მათი შედეგების შერბილებისათვის რეკომენდებულია რიგი დონისძიებებისა წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისთვის.

UDC 626.812

Vulnerability and adaptation measures for water resources in Georgia./
G.Svanidze, V.Tsomaia, R.Meskha/. Transactions of the Institute of
Hydrometeorology. 2001.V.106.p.11-29.Georg.:Summ.Georg., Eng., Russ.

Main sources of water resources of Georgia rivers, lakes, reservoirs, glaciers and swamps are being considered, quantitative characteristics and peculiarities of their distribution are presented.

Main characteristics of the change of water resources, their vulnerability to climate change have been demonstrated and on the basis of the application of hydrological models, the forecast of river water content for the years 2010, 2030 and 2075 has been presented. It has been determined that the increase of runoff by 47% is expected for the years 2010-2030 with regard to 1980. It has been also pointed out that in connection with the climate change, dangerous hydrological phenomena will occur more frequently and to mitigate their consequences a number of water resources rational utilization measures are recommended.

УДК 626.812

Уязвимость и мероприятия по адаптации водных ресурсов Грузии. /
Сванидзе Г.Г., Цомая В.Ш., Месхия Р.Д./ Сб. Трудов Института
гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с. 11-29. – Груз.; рез.
Груз.,Анг.,Русск.

Характеризуются основные источники водных ресурсов Грузии реки, озера, водохранилища, ледники и болота, даются количественные характеристики и особенности их распределения.

Выявлены основные особенности изменения водных ресурсов, их уязвимость по отношению к изменению климата и на основании использования детерминистических, концептуальных и географогидрологических моделей дается прогноз водности рек на прогнозируемые 2010, 2030 и 2075 годы.

Установлено, что в 2010-2030 годах ожидается увеличение стока на 4-7% по отношению к 1980 г. Отмечается также, что в связи с изменением климата будет иметь место увеличение частоты опасных гидрологических явлений. Для смягчения последствий этих явлений рекомендован ряд мероприятий по рациональному использованию водных ресурсов. Рис.2,таб.2,лит.1.

უკა 631 587

გ.სვანიძე, გჩიკვაიძე

აღმოსავლეთი საქართველოს მდინარეთა აუზებში სარწყავი
ტყლის დაფიციტის საპირისათვის

სარწყავი წყლის წევაროდ დასახულ მდინარეთა ირიგაციული შესაძლებლობების შეფასების მთელი რიგი მეთოდებია შემუშავებული. ჯერ კიდევ XX საუკუნის 40იანი წლების ბოლოსათვის წყალსამეურნეო და საექსპლუატაციო დაწესებულებებისათვის რეკომენდირებული იყო სპეციალური "მითითებები" [8]. ამ "მითითებების" თანახმად მდინარეთა ირიგაციული შესაძლებლობების შეფასება უნდა ჩატარებულიყო მათი საშუალო მრავალწლიური წყლიანობის მიხედვით, რომელიც 50%-იანი უზრუნველყოფის ხარჯის ტოლია. მას მოჰყვა რიგი შრომებისა, რომლებიც აღნიშნულ "მითითებათ" კრიტიკულ ანალიზს შეიცავდა და დაფუძნებული იყო მდინარეთა მორწყვის უნარიანობის სარწყავი ფართის სიდიდით (ჰექტრებში) შეფასების მეთოდების შემუშავებაზე. ასე მაგალითად, მ.ნ.ბოლშაკოვის [2] მიერ შემოთავაზებული იქნა შეფასების მიხედვით სქემა, რომლის მიხედვითაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სარწყავი სისტემის წყალმოწოდების ორი დამახასიათებელი ნორმა: ოპტიმალური და კრიტიკული წყალმოწოდების აღნიშნულ საკითხს ეძღვნება აგრეთვე კვ-ტროფიმოვის [7] ნაშრომი, რომელშიც მითითებულია, რომ გარკვეული უზრუნველყოფის უწყვეტი რწყვის გაზომვა შეიძლება სარწყავი ფართობით და გარკვეული უზრუნველყოფის საანგარიშო ხარჯით (9597%-ით). მდინარეთა მორწყვის უნარიანობის შეფასება ჰექტრებში მოცემულია აგრეთვე "სსრკ ირიგაციული კადასტრის შესაძგენად შემუშავებული ინსტრუქცია"ში [1]. მოგვიანებით მდინარეთა მორწყვის უნარიანობის ჰექტრებში შეფასების ანალიგიურ პრინცინგზე დაფუძნებული გათვლის მოდელი და სქემა წარმოადგინა კ.ა.პაპელიშვილმა [6].

აღსანიშნავია, აგრეთვე მეორე ჯგუფი შრომებისა, რომლებიც ეძღვნება წყალსამეურნეო, მათ შორის მდინარეული წყლის ნაკადის ოპტიმალური მორწყვის უნარიანობის გაანგარიშების მეთოდებს, რომლებსაც მათებატიკური და ალბათობრივსტატისტიკური მეთოდები უდევს საფუძვლად ელექტროგამომთვლელი მანქანების (ეგმ) გამოყენებით. ამ მხრივ მათ შორის გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ბ.ა.გლეიზერის [3] ნაშრომი. სარწყავი სისტემების ძირითადი პარამეტრების შეფასების ავტორისეულ მეთოდოლოგიაში დაყენებული და გადაწყვეტილია ორი ამოცანა: როცა გამოყენებული წყლის წყარ

სასიათდება არასაქმარისი წყლის რესურსებით (მცირე მდინარეები, ტბები) და როცა წყლის წყაროს რესურსები საქმარისია. ამასთან, მცენარეებისათვის მთლიანი წყალმოთხოვნილების განსაზღვრას ავტორი ა.მ. და ს.მ.ალპატიუების მიერ დამუშავებული ბიოკლიმატური მეთოდების საშუალებით გვთავაზობს, ხოლო დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ქმნის მოდელირებადი პროცესების კანონზომიერებათა შესაბამის ხელოვნურ რიგებს მონტეკარლოს მეთოდით.

როგორც სარწყავი ფართობების სიღიდეებით (პექტრებში), ისე ტექნიკურეკონომიკური მაჩვნებლებით გამოხატული მდინარეთა ირიგაციული შესაძლებლობების გაანგარიშების შემუშავებული მეთოდების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ ყველა შემთხვევაში რწყვადი ან მომავალში მოსარწყავად დასახული ფართობების მდინარეებით წყლებით შესაძლებელი წყალუზრუნველყოფის შეფასება წარმოებს ჯერ წყლის ჩამონადენისა და წყალმოხმარების საანგარიშო რეჟიმების ურთიერთშედარების გზით, ხოლო შემდეგ უპავებების მდინარეთა ირიგაციული შესაძლებლობების საანგარიშო მნიშვნელობების განსაზღვრის ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა.

სარწყავი წყლის წყაროს ირიგაციული შესაძლებლობის შესაფასებლად მისი ჩამონადენისა და წყალმოხმარების რეჟიმების ურთიერთშედარება ჩვენ გვესახება ყველაზე უფრო დამაჯერებლად და მისადებად [4]. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, ემთხვევა თუ არა ვეგებაციის პერიოდში მდინარის ჩამონადენის რეჟიმი იმავე პერიოდის წყალმოთხოვნილების რეჟიმს. სასოფლოსამეურნეო კულტურების წყალუზრუნველყოფის ყველაზე უფრო დაძაბული პერიოდი, ცხადია, იქნება მაშინ, როცა ირიგაციული წყალმოხმარების მაქსიმუმი დაგმოხვევა სარწყავი წყლის წყაროში წყალმცირობის პერიოდს.

აღმოსავლეთ საქართველოში სარწყავი წყლის წერტილი მიღებულია 17 ძირითადი მდინარე მათზე მიმაგრებული არსებული და პერსპექტიული სარწყავი ფართობებით. ეს მდინარეები საანგარიშო კვეთით და მათზე მიმაგრებული სარწყავი ფართობებით შემდეგია: ფოცხოვი შესართავი, 7.1 ათასი ჶ; ფარაგანი შესართავი, 12.8 ათასი ჶ; ბუგდაშენი შესართავი, 18.2 ათასი ჶ; ყარაბულახი შესართავი, 10.2 ათასი ჶ; მაშავერა შესართავი, 8.9 ათასი ჶ; ასლანკა შესართავი, 4.3 ათასი ჶ; ალგეთი შესართავი, 14.5 ათასი ჶ; ქციახრამი ს. დაგეთხაჩინი, 67.1 ათასი ჶ; დებედა ს. სადახლო, 14.0 ათასი ჶ; თეძამი შესართავი, 6.2 ათასი ჶ; ქსანი ს. კორინთა, 4.5 ათასი ჶ; არაგვი ს. ჭინვალი, 21.5 ათასი ჶ; მტკვარი ქ. რუსთავი, 96.1 ათასი ჶ; იორი კაზანიანის მთასთან, 136.3 ათასი ჶ; ალაზანი ქვემო ალაზნის არხის სათავესთან, 262.4 ათასი ჶ.

მოსული და მოსახმარებელი წყლის მოცულობების შედარება და სათანადო შეფასება შესრულებულია მოსარწყავად 2010 წლის დონეზე დასახული ფართობების მიმართ, ე.ი. შეძლებს თუ არა ესა თუ ის მდინარე მასზე მიმაგრებული სასოფლოსამეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობების სარწყავი წყლით უზრუნველყოფას. ამგვარად, სარწყავი წყლის წყაროდ მიღებული თითოეული მდინარისათვის შესრულებულია მის სააგნარიშო კეთში "მოსული" წყლის ყოველთვიური მოცულობის (მლნ.მ³შ) შედარება ყოველთვიური წეალმოთხოვნილების ე.წ. "დასახარჯ" მოცულობასთან (ასევე მლნ.მ³) იმავე მდინარის აუზის მიხედვით, მდინარეული ჩამონადენის და აუზის ტერიტორიაზე მოქცეული სავარგულების ნალექებით 50,75 და 95%ანი უზრუნველყოფის სამი გრადაციის შემთხვევაში. დადგენილია თვის ინტერვალში მთლიანად მოსული და მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის მოცულობების "სხვაობა", რომლის მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს უკეთ მდინარეული ნაკადის ირიგაციული შესაძლებლობა. კერძოდ, უზრუნველყოფს, ანუ დაფარავს მოსული წყალი შესაბამის მოთხოვნილებას, თუ სარწყავი წყლის ნაკლებობას ექნება ადგილი. დადგენილია აგრეთვე სარწყავად ფაქტიურად "დახარჯული" წყლისა და წლის განმავლობაში დარჩენილი ჩამონადენის შესაძლო მოცულობების სიდიდეები დანაბრუნი წყლის გარეშე.

წყალუზრუნველყოფისა და წყალმოთხოვნილების ურთიერთშედარების შედეგად დადგენილია, რომ აუცილებელია მთელი ვეგეტაციის პერიოდში (IVIX) ს.ს. სავარგულებისათვის არა მარტო სავეგებაციო მორწყვების ჩატარება, არამედ უმეტეს შემთხვევაში საჭიროა აგრეთვე ნიადაგის გამატენიანებული ინტენსიური საშემოდგომო (X) მორწყვები, ხოლო შედარებით იშვიათად ადრე გაზაფხულის (III) თებერვალინა გამატენიანებული მორწყვების ჩატარება. ამგვარად, წლის განმავლობაში მორწყვების ინტენსივობის ხასიათის მიხედვით მაღიმიტირებელ სეზონებს წარმოადგენენ გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა, უპირატესად IV, VI, VII, VIIIს თვეები, შედარებით ნაკლებად X, ხოლო უფრო ნაკლებ IX. ამ თვეებში განსაკუთრებით ინტენსიურად იხარჯება წყალი მორწყვაზე. მაგრამ მდინარეთა წყლიანობისა და მოსული ნალექების გატენიანების 95%ანი უზრუნველყოფის წლებში ასეთივე ინტენსიური მორწყვების ჩატარებას საჭირო V თვეში, ხოლო მდინარეების ივრისა და ალაზნის აუზებში, აგრეთვე უშუალოდ მდინარე მტკვრიდან მკვებავ სარწყავ სისტემებზე — III თვეშიც. 95%ანი უზრუნველყოფის წლებში ადრე გაზაფხულის (III) გამატენიანებელ მორწყვებს საჭიროებენ ს.ს. სავარგულები, აგრეთვე, მდინარეების მაშვერასა და ასლანგას აუზებში.

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ მდინარეები ფოცხოვი, ფარავანი, დებედა, ქსანი, არაგვი და მტკვარი მთლიანად უზრუნველყოფენ

ახლო პერსპექტივაში მოსარწყავად დასახულ მათხე მიმაგრებულ ფართობებს სარწყავი წყლით. სარწყავი წყლის დეფიციტი მოსალოდნელი არ არის აგრეთვე მდ. მაშავერას აუზში 50 და 75%ანი უზრუნველყოფის წლებში, ხოლო მდინარეების ყარაბულახის, დ. ლიახვისა და პლიახვის აუზებში მხოლოდ 50%ანი უზრუნველყოფის წლებში.

თავის აუზებში სარწყავი წყლით საერთოდ ვერ აკმაყოფილებენ ს.ს. საგარეულებს მდინარეები ბუგდაშენი, ასლანკა, ალგეთი, ქციახერამი, იორი და ალაზანი, 75 და 95%ანი უზრუნველყოფის წლებში კი ვერც მდინარეები ყარაბულახი, დიდი ლიახვი და პატარა ლიახვი, ხოლო 95%ანი უზრუნველყოფისას მდ. მაშავერაც.

დეფიციტიანობის შერივ მდ. ბუგდაშენის აუზი სარწყავი წყლის საკმაოდ მაღალი დეფიციტით ხასიათდება: 50, 75 და 95%ანი უზრუნველყოფის წლებში იგი შესაბამისად 25,5; 36,3 და 55,6 მლნ.მ³ შეადგენს. მდ. ყარაბულახის აუზში ვეგიტაციის პერიოდში სარწყავი წყლის დეფიციტი შედარებით ნაკლებია და მხოლოდ 75 და 95%ანი უზრუნველყოფის წლებში მოდის და შესაბამისად 5.0 და 11.0 მლნ.მ³ აღწევს, ხოლო მდ. მაშავერას აუზში უფრო მცირეა 3.0 მლნ.მ³ შეადგენს და მხოლოდ 95%ანი უზრუნველყოფის წლებში მეორდება. სარწყავი წყლის მნიშვნელოვანი დეფიციტით გამოირჩევიან მდინარეების ასლანკას, ალგეთისა და ქციახერამის აუზები, რომლებშიც წყლის დეფიციტი 50,75 და 95%ანი უზრუნველყოფის წლებში შესაბამისად აღწევს 17,5, 32,3, 35,9 მლნ.მ³, 18,3, 36,2, 50,3 მლნ.მ³ და 47,9, 107,8, 187,3 მლნ.მ³. სარწყავი წყლის მნიშვნელოვანი დეფიციტი შეიძლება მდ. დიდი ლიახვის აუზში: მდინარეული ჩამონადენითა და ნალექებით 95%ანი უზრუნველყოფის წლებში იგი 74.0 მლნ.მ³ შეადგენს, ხოლო 75%ანი უზრუნველყოფის წლებში უფრო მცირეა 27.6 მლნ.მ³ უდრის. წყლის შედარებით მცირე დეფიციტს ადგილი აქვს მდინარეების პატარა ლიახვისა და თებამის აუზებში: პირველ შემთხვევაში დეფიციტიანია მირითადად 95%ანი უზრუნველყოფის წლები 8.8 მლნ.მ³ მოცულობით, ხოლო მეორე შემთხვევაში 4.6, 2.9 და 14.2 მლნ.მ³ მოცულობით, შესაბამისად 50.75 და 95%ანი უზრუნველყოფის წლები.

სარწყავი წყლის უაღრესად დიდი დეფიციტით გამოირჩევიან მდინარეების ივრისა და ალაზნის აუზები. მდ. ივრის აუზში მდინარეული ჩამონადენით და ნალექებით 50%ანი უზრუნველყოფის წლებში თუ წყლის დეფიციტი 111.4 მლნ.მ³ შეადგენს, ხოლო 75%ანი უზრუნველყოფისას 178.8 მლნ.მ³, 95%ანი უზრუნველყოფის დროს აღწევს 475.8 მლნ.მ³. მდ. ალაზნის აუზში სარწყავი წყლის დეფიციტი ვეგიტაციის პერიოდში უფრო მაღალია და შესაბამისად 50%ანი უზრუნველყოფის დროს 395.6, ხოლო 95%ანი უზრუნველყოფის დროს 729.4 მლნ.მ³ აღწევს.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, სარწყავი წყლით უზრუნველყოფის ასეთ სურათს განხილულ მდინარეთა აუზებში ადგილი ექნება მდინარეული ჩამონადენის რეგულირების გარეშე. მაგრამ 1990 წლამდე წყალსამეურნეო ორგანიზაციებში არსებული მონაცემების მიხედვით აქ განხილულ მთელ რიგ მდინარეთა აუზებში მოქმედებდნენ სხვადასხვა მოცულობის უკავე აშენებული წყალსაცავები, ხოლო რიგი წყალსაცავებისა მშენებლობის პროცესში ან პროექტირების სტადიაში იყო. რასაცვირველია, საქართველოს წყალთა მეურნეობა, კერძოდ, ირიგაციული მიწათმოქმედება, თუ 2010 წლისათვის ადგგება 1990 წლის დონეზე, მცხარეთა ვეგეტაციის პერიოდში სარწყავი წყლის დეფიციტს შეიძლება სულაც არ ჰქონდეს აღილი მხოლოდ თვითდინებით ზედაპირული მორწყვის წესების გამოყენებისა და პერსპექტივაში დასახული სარწყავი ფართობების მატების შემთხვევაშიც კი, ანდა წყლის დეფიციტი უმნიშვნელო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში არსებული და მშენებარე პერსპექტიული ირიგაციული წყალსაცავების შესახებ 1990 წლის დონეზე მოპოვებული მონაცემები, აღებული "საქ. წყალპროექტის" მასალებისა და ლიტერატურული წყაროების [5] მიხედვით, აჩვენებს, რომ წყალსაცავებში წყლის მარაგის დაგროვება ხდება მორწყვაზე ფაქტიურად აღებული წყლის შემდეგ დარჩენილი მდინარეული ჩამონადენის მოცულობების ხარჯზე. წყლის ეს მოცულობები საკმაოდ დიდია.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წყალუზრუნველყოფისა და წყალმოთხოვნილების ყოველთვიური სიდიდეების შედარებისას დადგენილ იქნა, რომ შესაფასებელ მდინარეთა აუზებში მკვეთრად გამოიყოფა ორი პერიოდი: ინტენსიური წყალმოხმარებისა და სარწყავი წყლის დეფიციტის პერიოდი, რომელიც ძირითადად ვეგეტაციურ სეზონს (IVIX) ემთხვევა, განსაკუთრებით IV, VI, VII, VIII თვეებში, მით უმეტეს, რომ VII და VIII თვეები მდინარეებში წყალმცირობის სეზონს ემთხვევა და, მეორე, დაგროვების XXII, III თვეების პერიოდი, როცა ჩამონადენის გარკვეული მატება და მინიმუმამდე დასული წყალმოხმარება საშუალებას იძლევა იქ, სადაც შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეს რესურსები როგორც მარეგულირებელი ფაქტორი, როგორც წყალსაცავებში წყლის დაგროვების წყარო, ანდა როგორც წყლის რეზერვი ერთი აუზიდან მეორეში გადასაგდებად.

მოპოვებული მასალიდან გამოჩნდა, რომ რიგ მდინარეთა აუზებში, როგორიც არის ფარაგანი, ბუგდაშენი, ყარაბულახი, ასლანკა, ღებული და და ქსანი, წყალსაცავები არ არის და არც პერსპექტივაშია დასახული მათი აშენება. აღნიშნული გარემოება გარკვეულ სირთულეებს ქმნის მდინარეების ბუგდაშენის, ყარაბულახის და ასლანკას აუზებში, რომლებიც, როგორც ითქვა, სარწყავი წყლის მნიშვნელოვანი და-

ფიციტით ხასიათდებიან, რაც ამ მდინარეების შეზღუდულ ირიგაციულ შესაძლებლობებზე მიუთითებს.

რაც შეეხება დანარჩენ დეფიციტურ მდინარეებს მაშავერას, ალ-გეთს, ქციახრამს, დ. და პ.ლიახეს, თეძამს, იორს და ალაზანს, მათი ირიგაციული შესაძლებლობების გაზრდა უნდა მოხდეს მათ აუზებში არსებული ირიგაციული წყალსაცავების ხარჯზე. კერძოდ, მდ. მაშავერას აუზში არსებულ სარწყავი წყლის დეფიციტს მთლიანად დაფარავს იქ არსებული პანტიანის წყალსაცავი, რომლის სასარგებლო ტევადობა 5.2 მლნ.მ³ შეადგენს. მდ. ალგეთის აუზში არსებულ წყლის დეფიციტს, რომლის მაქსიმუმმა 95%ანი უზრუნველყოფის წლებში შეიძლება 50 მლნ.მ³ მდე მიაღწიოს, ასევე დაფარავს იქ არსებული ორი წყალსაცავი — ალგეთისა და მარაბდის, 61.2 მლნ.მ³ საერთო ტევადობით. რაც შეეხება მდ. ქციახრამის აუზს, იქ არსებულ წყლის დეფიციტს რეგულირებას გაუკეთებენ წალკის, დმანისის, მთისძირის, ზრესის და ასურეთის არსებული წყალსაცავები 308.9 მლნ.მ³ საერთო სასარგებლო ტევადობით.

მდ. დიდი ლიახვის აუზში სარწყავი წყლის დეფიციტი მაქსიმუმს აღწევს მდინარის წყლიანობის ნალექებით გატენიანების 95%იანი უზრუნველყოფის წლებში და, როგორც ითქვა, 74.0 მილიონამდე მ³ აღწევს. რასაკირველია, არსებული ნადარბაზევის წყალსაცავი 6.2 მლნ.მ³ სასარგებლო ტევადობით წყლის ანიშნულ დეფიციტს ვერ დაფარავს, მაგრამ ეს დეფიციტი შეუძლია დაფაროს მდ. პ.ლიახვის აუზში არსებულმა ზონების წყალსაცავმა 39.0 მლნ.მ³ სასარგებლო ტევადობით. ამავე წყალსაცავის საშუალებით მოხდება ოვით მდ. პ.ლიახვის აუზში არსებული წყლის დეფიციტის დაფარვაც. მდ. თება-მის ირიგაციული შესაძლებლობები მისი ჩამონადენის რეგულირების გარეშე ვერ აქმავოფილებს ვეგეტაციის პერიოდში ს.ს. კულტურების სარწყავ წყალზე მოთხოვნილებას. მაგრამ პერსპექტივაში დასახული თებამის წყალსაცავის აგების შემთხვევაში 23.0 მლნ.მ³ სასარგებლო ტევადობით, დაფარული იქნება ამ აუზში არსებული სარწყავი წყლის დეფიციტი, რომლის მაქსიმუმი 14.2 მლნ.მ³ის მოცულობით მოდის 95%ანი უზრუნველყოფის წლებზე.

მდ. ივრის აუზში არსებული წყლის დეფიციტის დაფარვა, დღეოსათვის მის აუზში მდებარე წყალსაცავების საშუალებით, რომელთა მთლიანი სასარგებლო ტევადობა 456.4 მლნ.მ³ შეადგენს, მთლიანად არა, მაგრამ თითქმის შესაძლებელია: წყლის დეფიციტი დაიფარება თითქმის 96%ით 475.8 მლნ.მ³დან შემცირდება 19.4 მლნ.მ³მდე. ხოლო პერსპექტივაში დასახული დალისმთის, წითელგორის, არხაშენის ხევის და ფარეხის ხევის წყალსაცავების აგების შემთხვევაში 245.8 მლნ. მ³ მოცულობის სასარგებლო ტევადობით, ამ აუზში სარწყავი წყლის დეფიციტის პრობლემა მოხსნილი იქნება.

რაც შექება მდ. ალაზნის აუზს, აქ დღეისათვის არსებული წყალსაცავების საერთო სასარგებლო ტევადობა მხოლოდ 6.6 მლნ.მ³ შეადგენს, რაც ძალიან ცოტაა აქ არსებულ სარწყავი წყლის დეფიციტებთან შედარებით, რომელთა მაქსიმუმი 729.4 მლნ.მ³ის ტოლია. პერსპექტივაში დასახული ლაპბეს, ბირკიანის (ჭარტალას) და სტორის წყალსაცავების აგების შემთხვევაშიც კი, წყლის არსებული დეფიციტების რეგულირებისათვის, მდ. ალაზნის აუზში დაგროვდება სასარგებლოდ გამოსაყენებელი მხოლოდ 323.3 მლნ.მ³ მოცულობა წყალი, რაც მდინარეში წყლიანობისა და ნალექებით გატენიანების 75%ანი უზრუნველყოფის წლებში სავეგეტაციო პერიოდის წყალმოთხოვნილებას მხოლოდ 94%-ით უზრუნველყოფს, ხოლო 95%ანი უზრუნველყოფის წლებში მხოლოდ 72%-ით.

ლიტერატურა – REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Близняк Е.В.,Гришин И.С. "Водохозяйственный кадастр СССР", (методика составления),М.,1956,с.6580.
2. Большаков М.Н."Гидротехника и мелиорация",№3,1951,с.2029.
3. Глеизер Б.А."Гидротехника и мелиорация",№9,1974,с.4250.
4. Колесников В.И.,Чикваидзе Г.Д. Труды ЗакНИГМИ,вып.52(58).Л., Гидрометеоиздат,1976,с.8493.
5. Метревели Г.С. Водохранилища Закавказья (Армянская и Грузинская ССР), под ред. Г.Г.Сванидзе и В.А.Знаменского. Л., Гидрометеоиздат, 1985,130 с.
6. Папелишвили К.А.Труды ГрузНИИГМИ,вып.1819.Тбилиси, 1952, с.1833.
7. Трофимов В.В. "Гидротехника и мелиорация",№3,1952,с.2329.
8. Указания по составлению и проведению планов водопользования на оросительных системах. Изд. Главводхоза Министерства сельского хозяйства СССР,М.,1949,63 с.

უაკ 631.587

აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში სარწყავი წყლის დეფიციტის საკითხისათვის. /გ.სვანიძე, გ.ჩიკვაიძე/. პმის შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.; რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

მოწყვეტის განვითარების პერსპექტიულშ დონის დასადგენად აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად 30-37. კარტ მდინარეთა აუზებში წაყლუზრუნველყოფისა და წყალმოხმარების მოცულობების ურთიერთშედარების საფუძველზე გამოივლილია სარწყავი წყლის დეფიციტის მოსალოდნელი მოცულობები. შეფასებულია ამ დეფიციტების შევსების შესაძლებლობები საკვლევ მდინარეთა აუზებში არსებული და საპერსპექტივოდ დასახული ირიგაციული

წყალსაცავებით მდინარეთა ჩამონადების რეგულირების
გათვალისწინებით. ლიტ.დახ.8

UDC 631.587

On the deficit of irrigation water in river basins of Eastern Georgia./G.Svanidze, G.Chikvaidze/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.30-37.Georg.:Summ.Georg., Eng., Russ.

Volumes of water supply and water consumption are compared for the projected level of irrigation development in the main river basins of Eastern Georgia. Possible volumes of irrigation water deficit are estimated along with feasible ways of covering this deficit by the regulation of river runoff in the basins of investigated rivers by existing irrigation reservoirs, and those to be constructed in future. Ref.8.

УДК 631.587

К вопросу дефицита оросительной воды в речных бассейнах Восточной Грузии. /Сванидзе Г.Г., Чикваидзе Г.Д/ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.30-37. – Груз.; рез. Груз.,Анг.,Русск.

На основе сопоставления объемов водообеспечения и водопотребления для перспективного уровня развития орошения в основных речных бассейнах Восточной Грузии оценены возможные объемы дефицита оросительной воды и возможности покрытия этих дефицитов путем регулирования речного стока в бассейнах исследуемых рек существующими и намечаемыми на перспективу ирригационными водохранилищами. Лит.8.

უაკ 556.16

ც.ბასილაშვილი, გ.ცომაია

**მდინარეთა ჩამონადენის პროგნოზების განახლება
ინცირმაციული შემდინარების პირობებში**

დროთა განმავლობაში პიდროლოგიური პროგნოზი საჭიროებს განახლებას, დაკვირვებათა შემდგომი პერიოდის მასალების გათვალისწინებით. ასეთი მიზანი აქვს მდ.ყვირილასა და მდ.ხანისწყლის თვიური და კვარტალური ხარჯების პროგნოზების სრულყოფას, რომელებიც ადრე შემუშავებული იყო 1970 წლამდე არსებული დაკვირვების მასალებით.

მდინარეები ყვირილა და ხანისწყალი არიან შენაგადები ვარციხის წყალსაცავისა, რომლის ბაზაზე მუშაობს პიდროლელექტროსადგური. გარდა ამისა, ამ აუზში არსებული არსებით, წელი გამოიყენება აგრეთვე სასოფლოსამეურნეო კულტურების მოსარწყავად, დაახლოებით 7000 ჰექტარზე. ამრიგად, დასმულ საკითხს, გარდა მეცნიერულისა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

70ან წლებში ამ მდინარეთა პროგნოზების შემუშავებისათვის გამოყენებულ იქნა მაშინ მათ აუზებში მოქმედი 10 ინფორმაციული მეტეოროლოგიური, თოვლის 5 სვლაგეზის და 5 დეკადური აგეგმვის მონაცემები და მიღებულ იქნა დადებითი შეფასების პროგნოზები ყველა თვისა და კვარტლისათვის [2], რომლებიც გამოიყენებოდა ოპერატორიული პროგნოზების შესაღებად.

სადღეისოდ, როცა ადარ არსებობს ის ინფორმაციული ქსელი, პროგნოზების განახლება სრულყოფისათვის გამოვიყენეთ ამ აუზის სიახლოებები მდებარე თრი მოქმედი მეტეოროგურის: მთასაბუეთისა და ბახმაროს, აგრეთვე სამი თოვლის სვლაგეზის: სოფ.ირი მდ.ჯოჯორას სათავე, სოფ.ჭალა მდ.ყვირილას სათავე და კურ.ნაბეღლავის კურ. ბახმაროს 1990 წლამდე არსებული მონაცემები.

ჩამონადენის პროგნოზირებისათვის გამოიყენება იმ ცელადი ფაქტორების დაკვირვების მასალები, რომლებიც მოქმედებენ მისი საზრდოობის წყაროებზე და განსაზღვრავენ მის ოდენობას. მაგრამ ბევრ მოქმედ ფაქტორზე (აორთქლება, ინფილტრაცია და სხვა) რეგულარული დაკვირვება არ წარმოებს. გარდა ამისა, მთიანი აუზის პირობებში მდინარეთა ჩამონადენი მირითადად ფორმირდება მაღალმომან ზონაში, სადაც როგორიც ბუნებრივი პირობების გამო პიდრომეტეოროლოგიურ ელემენტებზე დაკვირვება გაძნელებულია და ამიტომ არსებული დაკვირვების მასალები არ ახასიათებს მდინარის ჩამონადენის რეალურ სურათს.

ასეთ პირობებში გასაგებია ის სირთულეები, როს გამოც ვერ ხერხდება განხილულ მდინარეთა ჩამონადენის ფორმირების კანონზომიერებათა ობიექტებად დაღგენა და მათ საფუძველზე საპროგნოზო მეოთვების შემუშავება თანამედროვე გენეტიკური მოდელების გამოყენებით. ამიტომ, იძულებული ვართ მდინარის ჩამონადენის პროგნოზირებისას დავკერდნოთ არსებულ მცირე ინფორმაციას და მათი ანალიზის საფუძველზე გამოვიყენოთ სტატისტიკური მოდელირების მეთოდი.

იმისათვის, რომ გამოვავლინოთ ყველა არსებული საინფორმაციო მასალიდან რეპრეზენტატული ფაქტორები, ყველა საპროგნოზო თვისა და კვარტლისათვის გაქვთებული იქნა კორელაციური ანალიზი საპროგნოზო ხარჯებსა და წინა პერიოდის ხარჯებს (Q_{t+3/6}), ატმოსფერულ ნალექებს (P მმ), თოვლის წყლის მარაგს (W მმ), ჰაერის ტემპერატურას (0°C) შორის.

მდინარეთა წყლის ხარჯების კორელაციური მატრიცის (იხ. ცხრ.1) განხილვისას გაირკვა, რომ ამ მდინარეთა თვის ხარჯებს შედარებით სუსტი კავშირები ($r=0.25-0.50$) აქვთ წინა თვის ხარჯებთან, გარდა აგვისტო სექტემბრისა, როცა კორელაციის კოეფიციენტი $r=0.60-0.77$ აღწევს. განსაკუთრებით სუსტია კავშირები კვარტალურ ხარჯებსა და წინა პერიოდის ხარჯებს შორის ($r=0.60-0.77$).

რაც შეეხება საპროგნოზო ხარჯების კავშირებს ატმოსფერულ ნალექებთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ მდებარებული ზოგიერთი თვისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მ/ს მთასაბუეთის მონაცემები, ზოგიერთი თვის (იანვარი და თებერვალი) ხარჯისათვის კი უკეთეს შედეგს იძლევა მ/ს ბაბემაროს მონაცემები. გაზაფხულისა და ნაწილობრივ ზაფხულის თვეების და კვარტლის ხარჯები ძირითადად ფორმირდება ზამთარში დაგროვილი თოვლის მარაგით. როგორც ნახაზი გიჩჩენებს, მდინარეთა ხარჯები უპარ უპარდება თოვლის სელაგების მონაცემებს, ვიდრე მეტეოსადგურ ბაბემაროზე თოვლის დეკადურ მონაცემებს. ზოგიერთი თვისა და კვარტლისათვის კორელაციის კოეფიციენტი მდ. ხანისწყალზე 0,70-0,80ს, ხოლო მდებარებული 0,52-0,64ს აღწევს.


მდინარეთა ხარჯების კავშირი ჰაერის ტემპერატურასთან სუსტია და ხშირად კორელაციის კოეფიციენტი უარყოფითი ნიშნით ხასიათდება. რადგან ზოგ შემთხვევაში ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩამონადენის ფორმირებაში, მისი გათვალისწინება სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში აუცილებელია.

ცალკეული მდინარის ჩამონადენის ფორმირების ფიზიკური არსის გათვალისწინებით, ყველა თვისა და კვარტლისათვის კორელაციური ანალიზის საფუძველზე დგება პირველდაწყებითი

ՀԱՅԿԱՆԱԳԻՐ - HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

გაფართოებული საპროგნოზო მოდელი, სადაც კომპლექსურად განიხილება ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენა საპროგნოზო ჩამონადენის ფორმირებაზე. მოდელში ფაქტორების დანაწევრებით, სხვადასხვა პერიოდის მაჩვენებლად გაითვალისწინება ჰიდრომეტეოროლოგიური ელემენტების დინამიკის მოქმედება მდინარის მომავალი ჩამონადენის ოდენობაზე:

30-31 ՀԱՅԻ ՏԵՐԱՎՈՐԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ											
I	II	III	IV	Y	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
I	0.38	0.22	0.32	0.22	-0.04	0.11	-0.17	-0.16	0.13	0.02	0.12
II	0.37	0.25	0.19	0.24	0.12	0.04	-0.09	-0.25	-0.04	-0.11	-0.06
III	0.20	0.27	0.52	0.20	0.15	0.02	-0.04	-0.11	-0.01	-0.06	0.80
IV	0.25	0.08	0.51	0.54	0.17	0.18	0.04	0.03	-0.05	0.04	0.05
V	0.31	0.19	0.20	0.60	0.30	0.12	-0.03	0.03	-0.11	-0.04	-0.20
VI	0.33	0.25	0.15	0.33	0.61	0.43	0.40	0.22	0.21	0.21	0.14
VII	0.35	0.31	0.17	0.21	0.20	0.52	0.60	0.46	0.26	0.27	0.38
VIII	-0.03	0.02	-0.01	0.05	0.10	0.21	0.54	0.77	0.23	0.31	0.46
IX	-0.08	-0.21	-0.09	0.04	0.15	0.07	0.13	0.63	0.41	0.43	0.36
X	-0.11	-0.13	0.08	-0.10	-0.08	-0.07	-0.07	0.35	0.60	0.38	0.30
XI	-0.13	-0.04	0.08	-0.07	-0.22	-0.02	0.27	0.30	0.51	0.48	-0.02
XII	-0.21	-0.13	0.06	-0.02	-0.13	0.18	0.22	0.42	0.20	0.35	0.08
I-III	0.55	0.68	0.85	0.45	0.30	0.20	0.33	0.01	-0.19	-0.02	0.01
IV-VI	0.35	0.18	0.40	0.82	0.88	0.68	0.33	0.12	0.10	-0.13	0.01
YII-X	0.13	0.09	0.05	0.14	0.18	0.37	0.76	0.91	0.68	0.33	0.21
X-XII	0.19	-0.13	0.05	-0.17	0.18	0.03	0.04	0.04	0.60	0.81	0.80



საპროგნოზო მოდელში სხვადასხვა ფაქტორების ერთობლივი განხილვა საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ის ცდომილება, რომელიც გროვდება აღრე შემუშავებულ საპროგნოზო მეთოდიკებში გადახრილი წერტილების უგულვეყოფით. ამ დროს ხდება პროგნოზების შეფასებათა კრიტერიუმების ხელოვნური გაუმჯობესება, მაგრამ მათი საიმედობა მცირდება.

କେବେଳ ମିର ଗାମରାକ୍ଷଣ୍ଡର୍ଜୁଲ ସାକ୍ଷରତ୍ନାଥ ମରଦେଲ୍ପାଶି ଗାନିବୋଲିବା
ଅବସର୍ପିତ୍ତରାଙ୍ଗ ପ୍ରୟେଲା ଡାକିରିଗ୍ରେବାଟା ଶେଷତ୍ବେଶେବୀ ରାଗମର୍ତ୍ତବୀ
ନାମନାଦେଖିବେ, ଆଶ୍ଵା ମରଜ୍ମେର ଫାଳିତରେଖିବେ, ଯାହାରେ ଗାନ୍ଧାରିଲିଙ୍ଗ
ନେଇରିଲେବୋଇସ (ଶେଷତ୍ବେଶେବୀରେ) ବିଶ୍ଵରାତ୍ରିରେଖିବେ ଗାର୍ଜେଶ୍ଵର, ରାଜ ମିଲେବୁଲିଙ୍ଗ
ସାକ୍ଷରତ୍ନାଥ ମେତାପଦିକବୀରେ ସାମିଶ୍ରମବୀରେ ପାରିବ ସାତ୍ତବଶକ୍ତିରେଇବା.

მიუხედავად მრავალი დაღებითი მხარისა, საპროგნოზო დამოკიდებულებაში ბევრი ცვლადის შევვანა არ არის გამართლებული, არც თეორიულად, რადგან იზრდება დისპერსია და არც პრაქტიკულად, რადგან ბევრი ცვლადების შემთხვევაში პროგნოზების

შესადგნად საჭირო იქნება დიდი მოცულობის ინფორმაცია, რაც სადღეისოდ არარეალურია და ამიტომ, მათი შემდგომი გამოყენების მიზნით, ყველა სავარაუდო ფაქტორიდან უნდა შეირჩეს საპროგნოზო პრედიკტორებისა ყველაზე ოპტიმალური ნაერთი.

ამისათვის გარკვეული მათემატიკური კრიტერიუმების [1] გამოყენებით. მრავალფაქტორიანი საპროგნოზო მოდელიდან გამოვრიცხავთ არაეფექტურ და დუბლირებულ ფაქტორებს. შემდეგ, დარჩენილი ცვლადებიდან მრავალბიჯიანი გაცხრილვის მეთოდის [5] გამოყენებით ვადგენთ ოპტიმალურ საპროგნოზო მოდელს.

ოპტიმალური მოდელის ამოხსნის დროს კი ვახდენთ მრავალფაქტორიანი განტოლების პირდაპირ და შებრუნებულ გაშლას [3], რის შედეგადაც მიიღება სხვადასხვა სახის საპროგნოზო ვარიანტები, რომელთაგან, შესაბამის შეფასებათა კრიტერიუმების [6] მიხედვით, შეირჩევა საუკეთესო ვარიანტები თპერატიული პროგნოზების გასაცემად.

საპროგნოზო განტოლებათა შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: S/ს პროგნოზების საშუალო კვადრატული ცდომილების შეფარდება საპროგნოზო ჩამონადენის საშუალო კვადრატულ გადახრასთან, R% დასაშვები ცდომილების (δ^2/\bar{V}) გამართლება, r კორელაციის კოეფიციენტი ფაქტიურსა და პროგნოზულ მნიშვნელობებს შორის, E პროგნოზების ეკონომიკური ეფექტურობა.

საპროგნოზო მოდელის კვლევის ყველა ეტაპის რეალიზაცია განხორციელდა ერთიან გაანგარიშებათა სისტემით, ავტორის მიერ შემუშავებულ სათანადო კომპიუტერული პროგრამების საშუალებით.

სხვადასხვა სახის საპროგნოზო მოდელის გამოკვლევის შედეგად თითოეული თვისა და კვარტლისათვის მიღებულია რამდენიმე სახის საპროგნოზო განტოლება, რომელთა გაანგარიშებაში სხვადასხვა ფაქტორები მონაწილეობები. მაგალითად მდ.ხანისწყალზე დაბა ბალდადთან მეორე კვარტლის ჩამონადენის საპროგნოზოდ მიღებულია შემდეგი სახის ფორმულები:

N ^o განტოლება	S/ს	r
1 $Q_{IYYI} = 0.01 W_{20/II} + 16.9$	0.73	0.69
2 $Q_{IYYI} = 0.02 W_{1200/1300} + 16$	0.75	0.68
3 $Q_{IYYI} = 0.02 W_{1200/1300} 1.6 \theta_{III} + 17.7$	0.68	0.76
4 $Q_{IYYI} = 0.01 W_{1200/1300} 1.9 \theta_{III} + 0.4 Q_{2,III} + 13.7$	0.63	0.80
5 $Q_{IYYI} = 0.01 P_{XIII} 2.2 \theta_{III} + 0.5 Q_{2,III} + 11.9$	0.63	0.82
6 $Q_{IYYI} = 0.01 W_{30/II} 1.8 \theta_{III} + 0.3 Q_{2,III} + 12.0$	0.60	0.80

საპროგნოზო დამოკიდებულებათა ასეთი წარმოდგენა საშუალებას იძლევა თპერატიული პროგნოზის შედეგების დროს საანგარიშოდ შეირჩეს ის განტოლება, რომლის მონაცემები არის სახეზე

ЭОДРУМЛӨӨДӨС – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

პროგნოზის გაცემის დროს, ე.ი. საპროგნოზო განტოლება შეირჩეს არსებული ინფორმაციისა და საპროგნოზო პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით.

თუ რპერატიული პროგნოზის გაცემის დროს არსებობს კველა საჭირო ინფორმაცია, მაშინ სხვადასხვა სახის საპროგნოზო განტოლებებიდან შეირჩევა ის ფორმულა, რომელსაც აქვს კველაზე უკონკრიტული შეფასების კრიტერიუმები.

ცხრილ 2ში ყველა ოვისა და კვარტლისათვის მოცემულია თითო საპროგნოზო განტოლება, რომლითაც მიიღება მდინარეთა ჩამონადენის ჩვეულებრივი სახის პროგნოზები. მაგრამ პიდრობიერის საიმედო მომსახურებისათვის აუცილებელია აგრეთვე ალბათური პროგნოზებიც, რომლებიც [6] თანახმად გამოიახვარიშება მარტივი გამოსახულებით:

$$Q_{P\%} = Q + \delta_{P\%} , \quad (2)$$

სადაც Q_P გარკვეული (P%) უზრუნველყოფის ხარჯია, Q – მდინარის ხარჯის პროგნოზია გამოთვლილი საპროგნოზო განტოლებით, $\delta\%$ პროგნოზის გარკვეული (P%) უზრუნველყოფის ცდომილება, რომლის შესახებ მოხაცემები მოცემულია ცხრ. 4სი, ე.ი. ჩვეულებრივი სახის პროგნოზის გარდა შეიძლება გაანგარიშებული იქნეს პროგნოზები 5%დან 95%მდე უზრუნველყოფით.

დღეისათვის პიღობროგნოზების ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება ფულადი ერთეულებით შეუძლებელია სათანადო მასალების უქონლობის გამო. ამიტომ, შემუშავებული საპროგნოზო მქონები შეიძლება შეფასდეს შეფარდებითი ხერხით [4], რომლის მიხედვით ეკონომიკურად ეფექტურად ითვლება ის პროგნოზი, რომლის ცდომილება ნაკლებია, ვიდრე მისი გადახრა საპროგნოზო ხარჯის ნორმიდან.

საპროგნოზო დამოკიდებულების ეკონომიკური ფაქტებითა კი განისაზღვრება წარმატებული პროგნოზების შემთხვევათა რიცხვის (v) პროცენტული შეფარდებით, საპროგნოზო დამოკიდებულებაში განხილულ შემთხვევათა საერთო რაოდენობასთან (v)

$$\Theta = (v_1/v)100\% \quad . \quad (3)$$

ცხრილ 2-ში ყველა საპროგნოზო დამოკიდებულებისათვის მოცემულია (3) გამოსახულების მიხედვით გამოვლილი გკონო-მიკური ეფექტურობა, რომელთა მნიშვნელობა იცვლება 60-75%ის გარეშემიში.

თუ გავითვალისწინებოთ იმას, რომ პროგნოზების უქონლობის შემთხვევაში ვეურდნობით მდინარის ხარჯის ნორმას, რომლის გამოყენებით ეკონომიკური ეფექტურობა საშუალოდ 50%, მაშინ შეძლება ითქვას, რომ მიღებული საპროგნოზო ფორმულებით

პიდაროვლები – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

გამოთვლილი ხარჯების გამოყენების ეფექტურობა 10 25%ით
აჭარბებს მას.

ცხრილი 2

საბრონგორზო განტოლება (Q_ქ / Q_წ) საკრონიგრადი ტანგენტური და მათი შეფასება

საბრონგორზო განტოლება	შეფასებათა კრიტიკულობი			ცლობილება (მ ³ /წ)				
	S/σ	P %	r	3 დას.	5% დას.	10% დას.	25% დას.	
1	2	3	4	5	6	7	8	9
მღ. ყორილა - ქვეყნის მნი								
Q _ქ =0.6 Q _წ -1.39 Q _ქ ·x _ქ +0.01 P _ქ ·x _ქ +3.3 Q _წ +25.4	0.75	70	0.70	58	14.1	25.3	20.0	10.4
Q _წ =0.1 Q _ქ +0.5 P _ქ -0.3 θ _ქ +0.05 P _წ +16.8	0.80	68	0.63	68	21.4	39.5	30.8	16.2
Q _წ =0.18 P _ქ -0.94 θ _ქ +0.06 W _{30/11} +38.8	0.78	67	0.66	61	29.0	58.7	45.8	24.1
Q _წ =0.25 P _ქ +0.03 W _{30/11} +0.2 Q _ქ ·x _ქ -5.8 θ _ქ +51.1	0.71	76	0.75	74	32.0	47.9	37.4	19.7
Q _ქ =0.13 W ₁₉₀₀₋₂₀₀₀ +42.4	0.73	66	0.69	71	19.8	30.3	23.6	12.4
Q _წ =0.24 P _ქ +0.16 Q _ქ +0.18 P _წ -1.2	0.78	65	0.66	67	12.0	23.1	18.0	9.49
Q _წ =0.33 Q _ქ +0.19 P _წ +5.7	0.78	71	0.64	65	10.7	20.1	15.7	8.27
Q _ქ =0.57 Q _წ +6.4	0.80	71	0.60	59	10.3	19.6	15.3	8.05
Q _ქ =0.66 Q _წ +7.25	0.61	78	0.80	75	8.1	12.1	9.48	4.99
Q _ქ =0.81 Q _წ -5.1 θ _ქ +56.6	0.69	70	0.73	72	14.4	22.2	18.3	9.11
Q _ქ =0.73 Q _ქ +0.2 θ _ქ +0.3 P _ქ +14.2	0.67	73	0.71	71	19.0	30.7	24.0	12.6
Q _ქ =0.29 Q _ქ +0.04 P _ქ -0.28 θ _ქ +0.2	0.76	75	0.69	73	19.5	36.2	28.2	14.6
Q _წ =0.28 Q _ქ -1.72 θ _ქ -0.14 P _ქ +1.1 θ _წ +39.1	0.77	62	0.70	74	15.7	29.8	23.3	12.3
Q _წ =0.11 P _ქ +0.32 Q _ქ ·x _ქ -5.3 θ _ქ +50.6	0.73	78	0.72	70	14.7	26.1	20.4	10.7
Q _ქ ·x _ქ =-0.29 θ _ქ +0.27 Q _ქ ·x _ქ +0.12 P _ქ +10.4	0.86	64	0.56	62	84.0	17.5	13.6	7.18
Q _ქ ·x _ქ =0.96 Q _ქ +0.14 P _ქ +4.09	0.74	64	0.69	62	13.7	23.5	18.3	9.65

სტრილი 2-ის გაგრძელება

	1	2	3	4	5	6	7	8	9
მც. ხანისწყლია-ღამითი									
$Q_t = 0.22 Q_{xt} - 0.35 \theta_{xt} + 0.1 Q_{xt} + 0.54 \theta_t + 7.34$	0.76	66	0.70	64	2.24	4.31	3.36	1.77	
$Q_{xt} = 0.27 Q_t + 0.01 P_{xt-1} + 0.63 \theta_{xt} + 8.12$	0.86	66	0.55	64	3.64	7.21	5.63	2.96	
$Q_{xt} = 0.02 W_{200-1300} + 8.81$	0.76	72	0.66	63	6.06	11.16	9.05	4.74	
$Q_{vt} = 0.044 W_{1200-1300} + 17.7$	0.56	79	0.81	76	9.61	13.9	10.8	5.72	
$Q_v = 0.01 W_{800-1900} + 0.32 Q_{vt} - 2.29 \theta_{vt} + 20.9$	0.64	74	0.80	74	5.20	8.03	6.27	3.30	
$Q_{vt} = 0.05 P_v + 0.40 Q_v - 0.34 \theta_v + 4.18$	0.77	65	0.66	63	4.46	8.40	6.56	3.45	
$Q_{vt} = 0.003 W_{2000-2100} + 0.40 Q_v + 1.88$	0.79	62	0.63	64	2.94	6.30	4.91	2.59	
$Q_{vt-1} = 0.02 Q_{vt-1} + 0.4 Q_{vt} - 0.47 \theta_{vt-1} + 9.11$	0.79	68	0.64	70	2.56	4.11	3.21	1.69	
$Q_{vt} = 0.48 Q_{vt-1} - 0.31 \theta_{vt-1} + 7.19$	0.77	67	0.65	61	2.11	3.98	3.10	1.63	
$Q_x = 1.43 Q_{xt} + 0.44 \theta_{xt} + 0.05 P_x - 13.5$	0.53	83	0.86	70	5.04	6.53	5.10	2.69	
$Q_{xt} = 0.34 Q_x - 0.02 P_x + 6.77$	0.77	70	0.65	60	3.84	3.46	2.70	1.42	
$Q_{xt} = 0.70 Q_{xt} + 0.03 P_{xt} + 2.27$	0.77	70	0.65	61	3.80	7.16	5.59	2.94	
$Q_{t-1} = 0.01 P_{t-1} + 7.93$	0.84	66	0.59	68	2.92	6.07	4.74	2.49	
$Q_{vt} \cdot vt = 0.02 W_{1200-1300} + 19.9$	0.75	68	0.68	62	5.24	9.54	7.45	3.92	
$Q_{vt} \cdot vt = 0.01 W_{2000-2100} + 0.22 Q_{vt} - 0.1 \theta_{vit} + 0.03 P_{vit} + 2.85$	0.76	74	0.70	75	2.01	3.68	2.87	1.51	
$Q_{vt-1} = 0.83 Q_{vt} + 0.02 P_x + 0.77$	0.73	74	0.70	72	3.20	5.12	3.99	2.10	

რაც შეეხება პროგნოზირების სრულყოფის შედეგებს, ძნელია შეადარო ადრე და ახლად მიღებული პროგნოზები იმის გამო, რომ წინად განხილულ ტერიტორიაზე მოქმედებდა 10 ინფორმაციული მეტეოსადგური, ახლა კი საპროგნოზოდ გამოყენებულია ტერიტორიის გარეთ მდებარე ორი მეტეოსადგურის მონაცემი.

მიუხედავად ამისა, ახლად მიღებული პროგნოზების უპირატესობა პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ეჭვს გარეშეა, რადგან ისინი რეალურ ინფორმაციას ეყრდნობიან. გარდა ამისა, ახლად მიღებული საპროგნოზო გამოსახულებები შედგენილია 20 წლის

დაკვირვების მასალების დამატებით და ამიტომ ისინი გაცილებით საიმედონი არიან.

პროგნოზები შედგენილია ერთიან დაკვირვებათა რიგების გამოყენებით რომელიმე შემთხვევის იგნორირების გარეშე, რაც კიდევ უფრო ზრდის მიღებული განტოლებების საიმედობას. მიღებული საპროგნოზო განტოლებებით შეიძლება გაიცეს პროგნოზები როგორც ჩვეულებრივი, ისე ალბათური ფორმით 5, 10, 25, 75, 90 და 95% უზრუნველყოფით, რაც მათი პრაქტიკაში უფრო ფართო მასშტაბის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

პროგნოზის დროულობა 1დან 34 თვეა, ამიტომ მათი საშუალებით წლის რესურსების გამოყენების რაციონალური დაგეგმარებით რამდენადმე გაიზრდება ელექტროენერგიის გამომუშავება და სასოფლოსამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

ამრიგად, ინფორმაციული ქსელის შემცირების პირობებში პროგნოზების სრულყოფამ უზრუნველყო მდინარეთა ჩამონადენის საიმედო შედეგების მიღება. მიტომ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად დღვეანდელი მძიმე მდგრადირებისა, აუცილებელია ადრე შედგენილი პროგნოზების განახლება არსებულ პირობებთან შეთანხმებით მათი პრაქტიკული გამოყენების მიზნით. ამასვე მოითხოვს ის გარემოება, რომ 20 წლის მასალის დამატებით, მნიშვნელოვნად იცვლება დამოკიდებულება მდინარის ჩამონადენსა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის, რაც ზრდის პროგნოზების საიმედობას.

ლიტერატურა – REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Алексеев Г.А. Объективные методы выравнивания и нормализации корреляционных связей. Л., Гидрометеоиздат, 1971, 362 с.
2. Басилашвили Ц.З. Труды ЗакНИГМИ, вып 62(68), М., Гидрометеоиздат, 1975, с. 3341
3. Басилашвили Ц.З. Труды ЗакНИГМИ, вып 68(74), М., Гидрометеоиздат, 1979, с. 7787.
4. Временные методические рекомендации по определению экономического эффекта научноприкладных работ по гидрологии. Л., ГГИ, 1974, 40 с.
5. Дреипер Н., Смит Т. Прикладной регрессионный анализ. М., Статистика, 1973, 324 с.
6. Наставление по службе прогнозов.Раздел 3,ч.1,Л., Гидрометеоиздат, 1962,193 с.

უაპ 556.16

მდინარეთა ჩამონადენის პროგნოზების განახლება ინფორმაციული ქსელის შემცირების პირობებში. /ც.ბასილაშვილი, გ.ცომაია/. ჰმის

**შრომათა ქრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.38-47-ქართ.;რეზ.ქართ.,
ინგლ., რუს.**

სადღეისოდ მკვეთრად შემცირდა ინფორმაციული პიდონლებელ-
როლოგიური ქსელი. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ადრე
შემუშავებული მდინარეთა ჩამონადენის პროგნოზის განახლება.

70იან წლებში მდ.კვირილასა და მდ. ხანისწყლის ხამონადენის
პროგნოზები ეფუძნებოდა 10 მეტეოროლოგიურის ინფორმაციას.
სადღეისოდ პრიგნოზირების მიზნით გამოყენებულ იქნა მეზობელი
აუზების 2 მეტეოროდგურის მონაცემი.

სტატისტიკური მონაცემების რიგის გაზრდამ 20 წლით და უფრო
სრულყოფილი საპროგნოზო მეთოდიების გამოყენებამ უზრუნველყო
საიმედო პროგნოზების მიღება. ნახ.1, ცხრ.2,ლიტ.დას.6.

UDC 556.16

Renovation of forecasts for river runoff under conditions of reduced information./ **Ts.Basilashvili, G.Tsomaia /.** Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.38-47.Georg.:Summ.Georg., Eng., Russ.

At present the hydrological information network has been sharply reduced. That is the reason why it has the urgent importance to renew river flow forecast worked out earlier.

In the 70s the prognosis of the river flow of the rivers Kvirila and Khanistskali were based on the information, obtained from 10 meteorological stations. At present for the purpose of forecasting we have to use the data of only 2 stations located in neighbouring basins.

Increasing the statistical data by 20 years and the use of advanced methods for working out forecasts ensured their reliability.Fig.1,Tab.2,Ref.6.

УДК 556.16

Обновление прогнозов стока рек в условиях сокращенной информационной сети. /Басилашвили Ц.З.,Цомая Г.В./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.38-47. – Груз.; рез. Груз.,Анг.,Русск.

На сегодня резко сократилась информационная гидрометеорологическая сеть. В связи с этим необходимо обновить ранее разработанные прогнозы стока рек.

В 70х годах прогнозы стока рек Квирила и Ханисцкали были основаны на информации 10 метеорологических пунктов. Сегодня для прогнозирования вынуждены использовать данные только 2х метеостанций соседних бассейнов.

Увеличение статистических данных на 20 лет и применение усовершенствованного метода прогноза обеспечило получение более надежных результатов. Рис.1,таб.2,лит.6.

УДК 551.482.215:551.500

Н.Н.Бегалишвили, К.А.Тавартиладзе, Н.А.Бегалишвили

**ОЦЕНКА ВЕКОВЫХ ИЗМЕНЕНИЙ МИКРОКЛИМАТА И СТОКА
ДЛЯ НЕКОТОРЫХ ВОДОСБОРОВ РЕК ГРУЗИИ**

По современным представлениям происходящее в настоящее время изменение глобального климата связано с нарушением равновесного состояния энергетического баланса в системе «атмосфера – подстилающая поверхность – гидросфера». Причиной этого могут быть возрастание содержания в атмосфере «парниковых газов», увеличение концентрации аэрозолей, трансформация подстилающей поверхности, вызывающая изменение альбедо и др. На фоне отмеченного глобального потепления изменение регионального климата может иметь неоднородный характер. По видимому, местные физикогеографические условия, характер мезо и микрокиркуляционных процессов, особенности радиационного баланса горной территории и другие факторы явились причиной умеренного похолодания на территории Западной Грузии и потепления в Восточной Грузии в течение последнего столетия [1]. При этом влагосодержание атмосферы на территории Грузии местами или увеличивается, или остается неизменным [2].

Цикл влагооборота в системе «атмосфера – подстилающая поверхность» включает превращение водяного пара по схеме: влагосодержание – облачность – осадки – испарение – сток. Так как облачность, осадки и испарение существенно зависят от режимов температуры и влажности в атмосфере, то их изменения могут оказать значительное влияние и на влагооборот. Поэтому представляет значительный интерес изучение влияния особенностей изменения регионального климата на водный баланс и формирование стока рек в Грузии.

В настоящей работе выполнены исследования влияния особенностей векового изменения полей температуры и влажности на процесс влагооборота в двух типичных водосборных бассейнах Грузии, расположенных, соответственно, в зонах похолодания (р.Супса, Западная Грузия) и потепления (р.Храми, Восточная Грузия).

Для оценки изменения составляющих влагооборота были использованы фактические ряды гидрометеорологических наблюдений на станциях и постах, расположенных на территориях указанных водосборов. Общее число пунктов наблюдений составило порядка 10 в каждом из бассейнов. Однако, оценка изменения микроклимата выполнена по данным наиболее длительных рядов наблюдений метеостанций Анасеули, Ацана, Бахмаро, ДаблаЦихе и Шрома – в бассейне р.Супса и пунктов Болниси, Дманиси, ТетриЦкаро,

Марнеули и Цалка – в бассейне р.Храми. Величины изменения метеоэлементов установлены с помощью линейной аппроксимации их временных рядов. В частности, при расчете изменения температуры воздуха, упругости водяного пара и относительной влажности были использованы среднемесячные данные за 90 лет (19061995), а для температуры поверхности почвы – 56летние эмпирические ряды (19361991). Обнаружено, что среднее ежегодное уменьшение температуры воздуха в бассейне р.Супса составило – $-0,0022^{\circ}\text{C}/\text{год}$, а уменьшение температуры почвы – $-0,033^{\circ}\text{C}/\text{год}$. В бассейне р.Храми изменение температуры воздуха происходит с большей скоростью – среднегодовое увеличение здесь равно $0,0058^{\circ}\text{C}/\text{год}$, а средний прирост температуры поверхности почвы составил величину $0,0034^{\circ}\text{C}/\text{год}$. Изменение влагосодержания атмосферы в обоих бассейнах примерно одно и тоже – наблюдается незначительное увеличение упругости водяного пара в среднем на $0,00320,0034$ мб/год, относительной влажности – на $0,010,02\%/\text{год}$.

Как это было отмечено выше, при оценке изменений основных метеорологических элементов, характеризующих региональный климатический режим и его изменение, были использованы 90 и 56 летние периоды. Поэтому, необходимо было рассмотреть, как согласуются сравнительно короткие периоды изменения климата с долгопериодными изменениями. С этой целью были рассчитаны среднемесячные аномалии температуры воздуха для двух пунктов наблюдений – Анасеули и Дманиси по трем периодам: 19061995, 19361991 и 19541991 гг. Оценка аномалий показала, что изменение температурного поля по всем периодам в обеих пунктах наблюдений происходит идентично. Однако, в последний период величина изменения увеличивается: в бассейне р.Супса – в сторону похолодания, в бассейне р.Храми – в сторону потепления.

Весьма своеобразно происходит изменение рассмотренных метеоэлементов по отдельным месяцам. На рис.1 представлены гистограммы этих изменений. Согласно данных рис.1(а), процесс похолодания на территории бассейна р.Супса наиболее заметен в ноябре и он характеризуется величиной $-0,013^{\circ}\text{C}/\text{год}$. В бассейне р.Храми потепление отмечается во все месяцы, в особенности в январе, апреле и мае, когда среднегодовое увеличение температуры воздуха превышает величину $0,01^{\circ}\text{C}/\text{год}$. Особо следует отметить факт повсеместного потепления в апреле, характерного для всей территории республики. В этот месяц среднегодовое увеличение температуры и в Западной Грузии, и в Восточной Грузии достигает максимума.

Картина изменения температуры подстилающей поверхности кардинально отличается от распределения изменения температуры воздуха (см.рис 1(б)). В бассейне р.Супса в течение всего года и, в особенности в холодный период, наблюдается резкое понижение температуры поверхностного слоя почвы до $-0,06^{\circ}\text{C}/\text{год}$ (январь, май и декабрь). В бассейне р.Храми также отмечается похолодание почвы, кроме марта, апреля, июля и

сентября. Однако, в отмеченные месяцы большие положительные аномалии, в особенности в апреле ($0,063^{\circ}\text{C}/\text{год}$) и в сентябре ($0,071^{\circ}\text{C}/\text{год}$), определяют общую среднегодовую положительную тенденцию в температурном поле подстилающей поверхности.




Рис. 1. Среднемесячные аномалии температуры воздуха (а), температуры поверхности почвы (б), упругости водяного пара (в) и относительной влажности (г) в бассейнах р. Супса (1) и р. Храми (2).

Согласно рис.1(в) и (г), на которых представлены изменения упругости водяного пара и относительной влажности, аномалии среднемесячных величин положительны в течение всего года, кроме мая. В этот месяц отмечено уменьшение упругости водяного пара в обоих бассейнах. Поло-

жительная тенденция поля влажности особо выражена в июлеавгусте и в бассейне р.Храми составляет величину до 0,01 мб/год и 0,06 %/год.

Изучение изменения измеряемых величин характеристик влагооборота – осадков и стока, было выполнено: а) в бассейне р.Супса по данным 4х метеопунктов Бахмаро, Чохатаури, Хидистави, Анасеули и 4х гидрометрических постов Бахмаро, Чохатаури, Хидистави, Кведабахви; б) в бассейне р.Храми – также по данным 4х метеопунктов Болниси, Дманиси, Цалка, Самцвериси по показаниям 4х гидрологических постов Самцвериси, Дагетсачин, Едиклиса и Бейукчай. Временные ряды осадков и стока соответствуют 46летнему периоду 19411987 гг. Отсутствующие элементы этих рядов были восстановлены по корреляционным полям осадков и стока с использованием метода разложения случайной функции в многомерном пространстве по естественным ортогональным векторам [1, 3, 4]. Коэффициент корреляции между годовыми нормами осадков для станций, расположенных в бассейне р.Супса, оказался в пределах 0,550,86, а для пунктов в бассейне р.Храми в интервале 0,610,85. Коэффициент корреляции между среднегодовыми величинами стока рек бассейна р.Супса колеблется в пределах 0,310,53, для рек бассейна р.Храми – 0,300,72. Точность восстановления отсутствующих значений в рядах осадков составила около 7080%, в рядах стока – 6070%.

Изменения осадков и стока в рассмотренный период 19411987 гг, также, как для величин температуры и влажности, были аппроксимированы линейным законом, эмпирические коэффициенты которого определялись методом наименьших квадратов. На рис.2 и 3 представлены, соответственно, многолетние колебания осадков и стока, линейные тренды их изменения. В бассейне р.Супса атмосферные осадки примерно одинаково уменьшаются по всей территории в пределах 410 мм/год, что составляет от годовой суммы 0,20,6% в год. За 47 лет максимальное уменьшение осадков в бассейне наблюдалось на станции Хидистави – 450 мм, а минимальное в Анасеули – 170 мм. Таким образом, похолодание в бассейне р.Супса сопровождается заметным уменьшением осадков на водосборе.

Изменение осадков в бассейне р.Храми носит неоднородный характер и происходит менее интенсивно, чем в бассейне р.Супса. В нижней и средней части бассейна отмечается уменьшение осадков в пределах 0,52,3 мм/год (порядка 0,10,4% от годовой суммы в год). В верховых бассейна тенденция меняет знак и здесь увеличение осадков за 47 лет составляет более, чем 70 мм (0,2%/год). При территориальном усреднении изменение осадков на водосборе является незначительным (0,68мм/год или –0,1%/год).

В бассейне р.Супса неизменный сток в верхней (Бахмаро) и в средней (Кведабахви) ее части, также, незначительное уменьшение в нижней части (Чохатаури, $-0,001 \text{ м}^3/\text{с}$ в год или –0,1% от нормы в год) абсолютно не согласуются с данными гидрометрического створа в Хидистави, где отмечено

довольно заметное увеличение стока до $0,2 \text{ м}^3/\text{s}$ в год или порядка 1% от нормы в год. Тем более этот факт является удивительным, так как пункты Чохатаури, Хидистави и Кведабахви, находящиеся на равнинной местности, сравнительно близко расположены друг от друга. Если даже исключить из анализа данные створа Хидистави, то неизменный сток в бассейне р. Супса, все равно находится в несоответствии со значительным уменьшением осадков на водосборе.




Рис.2. Многолетние колебания осадков и их линейные тренды в бассейнах р. Супса
 (а) – станции 1.Бахмаро, 2.Чохатаури, 3.Хидистави, 4.Анассули, р. Храми (б) –
 станции 1.Болниси, 2.Дманиси, 3.Цалка, 4.Самтавро.




Рис. 3. Многолетние колебания стока и их линейные тренды в бассейнах р. Супса (а) – посты 1.Бахмаро, 2.Чохатаури, 3.Хидистави, 4.Кведа-Бахви, р. Хами (б) – посты 1.Самцвериси, 2.Дагестачин, 3.Едиклиса, 4.Бейуйчай.

В бассейне р.Храми сток также фактически не изменяется, его некоторое уменьшение отмечено только по данным поста Дагетсачин и составляет порядка $-0,1 \text{ м}^3/\text{с}$ в год или $-0,6\%$ от нормы в год. В этом случае постоянный сток в бассейне в основном соответствует неизменной сумме осадков, выпадающих на водосборе.

Использование рассмотренной модели для решения практических задач затруднительно вследствие отсутствия данных наблюдений над загрязняющими элементами, влекомыми поверхностными потоками в водохранилище с прилегающих земельных угодий. В связи с этим, можно использовать приближенное значение надежности качества воды на основе зависимости, полученной детерминистическим способом, которая функционально связывает итоговый обобщенный параметр с независимыми параметрами. Эта зависимость может иметь вид

$$Y = f(X_1, X_2, \dots, X_n).$$

Если зависимость линейная, то тогда получение математического ожидания и среднеквадратического отклонения не связано с большими трудностями.

Этим методом был определен риск загрязнения Тбилисского водохранилища биогенными элементами, который для азотных соединений составил

26%, а для фосфатных 18%. Аналогичные оценки для Сионского и Цалкинского водохранилищ дали величину риска загрязнения азотными соединениями соответственно 27 и 38%.

Как видно, загрязненность водохранилищ биогенными элементами доходит до катастрофического уровня, что может повлечь за собой (в особенности в случае Цалкинского водохранилища) активизацию эвтрофикационных процессов, что в конечном итоге может означать гибель водохранилища.

Удк 551.48:627.8.

წყალსაცავებში წყლის ხარისხის განსაზღვრის საიმედოობის შეფასება. /დ.კერძესეგლიძე, გ.გრიგოლიძე/. პჰის შრომათა ქრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.76-80. – ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

წყალსაცავების წყლის შემაღებელობისა და ხარისხის რაოდენობრივი განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა საიმედოობის ოკრიის რიგი და ბულება. წყლის ხარისხის საიმედოობად მიღებულია მის განსაზღვრელი ქიმიური ელემენტების ისეთი ალბათური მნიშვნელობა, როდესაც მათი კონცენტრაციები არ აღემატება ზღვრულ დასაშვებ მნიშვნელობებს. წყლის ხარისხის საიმედოობა შეფასებული იქნა პარამეტრული მოდელით, რისთვისაც გამოყენებულია შემთხვევითი ფუნქციების ამოგარდნათა თეორია. სამდგრავის, ხომისა და წალკის წყალსაცავების წყლის ხარისხის ზოგიერთი ელემენტებისათვის დაგენილ იქნა საიმედოობის მახასიათებლები. ცხრ.1. UDC 551.48:627.8.

Assessment of reliability of determination of quality of water in reservoirs.
/D.Kereselidze, G.Grigolia/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.79-80.Georg.: Summ. Georg., Eng., Russ.

To make a quantitative determination of the water composition and its features in reservoirs, a number of problems of a reliability theory have been used. The water quality is considered to be reliable, if concentrations of chemical elements, determining the water quality, do not exceed the maximum permissible values. The water quality reliability has been assessed as a parametric model, using the theory of random functions fallout. The reliability characteristics have been determined for some elements of the quality of water in Samgori, Sioni and Tsalka reservoirs. Tab.1.

УДК 551.48:627.8.

Оценка надежности определения качества воды в водохранилищах. /Кереселидзе Д.Н., Григолия Г.Л./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.76-80. – Груз.; рез. Груз., Анг., Русск.

Для определения состава и количественных показателей качества воды в водохранилищах использован ряд положений теории надежности. За критерий надежности принято вероятное значение определяющих качество воды химических элементов, когда их концентрации не превосходят предельно допустимых значений. Надежность качества воды оценивается на основе параметрической модели, для чего использована теория выбросов случайных функций. Установлены показатели надежности для некоторых элементов качества воды Тбилисского, Сионского и Цалкинского водохранилищ. Таб.1.

უაკ 556.535

ვ.ცომაია, მ.ფხაკაძე,

ლ.აპინაშვილი, ი.დანელოვა


1960-1970 წლების მცირე ჰარიოლიანი აცივების ჰიდრომეტეოროლოგიური თავისებულებანი გაგპასიის გლაციოლიგიური ზონაში

XIVXVII საუკუნეებში ატმოსფერული ნალექების სიუხვეს მოჰყვა კავკასიონის მცირე გამყინვარება. გამყინვარების 150 წლის შემდეგ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მყინვარებმა მიაღწიეს თავიანთი განვითარების მაქსიმალურ საზღვარს. კავკასიაში იგი ცნობილია ფერნაუს სტადიის სახელწოდებით. მას შემდეგ თითქმის საუკუნე ნახევრის განმავლობაში მყინვარები უკან იხევნენ, რასაც მოჰყვა მათი ფართობის 30%ით შემცირება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მყინვართა უკან დახევადეგრადაცია არ იყო უწყვეტი პროცესი, არამედ ეშირად ადგილი ჰქონდა სანმოქლე შეჩერებებს, წინსვლებს, რომელთა კვალი კარგადაა შემონახული ბოლო მორენებისა და ტროგული ხეობების ფერდობებზე ცელისებური ფორმის მყინვარების დაჯდომის შედეგად გაჩენილი ტერასების სახით. მათ მიკროსტადიურ მორენებს უწოდებენ. ასეთი მორენების რიცხვი კავკასიონზე 67ია [6]. მყინვარების აქტივობაციის ყველაზე დიდი სანგრძლივობით გამოირჩევა 1960-1970 წლები. მის არსებობას კარგად ადასტურებს მყინვარებზე 1950-1990 წლების უწყვეტი სტაციონალური დაკირვებათა მონაცემების მასალა. დაკირვებათა მასალების გაანალიზებას ვ.ცომაიას მრავალი შრომა მიეძღვნა [1,3,914]. შრომებში აღნიშნულია, რომ დაბლა მდებარე მყინვარების (კოდორისა და ენგურის მდინარეების აუზში) უკან დახევა წელიწადში საშუალოდ შემცირდა 2035 მდან 510 მმდე, ხოლო გაძლიერდა წინსვლის პროცესი მაღლა მდებარე მყინვარებზე (რიონისა და თერგის მდინარეების აუზში) და ათი წლის განმავლობაში მათ წინ წაიწიეს 3050 მით, ზოგიერთ შემთხვევაში 184 მით (ადალაშუხეგლმერის გამყინვარება). ცალკეულ შემთხვევებში მყინვარების რეჟიმზე მოქმედი ფაქტორების გამძაფრების შედეგად ადგილი ჰქონდა კიდევ უფრო დიდ კატასტროფულ წინსვლას 650 მმდე მყინვარ მურკარზე 1960 წელს (ბაზარდუზის გამყინვარება) [11], მყინვარ კოლაზე 4630 მმდე 1969 წ (ყაზბეგის გამყინვარება) [12].

მყინვართა ენის რევეზობა დროში კარგად არის ასახული ნახ. 1ზე მკაფიოდ არის გამოყოფილი 1960-1970 წლების აქტივობაციის პერიოდი. ამ პერიოდში მყინვართა აქტივობაციას ადგილი ჰქონდა

პიროვნება – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

არა მარტო კავკასიონზე, არამედ ალპებში, ტიანშანში, ჰიმალაიში, კორდილიერებზე, ანდებზე [7].



ნახ.1.მყინვარი გერგეტის განივ პროფილზე (3650 მ) ზედაპირის საშუალო წლიური სიჩქარეების დამოკიდებულება წინა 4 წლის საშუალო წლიურ ნალექებთან და წერტილებთან დატანილ აბლაციის საშუალო ოვიურ (IV-IX) ტემპერატურათა ჯამთან (1). ყაზბეგის გამყინვარების ფირნის ველზე მოსული ნალექების გაუმდნარი ფენის ჩამონადენის დამოკიდებულება მყინვარების ენის განივ პროფილების სიმაღლეზე (2).

ამდენად, მეტად საინტერესოა 1960-1970 წლების მყინვარების აქტივურისაციის პიდრომეტეროლოგიური და პიდროქიმიური თავისებურებანი. მათი დაღგხნა ემყარება ატმოსფერული ნალექების, პარეის ტემპერატურის, მდინარეების ჩამონადენისა და მდინარეის წყლის მინერალურიაციის ცვალებადობის შესწავლას. აღნიშნული მასასიათებლების ცვლილება პირდაპირ კავშირშია კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან. სხვადასხვა რეგიონების მდინარეთა აუზებში ცვლილება განსხვავებულად მიმდინარეობს. მყინვართა აქტივიზაცია ცველაზე მეტად მგრძნობიარეა ატმოსფერული ნალექების რაოდენობის დროში ცვლილებისას [4,8] და ასეაც მდინარეთა ჩამონადენისა და მათი წყლის მინერალურიაციის ცვლილებაში, რომელთა რყევა ნორმიდან 25-50%მდეა. რაც შეეხება პარეის ტემპერატურას, იგი საუკუნოვანი სვლის დროს ნორმიდან არა უმეტეს 0.4 0.5° ფარგლებში მერყეობს [2,3] და, ამდენად, არ ახდენს მყინვართა აქტივიზაციაზე დიდ გავლენას.

პიდროლოგიური თავისებურებების გამოსავლენად ატმოსფერული ნალექებისა და მდინარეთა ჩამონადენის ცვლილებანი 5 წლიანი პერიოდის საშუალო სიდიდეების სახით წარმოდგენილია ცხრ.1ში როგორც მყინვარული, ასე არამყინვარული მდინარეებისათვის.

ცხრ.1დან ჩანს, რომ 6070იან წლების მცირე აცივების პერიოდს წინ უსწრებდა 56 წლიანი (1956-1960 წლები) უხვნალექიანი წლები, რომლებსაც მოჰყვა ასევე მყინვარული მდინარეების უხვევლიანობა. არამყინვარულ მდინარეებზე ჩამონადენი ნორმასთან ახლოს ან მასზე ნაკლები დარჩა, დაახლოებით 23%-ის ფარგლებში. მეორე 56 წლიან პერიოდში ადგილი პქონდა შებრუნებულ სურათს. კერძოდ, მყინვარულ მდინარეებზე ჩამონადენი შემცირდა, ხოლო არამყინვარულ მდინარეებზე კი იგივე დარჩა, როგორიც ის იყო პირველ 56 წლიან პერიოდში. ასეთი ცვლილებების სასიათი გაგრძელდა 1970 წლამდე, რასაც მოყვა ჩამონადენის ზრდა როგორც მყინვარულ, ასევე არამყინვარულ მდინარეებზე.

ჩამონადენის შემცირება მყინვარულ მდინარეებზე, მიუხედავად მაღალი უხვნალექიანობისა, აისხნება მყინვარულ აუზებში ნალექების დაგროვებით მყინვარის ზედაპირზე, ე.ო. თოვლის საფარით დაკავებული ფართობის ზრდით. ამის შედეგად ადგილი პქონდა მყინვარების დნობის პროცესების შეჩერებას და ალბედოს ზრდას, რაც იწვევს მყინვარებზე მიმდებარე პარეის მასების აცივებას. ეს აცივება მით უფრო შესამჩნევია, რაც უფრო მეტია მყინვარისა და თოვლის საფარით დაფარული ტერიტორიის ფართობი.

მციონების (1960-1970) პერიოდის პილოტურ მახასიათქმლის შენიშვნით 1.

(Եկամուռ լոն զանոնից լուսածություն)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
Ա. Կողման			730													
Ալ. Քերտունչյան	144	52.0	2790	355	134	19.7	12.6									
Բայ. Ա. Միկոյան	146	13.1	2730	376	11.8	15.9	10.1									
Ար. Խաչիստան- ի հանդիսական	2780	288	2320	424	111	133	112									
Առ. Հարաբեկյան			1610		2042	2025	2024	1956	2156	1889	5.8	5.8				
Աթերինոսո			170		2039	2911	1849	1855	1746	1936	13.8	14.0	14.1			
Թայ. Հարություն- ի հանդիսական	558		1160	296	32.4	29.3	31.4									
Հայ. Հայոցայտ			1943		1276						3.2	3.4	3.1	3.7	4.0	3.8
Տայ. Խովեն			760		1393						94	9.7	9.6			
Ալ. Պետրոս- ի հանդիսական	45	2.5 ⁺	2660	380	3.9		2.67									
Զայ. Յիշելիան- պո-կազմություն	560	10.2	2240	398	23.4	24.1	20.1									

მაგალითად, მყინვართოვლის 9 ქმ²ის საფარის ფართობის შემთხვევაში ჰაერი ცივდება 0, 1, 2 და 5°C-დე შესაბამისად 600, 400, 200 და 80 მ სიმაღლეებზე. თუ ეს ფართობი გაიზარდა 16 ქმ²-დე, მაშინ აცივების ზედა საზღვარი მიაღწევს შესაბამისად 800, 600, 300 და 100 მ. ასეთი გადაცივების შედეგად მცირდება მყინვარების პიდროლოგიური ეფექტურობა, რადგან კარგადაა ცნობილი, რომ თოვლის საფარი იცავს მყინვარს დნობისაგან. თუ მყინვარი მთლიანად დაფარულია თოვლის საფარით, მისი თხევადი ჩამონადენი 3.54 ჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩამონადენი მყინვარისა, რომელიც თავისუფალია თოვლის საფარისაგან [13]. ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს უხვნალექიანი 1963 წელი, როდესაც მდ. კოდორის აუზში მოვიდა 35%-ით ნორმაზე მეტი ნალექი. მაგრამ მყინვარულ მდინარეებზე დანადრასა (ს. დგანდრა) და ჩხალთაზე (ს. ჩხალთა) ჩამონადენი გაიზარდა მცირედ, 34%-ით ნორმასთან შედარებით (20.5:19.9 და 39.8:38.2). არამყინვარული ფართობის მატებისას ეს სიდიდე, მდ. კოდორი ს. ლათას მაგალითზე, გაიზარდა 13%-ით (99.4:90.1). არამყინვარულ მდინარეებზე (გუმისთა ს. აჩადარა) ნალექების 24%-ით მატებას მოჰყვა ჩამონადენის ზრდა 20%-ით ნორმასთან შედარებით.

ანალოგიური შემთხვევა განმეორდა მდ. ენგურის აუზში. ნალექების 2225%-ით მატების შედეგად, 1963 წლის მონაცემების მიხედვით, მყინვარულ მდინარეებზე მესტიაჭალა (ქმესტია) და ნაკრა (ს. ნაკრა) ჩამონადენი 1820%-ით ნაკლები აღმოჩნდა ნორმაზე (9.4:11.8 და 9.3:11.8). არამყინვარული ფართობის ზრდასთან დაკავშირებით მდ. ენგურის (ს. ხაიში) ჩამონადენი 18%-ით მეტი გახდა ნორმაზე (130:111).

მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ უხვი ატმოსფერული ნალექების დროს მყინვარების პიდროლოგიური როლი მცირდება, რაც გამოიხატება ჩამონადენის კლებაში.

აღნიშნულთან ერთად მეტად საინტერესოა მდინარეების წყლის მინერალიზაციის დინამიკა. გ. განებენილაძის შრომის თანახმად მინერალიზაცია დამოკიდებულია მდინარის წყლიანობაზე [5]. ამდენად, მყინვარების პიდროლოგიური ეფექტიანობის შემცირებასთან მიმართ იზრდება მინერალიზაციის სიდიდე.

მოყვანილი ცნობებიდან აშკარაა, რომ 1955-1960 წლების ხშირი, ნორმაზე მეტი ნალექების გამო (ცხრ. I), წარმოშობილი თოვლის საფარი დნობას ვერ ასწრებდა და ადგილი პქონდა გაუმდნარი ფენის დაგროვებას ძირითადად ფირნის ველში, რომელიც მყინვარის საზრდოს წარმოადგენს. შეიძლება დაგასკვნათ, რომ, რაც უფრო მეტია გაუმდნარი ფენის სისქე და რაც ნაკლებია აბლაციის პერიოდში ჰაერის ტემპერატურა, მთ მეტია მყინვარების აქტივობაცია (ნახ. I). იქვე მოყვანილი გრაფიკი გვიჩვენებს ფირნის ველზე დაგროვილი ნალექების გავლენას მყინვარების სიჩარეზე, მათ გააქტივებაზე. იგი

ვლინდება 10 წლის შემდეგ მყინვარების მაილისა და დევორაკის 24002700 მ სიმაღლეზე, 8 წლის შემდეგ მყინვარების გერგეტისა და სუათისის 30803100 მ სიმაღლეზე, 7 წლის შემდეგ მყინვარ აბანოს 3380 მ სიმაღლეზე და 2,5 წლის შემდეგ მყინვარ გერგეთის 3580 მ სიმაღლეზე [3].

ლიტერატურა – REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. სვანიძე გ.ცომაია ვ. გარემოს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონკრეტის ეროვნული ბიულეტენი.1999,თბილისი,გვ.5765.
2. თავართქილაძე კ., ელიზბარაშვილი ე., მუმლაძე დ., ვაჩნაძე ჯ. საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ვალის ცვლილების ემპირიული მოდელი. თბილისი,1999,123 გვ.
3. ცომაია ვ. მთიან რეგიონებში თოვლდაგროვების კანონზომიერებათა გლაციოლოგიური და ჰიდროლოგიური საფუძვლები (საქართველოს მაგალითზე). ავტორეფერატი,თბილისი,1995,62 გვ.
4. Гагуа В.П., Папинашвили Л.К. Сб."Физические основы изменения современного климата".М.,1981,с.122124.
5. Гачечиладзе Г.А. Гидрологические аспекты химической денудации в горных регионах (на примере Груз. ССР). Л., Гидрометеоиздат, 1989, 295 с.
6. Гобеджишвили Р.Г. Ледники Грузии. Изд."Мецниереба",Тбилиси, 1989, 128 с.
7. Котляков В.Ш. Мир снега и льда.Изд."Наука",М.,1984,250 с.
8. Сваниძе Г.Г.,Папинашвили Л.К. Характер современных колебаний климата Закавказья.Сборник работ СоветскоАмериканского симпозиума по моделированию климата, климатическим изменениям и статистической обработке климатических данных. Москва, Ванкувер,1979.
9. Цомая В.Ш.Тр.ВГИ, вып.12,Л.,Гидрометеоиздат, 1967, с.317329.
10. Цомая В.Ш. Тр.ЗакНИГМИ,вып.19(25),Л.,Гидрометеоиздат, 1965, с.4448.
11. Цомая В.Ш.,Агаев Ш.М.Тр.ЗакНИГМИ,вып.45(51),Л.,Гидрометеоиздат, 1970, с.171181.
12. Цомая В.Ш.,Дробышев О.А. Сб.работ ТбилГМО Грузинской ССР, вып.4,Тбилиси, 1970, с.4547.
13. Цомая В.Ш. Учет ледникового коэффициента при расчетах жидкого стока с ледника.МГИ,Хроника обсуждения,25,М.,1976, с.7783.
14. Цомая В.Ш. Изменение массообмена ледников Кавказа за последние 3040 лет и их влияние на водность рек. .МГИ,Хроника обсуждения, 38,М.,1980, с.125129, 202205.

უაპ 556.535

1960-1970 წლების მცირებერიოდიანი აცივების პიდრომებეოროლოგიური თავისებურებანი კავკასიის გლაციოლოგიურ ზონაში. /გ.ცომაია,

მ.ფხავაძე, ლ.პაპიშვილი, ი.დანგლოვა/. პმის შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.82-90 – ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

დადგენილია, რომ გასული საუკუნის 6070იან წლებში ადგილი პქნინდა კავკასიის მყინვარების აქტივიზაციას. დაბლა მდებარე მყინვარების უკანდახვის სიჩქარე შენელდა 3035 მეტრიდან 510 მეტრამდე წელიწადში (მდინარეების კოდორის და ენგურის აუზებში). მაღლა მდებარე მყინვარებზე აღინიშნებოდა მათი მყინვარული ენების წინსვლა 3035 მეტრამდე 10 წლის განმავლობაში (მდინარეების რიონის და თერგის აუზის მყინვარები), ზოგიერთ მყინვარზე კი კატასტროფული წინსვლა 650 მეტრიდან 1960 წელს მყინვარ მურკარზე (ბაზარდუზის გამყინვარება) 4630 მეტრამდე 1969 წელს მყინვარ კოლპაზე (ყაზბეგის გამყინვარება).

მყინვარების აქტივიზაცია არის 19551965 წლებში ნორმაზე 2025%ით მეტი მოსული ატმოსფერული ნალექების შედეგი, რასაც ამტკიცებს თხევადი ჩამონადენის 820%ით შემცირება ნორმასთან შედარებით ძლიერ. გამყინვარების მდინარეებზე (მდინარეები მესტიაჭალა, ნაკრა და სხვ.), რადგან ძლიერ შემცირდა მყინვარების აბლაცია და ისინი დაფარულნი იყვნენ თოვლის საფარით. მყინვარების ჰიდროლოგიური ეფექტიანობის შემცირებასთან ერთად გაიზარდა მდინარის წყლის მინერალური ილ.1,ცხრ.1,ლიტ.დას.14.

UDC 556.535

Hydrometeorological peculiarities of small cold period of 19601970es in the glacial zone of the Caucasus. /V.Tsomaia, M.Pkhakadze, L.Papinashvili, I.Danelova/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.82-90.Georg.: Summ. Georg., Eng., Russ.

It has been established that in the 6070es of the past century the activation of the Caucasus glaciers took place. At low descending glaciers the rate of retreat was slowed down from 3035 m/yr to 510 m/yr (glaciers of Kodori and Enguri basins). At highly located glaciers advance of their tongues up to 3050 m per decade is fixed (glaciers of Rioni and Tergi basins). Catastrophic offensives up to 650 m on some glaciers took place in 1960 (the Murkar glacier of Bazarduze glaciation) and even to 4630 m in 1969 (glacier Kolka of the Kazbek glaciation).

Activation of glaciers is the result of growing precipitation in 19551965, exceeding the annual norms by 2025%, that caused the accumulation of growing layer of precipitation, which is confirmed by the decrease of liquid runoff by 820% down to the norm on the rivers with significant glaciation (Mestiachala, Nakra end others). The decrease of hydrological efficiency of glaciers is accompanied by the increase of mineralization of water in rivers. Fig.1,Tab.1,Ref.14.

УДК 556.535

Гидрометеорологические особенности малого похолодания 6070х годов в гляциальной зоне Кавказа. /Домая В.Ш., Пхакадзе М.В.,Папинашвили Л.К.,Данелова И.Р./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.82-90. – Груз.; рез. Груз.,Анг.,Русск.

Установлено, что в 6070х годах прошлого века наблюдалась активизация ледников Кавказа. На низкospускающихся ледниках имело место замедление скорости их отступания от 3035 до 510 м/год (ледники бассейнов рек Кодори и Ингури). На высоко заканчивающихся ледниках отмечены наступления их языков до 3050 м за 10 лет (ледники бассейнов рек Риони и Терек), а на некоторых ледниках катастрофические подвижки до 650 м в 1960 г. ледника Миркар (Базардюзского оледенения), до 4630 м в 1969 г. ледника Колка (Казбекского оледенения).

Активизация ледников является результатом выпадения большого количества осадков в 19551965 гг, превысивших норму на 2025%. Ввиду этого в ледниковых бассейнах имело место накопление твёрдого слоя осадков, что подтверждается уменьшением жидкого стока до 820% ниже нормы на реках со значительным оледенением (реки Местиачала, Накра и др.). С уменьшением гидрологической эффективности ледников увеличилась минерализация речных вод. Рис.1,таб.1,лит.14

ჰიდროლოგია – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

**ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გარემობის, ფონდი № 106, 2001
TRANSACTIONS OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.#106, 2001
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ , ТОМ № 106, 2001**

უკავ 556.06 : 556.166

ცაბასილაშვილი

საქართველოს მდინარეთა ფქალდიდობის მასიმალური
ხარჯების პროგნოზირებისა ჰიდროლოგიური ინიციატივის
შეზღუდულობის პირობები

სადღეისოდ ძირითადად აღარ მიმდინარეობს მდინარეთა წყლის ხარჯების გაზომვა. ხოლო იქ, საღაც აღდგა დაკვირვებები, საზომი ხელსაწყოები არ არის ტარიებული და, ამიტომ, მოსალოდნელია დიდი უზუსტობები. მდინარეთა ხარჯები კი არის ერთერთი ძირითადი ფაქტორი აღრე შემუშავებული პიდროლოგიური პროგნოზებისა, რომლებიც სადღეისოდ ამის გამო აღარ გამოიყენება.

მიტომ, მიზნად დაგისახეთ შევიმუშაოთ საპროგნოზო მეთოდიები პიდროლოგიური ინფორმაციის გარეშე. ამ მხრივ უკელაზე საჭიროებულო და მნიშვნელოვანია წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯები, რომელთა გავლას სშირად დიდი მატერიალური ზარალი მოაქვს. ისინი წარმოადგენერი დიდ საშიროებას მოსახლეობის, გარემოსა და პიდროლოგიური ნაგებობებისათვის.

პიდროლოგიური ინფორმაციის შეზღუდულობის პირობებში საკურადებოა ცხრ. I ში მოყვანილი მონაცემები, რომლებიც მიღებულია 1957-1980 წლების დაკვირვების მასალებით შედგენილი კომპლექსური გრაფიკების ანალიზით [1]. აქ საქართველოს მდინარეთა მთავარი პიდროლოგიური სამუშალო მნიშვნელობა და მისი გავლის საშუალო თარიღი, აგრეთვე უდიდესი ხარჯი თარიღით და მაქსიმუმის უმცირესი მნიშვნელობა.

1936-1975 წლების მონაცემების ანალიზით [2] წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების გავლის სიხშირე (შემთხვევათა რაოდენობა) ცალკეული თვეების მიხედვით ასე წარმოიდგინება:

მდინარე – პუნქტი	III	IV	V	VI	VII	VIII
ენგური – ხაიში	–	–	3	8	18	6
რიონი – ალპანა	1	13	9	8	4	4
კვირილა – ზესტაფონი	15	9	7	4	2	–
მტკვარი – თბილისი	1	19	16	5	–	–
ალაზანი – შაქრიანი	–	5	11	15	6	2

თუ პროცენტულად ვიანგარიშებთ, მაქსიმალური ხარჯების გავლა ხდება მდ. ენგურზე ხაიშთან ივლისის თვეში 57%, კერძოდ, მის I დეკადაზე მოდის კველაზე მეტი შემთხვევა (26%) კველა სხვა დეკადებთან შედარებით; მდ. რიონზე ალპანასთან პიკი გაედინება

პიდოლოგია – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

ივნისში 49%, რომლის II დეკადაზე მოდის 28%; მდ. ყვირილაზე ზესტაფონთან აპრილში 51% და მის I დეკადაზეა 21%; მდ. მტკვარზე თბილისთან მაისში 47% და მის I დეკადაზე მოდის 24%; მდ. ალაზანზე შაქრიანთან ივნისში 40%, რომლის I დეკადაზეა 24%.


ცხრილი 1 საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების ($\text{მ}^3/\text{წ}\cdot\text{მ}$) საშუალო მახასიათებლები

მდინარე – პუნქტი	სატემპო აუცილებელი თვეები	საშუალო		ექსტრემულები		
		აბიტუნი აბიტუნი	თარიღი	მდინარე	თარიღი	ატენი
კოდორიდათა	1420	496	26.06	1040	09.05.77	274
ენგურიიფარი	362	58.6	03.07	107	09.05.71	37
მესტაჭალამესტია	144	75.6	22.07	351	06.06.69	32.5
ხობილეგახარა	310	120	07.06	277	13.04.75	71.5
რიონიონი	1060	193	13.06	338	30.04.72	134
რიონიალპანა	2830	448	22.05	605	03.04.58	276
ყვირილაზესტაფონი	2490	379	02.04	646	09.02.73	140
ძირულაწვევა	1190	224	03.04	468	19.02.73	28
წევრიმელახარაგაული	398	85.5	07.04	173	19.03.73	36.7
ხანისწყალიბაღდათი	655	86.3	18.04	209	22.02.60	42
ცხენისწყალიორცხმელური	1450	325	11.06	656	27.04.65	174
ზესხოთხესხო	44.8	21.1	11.07	63.8	03.06.64	8.27
ჭოროხიერგე	22000	1150	01.05	2100	05.04.75	739
აჭარისწყალიქედა	1360	240	18.04	640	21.02.60	146
მტკვარიხერთვისი	4980	254	03.05	742	07.04.70	124
მტკვარიგრაკალი	16700	799	28.04	1910	05.04.79	351
ფოცხოვისხვილისი	1730	165	02.05	581	05.04.79	71.2
ბორჯომულაბორჯომი	165	27	23.04	59	30.03.70	13.3
დიდი ლაიხიჯავა	646	97.1	21.05	185	18.04.57	46.5
თეთრი არაგვიფასანაური	335	66.2	26.05	166	10.04.80	34
ფშავის						
არაგვიმაღაროსკარი	736	109	01.06	338	26.04.65	50.1
ალგერიფარცხისი	359	66.5	09.05	167	22.03.74	5.61
ქცია ხრამიედიძილისა	544	69.5	05.05	105	10.04.80	30.6
ოორილელოვანი	494	148	27.05	324	01.04.70	68.4
ალაზანიბირქიანი	282	80.9	05.06	365	06.04.75	34
ალაზანიშაქრიანი	2190	276	05.06	486	11.04.67	124

ჩვენს მიერ, 1990 წლამდე არსებული დაგვირვების მასალების ან-ალიზით, მიღებული წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების სტატის-

ტიქური მახასიათებლები მოცემულია [3] შრომაში, საიდანაც ირკვევა, რომ მაქსიმალური ხარჯების ცვალებადობა (ვარიაცია) წლიდან წლამდე ყველაზე ნაკლებია ($C_v=0.240.40$) მაღალმობიან მდინარეებზე, სადაც ისინი რეგულარულად ფორმირდებიან, მირითადად, მდგრადი თოვლისა და მყინვარული წელებით. ყველაზე დიდი ცვალებადობით $C_v=0.710.72$ გამოიჩინებიან მაქსიმალური ხარჯები მდ. ქსანზე და მდ. ალაზანზე, მდინარე არაგვის შენაკადებზე $C_v=0.500.52$. რაც შეეხება მაქსიმალური ხარჯების ასიმეტრიის კოეფიციენტებს, ისინი მერყეობენ $C_a=1.023.69$ ფარგლებში.

ნახ.1ზე მოცემულია ჩვენს მიერ მიღებული წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების უზრუნველყოფის მრუდები მდინარეების ენგურის, რიონის, ყვირილას და ხანისწყლის საკროგნოზო ჰიდროკვეთებისათვის.



ნახ.1. გაზაფხულის წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების უზრუნველყოფის მრუდები. 1.ენგური-ხანი; 2.რიონი-ალაზან; 3.ყვირილა-ზენტრი; 4.ხანისწყლი-ბადათი.

აღსანიშნავია, რომ მდ. ენგურის აუზში ჯვრის წყალსაცავამდე და მდ. რიონის აუზში სოფ. ნამოხევანამდე, შეუსწავლელ მდინარეთა წყალდიდობის ჩამონადენის განსაზღვრისთვის ჩვენს მიერ აგებულია დამოკიდებულებები აუზის ფართობთან (ρ^2) და წყლის საშუალო

წლიურ ხარჯებთან $(\delta^3/\delta\theta)$, რომელნიც ანალიტიკურად ასე გამოიყერებიან:

$$Q_{\text{IYYIII}} = aA, \quad (1)$$

$$Q_{\text{IYYIII}} = bQ, \quad (2)$$

სადაც მდ. ენგურის აუზისათვის $a=0.085$, $b=1.85$, მდ. რიონის აუზისათვის კი $a=0.062$, $b=1.70$.

საქართველოს მდინარეებზე წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯები ფორმირდებიან ექსტრემალურად, როცა ხდება თანხვედრა თოვლის ინტენსიური დნობისა და დიდი თავსებმა წვიმებისა. ისინი სხვადასხვა მდინარის აუზში სხვადასხვანაირად ფორმირდებიან და, ამიტომ, არ არიან იდენტური. გარდა ამისა, წყალდიდობის პიკზე დიდ გავლენას ახდენს ატმოსფერული ნალექების ინტენსივობა, მათი განაწილება ტერიტორიაზე და კიდევ ბევრი სხვა ელემენტები, რომელთა განსაზღვრა არ ხერხდება პროგნოზის გაცემისას და, ამიტომ, იზდუდება მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება, რომელნიც გავლენას ახდენენ მაქსიმალური ხარჯების ფორმირებაზე.

ამ მიზეზთა გამო მეტად რთულია წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების გრძელვადიანი პროგნოზირება. პროგნოზი დგება მარტის III დეკადის შუა რიცხვებში, როცა არსებობს მხოლოდ მწირი ინფორმაცია შემოდგომისა და ზამთრის მეტეოლოგებზე. საპროგნოზო პერიოდში (24 თვე) და განსაკუთრებით მისი ფორმირების ექსტრემალურ სიტუაციაში მოქმედი ფაქტორების პროგნოზი კი არ სებობს.

სწორედ ამის გამო, მიუხედავად ჩვენი მრავალმხრივი კვლევისა, მრავალფაქტორიანი სტატისტიკური საპროგნოზო მოდელის და სათანადო სამანქანო პროგრამების [4,5] გამოყენებით, ვერ იქნა მიღებული დიდი სიზუსტის საპროგნოზო დამოკიდებულებები, რომლებიც მოცემულია ცხრ.2ში. აქ პროგნოზები შეფასებულია შემდეგი კრიტერიუმებით: S/S პროგნოზების საშუალო კვადრატული ცდომილების (S) შეფარდება მდინარის მაქსიმალური ხარჯების საშუალო კვადრატულ გადახრასთან (σ), რომლის მნიშვნელობა სათანადო დარიგების მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 0.80ს [6], P%პროგნოზების გამართლების უზრუნველყოფა, რომელიც დამაკიყოფილებლად ითვლება, თუ $P>60\%$, რ კორელაციის კოეფიციენტია ფაქტიურსა და პროგნოზულ მნიშვნელობებს შორის, რომელიც მეტი უნდა იყოს 0.60ზე, თუ კი მნიშვნელობების გარემონტირების უფლებაზე მეტი კი მეტი უნდა იყოს 50%ზე.

დასავლეთ საქართველოს მდინარეებიდან ენგურის, რიონის და უვირილასათვის მიღებული საპროგნოზო დამოკიდებულებათა

შეფასების მთავარი კრიტერიუმი $S/\sigma \geq 0.8$, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პროგნოზები შეიძლება გაიცეს კონსულტაციების სახით.

მდ. ენგურზე მაქსიმალური ხარჯები გაიღლიან ივლისის თვეში, ე.ი. ოპერატორის პროგნოზის შედგენიდან 33,5 თვის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდში აქ ხშირად აღინიშნება თავსებმა წვიმები, რომელთა პროგნოზირება ჯერ კიდევ შეუძლებელია. ამიტომ, შევისწავლეთ კორელაციური მატრიცა მაქსიმალურ ხარჯებსა (Q_{max} $\text{მ}^3/\text{წ}$) და უველა არსებულ ფაქტორებს შორის, რომელთა ინფორმაცია შეიძლება არსებობდეს მარტის თვის ბოლოს: ნალექები (P_{MM}), ჰაერის ტემპერატურა ($\theta^{\circ}\text{C}$), თოვლში წყლის მარაგი (W მმ) და თოვლის საფარის სისქე (d სმ).

პირველ რიგში განვიხილეთ კავშირები ატმოსფერულ ნალექებთან. აღსანიშნავია, რომ როგორც გასაშუალებული, ისე ცალკეული მეტეოპუნქტების მონაცემებით გამოთვლილი ცალკე შემოდგომის, ზამთრის და გაზაფხულის ნალექების ჯამის კავშირის სიზუსტე მაქსიმალურ ხარჯებთან არ აღემატება $r \leq 0.30$. მხოლოდ თებერვლის თვის ნალექები ცალკეულ მეტეოპუნქტებთან იდლევიან კავშირს სიზუსტით $r=0.330.37$.

სხვადასხვა პერიოდის ჰაერის ტემპერატურასთან კავშირის სიზუსტე შეადგენს $r=0.040.12$, მხოლოდ აპრილის თვის ტემპერატურის კავშირით მაქსიმალურ ხარჯთან მიიღება $r=0.29$.

სამწუხაროდ ძალიან უშედეგო აღმოჩნდა, აგრეთვე, კავშირები მაქსიმალურ ხარჯებისა მის ძირითად მაფორმირებელ ფაქტორებთან თოვლის საფაროთან. მისი არც მარშრუტული და არც დეკადური აგეგმვის მონაცემებით კავშირის სიზუსტე არ აღემატება $r=0.20$. მხოლოდ მეზობელი აუზიდან მეტეოპუნქტი ლებარდეს თოვლში წყლის მარაგთან და მის სისქესთან (d სმ) $r=0.300.37$ შეადგენს.

ასეთ რთულ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, ძნელია რაიმე საპროგნოზო მოდელის შედგენა. უველა არსებული ფაქტორიდან სხვადასხვა მათვემატიკური კრიტერიუმისა და მრავალბიჯიანი გაცხრილვის მეთოდის გამოყენებით [4] მიღებულ იქნა შემდეგი საპროგნოზო მოდელი შესაბამისი მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტებით (R):

$$Q_{max}=f(P_{III}, \theta_{IV}, d_{max}, \theta_{XIII}, P_{XII}), \quad (3)$$

$$R = 0.37, 0.45, 0.512, 0.55, 0.55.$$

ვინაიდან აქ ბოლო ფაქტორი არ იძლევა კავშირის გაუმჯობესებას, ამიტომ, შეიძლება მისი უგულვებელყოფა. დარჩენილი ფაქტორებიდან კი სათანადო კვლევის [5] შედეგად მიღებული იქნა ის საპროგნოზო განტოლებები, რომლებიც მოცემულია ცხრ.2ში. მათი შეფასება შეადგენს $S=0.900.92$.

ცხრილი 2 წყალდინობის მაქსიმალური ხარჯების საპროგნოზო განვითალები და მათი შეფასება

	დღინარეკუნქტი	დასაშვილი ცდომილება	საპროგნოზო განვითალება	S/σ	P %	r	Э
ენგური – ხაიში	144	$Q_{\text{max}}=3.01P_{\text{III}}+0.73d_{\text{max}}=353$	0.92	62	0.45	47	
	144	$Q_{\text{max}}=16.5Q_{\text{XIII}}=1.35d_{\text{max}}+250$	0.09	60	0.48	62	
	144	$Q_{\text{max}}=1.96P_{\text{III}}+13.3P_{\text{XIII}}+1.11d_{\text{max}}$	0.09	62	0.51	65	
რიონი – ალპანა	75.4	$Q_{\text{max}}=0.401$	0.90	51	0.47	57	
ყვირილი – ხესტაგონი	116	$Q_{\text{max}}=0.476$ $Q_{\text{max}}=0.360$	0.93 0.91	63 67	0.40 0.46	46 50	
ხანიარეკლი – ბაღდათი	28.2	$Q_{\text{max}}=0.078$	0.75	69	0.68	65	
დიდი ლიახვი – ვესტი	16	$Q_{\text{max}}=0.244$ $Q_{\text{max}}=0.342$ $Q_{\text{max}}=0.232$	0.76 0.74 0.66	60 63 67	0.66 0.71 0.77	53 63 63	
ქსანი – გორინთა	30.7	$Q_{\text{max}}=7.65$	0.74	69	0.68	73	
ოქთია არაგვი – ფასანაური	21.1	$Q_{\text{max}}=0.16$ $Q_{\text{max}}=0.15$	0.86 0.84	67 72	0.55 0.60	61 67	
გმავის არაგვი მაღარისებარი	39.5	$Q_{\text{max}}=0.245$	0.90	75	0.53	50	

დასავლეთ საქართველოს მდინარეებიდან მხოლოდ მდ. ხანის-წყალისთვის იქნა მიღებული დადებითი შეფასების ($S/\sigma=0.75$) საპროგნოზო დამოკიდებულება თოვლაგეგმვის მარშრუტი ნაბეჭდლავ ბახმაროს მონაცემებით, რომლითაც პროგნოზი შეიძლება უკვე მარტის შუა რიცხვებში შედგეს.

ასეთივე, შედარებით კარგი შედეგი, მივიღეთ თოვლის აგეგმვის მონაცემებით მდ.ლიახვზე კეხვთან. აյ მაქსიმალური ხარჯები დაგაკავშირეთ როგორც თვით დიახვის აუზში, ისე მის მეზობელ მდ. არაგვის აუზში მდებარე მარშრუტების მონაცემებთან. მათი კავშირის სიზუსტე შეადგენს $r=0.66$ 0.71ს, ხოლო საპროგნოზო განტოლების შეფასების კრიტერიუმი $S/\sigma=0.740.78$. უფრო კარგ პროგნოზს ($S/\sigma=0.66$) იძლევა ერთობლივი გათვალისწინება თოვლში წყლის მარაგისა, აღრიცხული ჯვრის უდელტებილზე თებერვალში, და გუბთა ერწოს მარშრუტზე მარტში. ამ შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი ფაქტურსა და პროგნოზულ მნიშვნელობებს შორის შეადგენს $r=0.77$, პროგნოზების გამართლების უზრუნველყოფა კი $P=67\%$.

დადებითი შეფასების პროგნოზები მივიღეთ, აგრეთვე, მდ. ქსანზე კორინთასთან მ/ს ჯვრის უდელტებილზე თოვლში წყლის მარაგისა და მ/ს ფასანაურში ზამთრის ტემპერატურის ერთობლივი გათვალისწინებით. მათი შეფასების კრიტერიუმებია $S/\sigma=0.74$ და $P=69\%$.

მდ. არაგვის აუზის მონაცემებით, მართალია, მოხერხდა მდ.ლიახვის და ქსნის მაქსიმალური ხარჯების პროგნოზირება, მაგრამ, ამ მონაცემებით ვერ მოხერხდა თვით მდ. არაგვის შენაკადებისთვის დადებითი შეფასების პროგნოზების მიღება. მათი შეფასება $S/\sigma=0.840.90$, რომლებითაც გაიცემა პროგნოზები კონსულტაციების სახით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების ფორმირება ხდება რა მეტად როგორც ამინდის პირობებში, რაზედაც ნაკლებად მოქმედებები წინა პერიოდის ფაქტორები, ამიტომ, მათმა დამოკიდებულებამ მაქსიმალურ ხარჯებთან არ მოგვცა დიდი სიზუსტის საპროგნოზო კავშირები. მაგრამ, როგორც ცხრილი 2დან ჩანს, მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობა $\Theta=57-73\%$ და აჭ-არბებს მისი ნორმის გამოყენების ეფექტურობას 723% ით, რაც გვაძლევს იმის გარანტიას, რომ მათი გამოყენებით შეიძლება თავიდან ავიცილოთ დიდი მატერიალური ზარალი და მსხვერპლი. მიღებული პროგნოზების გამოყენების ეფექტურობა უდავოა იმის გამოც, რომ მათი დროულობა (საპროგნოზო პერიოდის ხანგრძლივობა) 1დან 3.5 თვეა. ამ პერიოდის განმავლობაში, საშიშროების დროს, თავისუფლად შეიძლება როგორც მოსახლეობის, ისე პირუტყვისა და მატერიალური ფასეულობის ევაკუაცია. ამ მიზეზთა გამო შემუშავებული

პროგნოზები სათანადო მეთოდური მითითებებით გადაცემულია ოპერატორები პროგნოზების გასაცემად.

ლიტერატურა – REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Государственный водный кадастр. Многолетние данные о режиме и ресурсах поверхностных вод суши. Том У1,Грузинская ССР, Гидрометеоиздат,Л., 1987.
2. Коциашвили Б.М. Труды ЗакНИГМИ, вып.87(94),М., Гидрометеоиздат,1990,с.2632.
3. ქ.ბასილაშვილი. პიდონოგებეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტომი 101, თბილისი, 1998, გვ.9399.
4. Басилашвили Ц.З. В кн. "Аннотированный указатель алгоритмов и программ. ВНИИГМИЦД,Обнинск,1977,с.43.
5. Басилашвили Ц.З., Плоткина И.Г. В кн.."Аннотированный перечень новых поступлений в ОФАП Госкомгидромета". ВНИИГМИЦД, вып.4, Обнинск,1978, с.21.
6. Наставление по службе прогнозов. Раздел 3,ч.1.Л., Гидрометеоиздат,1962.

უაგ 556.06 : 556.166

საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების პროგნოზირება პიდონოლოგიური ინფორმაციის შეზღუდულობის პირობებში. /ც. ბასილაშვილი/კმის შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.91-98.ქართ.; რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

სადღეისოდ საქართველოს მდინარეებზე აღარ მიმდინარობს წყლის ხარჯების გაზომვა, რომელიც წარმოადგენდნენ მთავარ ფაქტორს არსებულ საპროგნოზო დამოკიდებულებებში. ოპერატორები პროგნოზების გაცემის მიზნით შემუშავებულია საპროგნოზო განტოლებები პიდონოლოგიური ინფორმაციის გარეშე..

UDC 556.06:556.166

Forecasting maximum floods on the rivers of Georgia under limited hydrological data conditions./Ts.Basilashvili/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.91-98.Georg.:Summ.Georg., Eng., Russ.

Water discharge of Georgian rivers is not being measured at present, though it was the main element in available forecasting dependencies. To make operational projection, prognostic equations have been obtained without consideration of hydrological information.Fig.1,Tab.2,Ref.6.

УДК 556.06 : 556.166

Прогнозирование максимальных расходов половодья рек Грузии при ограниченной гидрологической информации. /Басилашвили Ц.З./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.91-98. – Груз.; рез. Груз.,Анг.,Русск.

В настоящее время на реках Грузии не производятся измерения расходов воды, которые являлись главными элементами в существующих прогностических зависимостях. Для выпуска оперативных прогнозов разработаны прогностические уравнения без учета гидрологической информации.

უაკ 631.675

ი.გელაძე, ნ.დევდარიანი, ს.კოპაძე,
გ.ჩიგვაძე, ო.შევლიძე

ოპტიმური მოწყვეტილების მოდელის მიზანი მირითადი კულტურების
ზრდაგანვითარების სხვადასხვა პრიორიტეტების აღმოსავლეთ
საქართველოს პირობებში

მორწყვის მიზანია სასოფლოსამეურნეო კულტურებს მოცემულ
კლიმატურ პირობებში ნიადაგში შევუქმნათ ტენიანობის ისეთი რეჟი-
მი, რომელიც მცენარის ზრდაგანვითარებისათვის საუკეთესო იქნება.
ამ მიზანის მისაღწევად აუცილებელია დამუშავებულ იქნას მეოთხივა,
რომელიც საშუალებას მოგცემს განვხასზღვროთ ის, თუ რა რაოდგ-
ნობის წყალია საჭირო (მორწყვის ნორმა) და როდის უნდა მივაწო-
დოთ იგი ნიადაგს. მორწყვის ნორმას უწოდებენ წყლის იმ რაოდგნო-
ბას, რომელიც ერთმა ჰექტარმა ფართობმა ერთი მორწყვის დროს
უნდა მიიღოს. ცხადია, მორწყვის ნორმა მუდმივ სიდიდეს არ წარმო-
ადგენს. იგი ერთი და იგივე კულტურისათვის მისი ზრდაგანვითარების
ფაზების მიხედვით იცვლება სავეგეტაციო პერიოდის განმავლო-
ბაში. მცენარის განვითარების დასაწყისიდანვე თანდათანობით იზ-
რდება წყალზე მოთხოვნილებაც, რაც თავის მაქსიმუმს აღწევს ვეგე-
ტაციის საწყისი პერიოდის მიწურულს, რის შემდეგ იწყებს შემცირე-
ბას და ვეგეტაციის ბოლოს თოთქმის ქრება. მორწყვის ნორმა ასევე
დამოკიდებულია სასოფლოსამეურნეო კულტურის სახეზე. ნიადაგის
მექანიკურ შედგენილობაზე, მისი აქტიური ფენის სისქეზე და ა.შ. მი-
უხედვად იმისა, რომ სარწყავი ნორმების დადგენასა და მორწყვის
ვადების განსაზღვრას, ანუ რწყვის რეჟიმის შესწავლას, მეცნიერებმა
საქმაოდ ადრეული დროიდან მიაქციეს კურადღება. საკითხი დღი-
სათვის საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. სწორედ ამის გამოა,
რომ სარწყავ რაიონებში რწყვა საჭირო ევექტს ვერ ახდენს. უფრო
მეტიც, ზოგჯერ არასწორი რწყვის რეჟიმის შემთხვევაში (რწყვაგადი-
დებული მორწყვის ნორმებითა და ვადების დარღვევით) ტერიტორია-
ზე მყარდება წყლის არასასურველი ბალანსი, მატულობს გრუნტის
წყლების დონე, რასაც მოსდევს ნიადაგის დაჭაობება და მეორადი
დამლაშება. უნდა აღინიშნოს, რომ გადიდებული მორწყვის ნორმებით
გამოწვეული ნიადაგის გადაჭარბებული ტენიანობა ისეთსავე არასა-
სურველ გავლენას ახდენს მცენარის ზრდაგანვითარებასა და მოსავ-
ლიანობაზე, როგორსაც ნიადაგში ტენიანობის ნაკლებობა.

მორწყვის ნორმის განსაზღვრა რამდენიმე მეთოდით შეიძლება.
მოცემულ ნაშრომში გამოყენებულია ა.ნ.კოსტიაკოვის მეთოდი [1],

რომლის თანახმადაც მორწყვის ნორმა M განისაზღვრება ფორმულით:

$$M = W_{\text{გლ}} + W_0 , \quad (1)$$

სადაც M მორწყვის ნორმა, $W_{\text{გლ}}$ ნიადაგის ზღვრული წელი გადობა, W_0 ნიადაგში ტენის დასაშვები მნიშვნელობის ქვედა ზღვარი (ჭერის კოეფიციენტი). ჩვენმა გამოკვლევებმა აჩვენა [3], რომ ნიადაგის ოპტიმალური ტენისობის ზედა საზღვარი ზღვრული წელი ტენის 95% შეადგენს: ამიტომ, მორწყვის ნორმა გამოვლილი იქნა ფორმულით:

$$M = 0.95W_{\text{გლ}} + W^1 , \quad (2)$$

სადაც W^1 — ოპტიმალური ტენისობის ქვედა საზღვარია.

აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადი სახოფლოსამეურნეო კულტურებია: საშემოდგომო ხორბალი, ქერი, ვაზი, ხეხილი, ჭარხალი, კარტოფილი, მზეუმზირა, თამბაქო, ბოსტნეული და ბაზჩეული, ეთერზეთვანი, სასილოსედ დათესილი კულტურები და ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები. საკვლევ ტერიტორიაზე განლაგებულ აგრომეტეოსადგურებზე არ არსებობს სათანადო მონაცემები, რომლებიც საშეალებას მოგვცემდა დაგვედგინა მორწყვის ნორმები ეთერზეთვანი, ბოსტნეული და ბაზჩეული კულტურებისათვის. ამიტომ, მათი მორწყვის ნორმების დასადგენად ვისარგებლეთ ლიტერატურაში არსებული და საპროექტო მონაცემებით. ზემოთ ჩამოთვლილი კულტურებიდან დანარჩენისათვის აგრომეტეოსადგურებზე არსებული დაკვირვების მონაცემებისა და ჩვენი გამოკვლევის საფუძველზე, (2) ფორმულით დადგენილ იქნა მორწყვის ნორმები მცენარეთა ზრდაგანვითარებისათვის.

ცხრ.1ში მოყვანილია საშემოდგომო ხორბლის (ქერის) მორწყვის ნორმები მმში სავგებებაციო თვეებში ნიადაგის 70 სმ ფენისათვის. საკვლევ ტერიტორიაზე ამ კულტურის თესება ოქტომბერში წარმოედს: დაბლობ რაიონებში თვის დასაწყისში, ხოლო მაღლობში თვის ბოლოს. თავისი აღმოცენებისა და ნორმალური ზრდაგანვითარებისათვის ეს კულტურა დათესვისთანავე წყლის საკმაო მარაგს საჭიროებს. განსაკუთრებით დიდ მოთხოვნილებას უუქნებს იგი სახნავ ფენას. თუ ამ ფენში წყლის მარაგი 20 მმზე ნაკლებია, მისი აღმოცენება და შემდგომი ზრდაგანვითარება საგრძნობლად ფერხდება.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აგრომეტეოსადგურების მიერ ნიადაგის ტენისობაზე წარმოქმდებული დაკვირვების მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ გარდა მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროს რაიონებისა, ნიადაგის ტენისობა სახნავ ფენაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, 20 მმზე ნაკლებია. ამიტომ, საშემოდგომო ხორბლის (ქერის) რწყვა დათესვისთანავე საჭირო. გამატენიანებელი

მორწყვა შეიძლება ვაწარმოოთ მხოლოდ სახნავ ან მთლიან აქტიურ ფენაში (070 სმ). შესაბამისად, ცხრ. 1ში შემოდგომის თვეებში (ოქტომბერი, ნოემბერი) მორწყვის ორი ნორმაა მოყვანილი: მრიცხველში სახნავი, ხოლო მნიშვნელში მთლიანი აქტიურ ფენისათვის. მორწყვის ნორმა საკვლევ რაიონებში საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება. სახნავ ფენაში იგი იცვლება 17 მმდან 33 მმდე და მისი სიდიდე ძირითადად განპირობებულია ნიადაგის მექანიკური შემადგენლობით. მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებში იგი 30 მმის, ხოლო მჩატეში 20 მმის ფარგლებშია. ვეგეტაციის განახლების შემდეგ მცნარის მოთხოვნილება წყალზე იზრდება. ნიადაგი წყლით უზრუნველყოფილი უნდა იყოს განსაკუთრებით დეროს გამოდების, დათავთავებისა და ოქსლის ფორმირების დროს. ამ ფაზთაშორის პერიოდში ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი მაღალია, ამიტომ, აც მორწყვის ნორმა მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებისათვის საშუალოდ 85 მმის ფარგლებშია, ხოლო მჩატე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებისათვის 6067 მმს აღწევს. ბოლო რწყვა უნდა ჩატარდეს რძისებური სიმწიფის დაწყებამდე, რადგან ამ ფაზთაშორისო პერიოდში მორწყვამ შეიძლება მცნარის ჩაწოლა და შესაბამისად, მოსავლის შემცირება გამოიწვიოს.

ცხრილი 1 მორწყვის ნორმები (მმ) საშემოდგომო ხორბლის (ქერის) შემთხვევაში ნიადაგის 0–70 სმ სისქის ფენისათვის

№	პუნქტი	ოჯახი					
		X	XI	III	IV	V	VI
1	მარნეული	24/79	24/79	56	45	45	25
2	ლაგოდები	17/57	17/57	57	46	57	80
3	დედოფლისწყარო	18/64	18/64	64	51	64	77
4	შირაქი	18/64	18/64	64	51	64	89
5	გორი	56/93	56/93	80	53	67	67
6	სამგორი	20/72	20/72	60	48	60	60
7	დილომი	24/76	24/76	64	51	51	76
8	თელავი	19/51	19/51	51	41	51	62
9	ხაშური	36/112	36/112	87	70	87	122
10	სერა	24/85	24/85	85	49	61	73
11	დუშეთი	27/82	27/82	82	68	68	82
12	გარდაბანი	33/113	33/113	113	97	81	81
13	ყვარელი	22/81	22/81	69	46	46	69
14	მუხრანი	28/98	28/98	98	66	82	98
15	ალაზანი	27/83	27/83	69	55	69	83

ცხრ.2ში მოყვანილია მორწყვის ნორმები (მმ) ვაზისათვის სავა-
გეტაციო თვეებში. ეს ნორმები გათვლილია ნიადაგის 0100 სმიანი
ფენისათვის. როგორც ცხრილიდან ჩანს, მორწყვის ნორმა ვეგეტაცი-
ის განახლებისას მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებისათ-
ვის 100 მმის ფარგლებშია. აგრომეტეოროლოგიური მონაცემების ანა-
ლიზმა აჩვენა, რომ ვაზის ყვავილობის დასაწყისისთვის ნიადაგის
ტენიანობა საქმაოდ ხშირად, ხუთიდან სამ შემთხვევაში მაინც, ოპტი-
მალური ტენიანობის საზღვრის მახლობლობაშია. გამონაკლის ისევ
მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო წარმოადგენს. ამიტომ, ყვავილობის
დაწყებამდე ნიადაგი ერთ მორწყვას მაინც საჭიროებს. ყვავილობის
დამთავრების შემდეგ, მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით,
რწყვის რაოდენობა ერთიდან სამამდე მეტყეობს. ბოლო მორწყვა,
როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, უნდა ჩატარდეს სიმწიფის დასაწყისამდე,
რადგან ამ პერიოდში ნიადაგში ჭარბი ტენი მოსავლის ხა-
რისხის დაწევას იწვევს. ვეგეტაციის შუა პერიოდში მორწყვის ნორმა
დასაწყისთან შედარებით 2035 მმით მცირდება.

ცხრილი 2 ვაზის მორწყვის ნორმები (მმ) ნიადაგის 0–100 სმ
სისქის ფენისათვის

№	პუნქტი	თვე						
		III	IV	V	VI	VII	VIII	IX
1	სამგორი		88	66	66	88	88	98
2	მუხრანი	120	120	80	60	80	100	100
3	დიღომი	15	96	57	77	77	96	96
4	თელავი	104	69	69	69	69	104	121
5	ალაზანი	97	78	59	78	78	97	107
6	ბოლნისი	130	112	74	74	93	112	130
7	გურჯაანი	18	99	79	79	79	118	138
8	ყვარელი	19	85	85	85	102	102	119
9	საგარეჯო	95	74	59	95	95	114	114
10	წნორი	23	105	63	84	84	105	123

საკვლევ ტერიტორიაზე ხეხილის ბადების გავრცელების ზონა
საქმაოდ დიდია. ცხადია, რომ განვითარების ფაზებიც ყველა რაიონ-
ში სხვადასხვა დროს იწყება და ვადებს შორის სხვაობაც ზოგჯერ
ერთ თვეს აღწევს, მაგრამ, აგრომეტეოროლოგურების მონაცემების ანა-
ლიზმა და ჩვენმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ თითქმის ყველგან ვე-
გეტაციის დასაწყისისათვის ნიადაგი არ არის უზრუნველყოფილი
საქმარისი რაოდენობის ტენით და ყვავილობის დასაწყისამდე ხეხი-
ლის ერთი მორწყვა მაინც აუცილებელია. რწყვის ნორმა ამ პერიოდ-
ში 110144 მმ ფარგლებში მერყეობს. ყვავილობის შემდეგ მეტეორო-

ლოგოური პირობების მიხედვით რწყვის საჭირო რაოდენობა სამამდე იზრდება. მორწყვის ნორმა ამ პერიოდში 6286 მმდე მცირდება.

სიმინდის, ისევე როგორც საშემოდგომო ხორბლისა და სხვა ერთწლიანი სასოფლოსამეურნეო კულტურების, აღმოცენება და შემდგომი ზრდაგანვითარება სახნავ ფენაში წყლის რაოდენობაზეა დამოკიდებული. აპრილში კი, როცა სიმინდს თესავენ, სახნავი ფენა საკმაოდ გამომშრალია. მიზომ, დათესვისთანავე რწყვა აუცილებელ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. ეს ხელს შეუწყობს მცენარის დროულ აღმოცენებას და მისი წყლით მომარაგებას ზრდაგანვითარების საწყის ეტაპზე. გამატენიანებელი მორწყვა შეიძლება ჩატარდეს როგორც სახნავი ფენისათვის, ასევე მთელი აქტიური ფენისათვის (070 სმ). მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკვლევ ტერიტორიაზე იშვიათად მოდის დიდი ნალექები, უმჯობესი იქნება, რომ მორწყვა მთელი აქტიური ფენისათვის ჩატარდეს. ცხრ.3ში მოყვანილია სავეგეტო თვეების მორწყვის ნორმები (მმ) სიმინდისათვის. აპრილის თვის სვეტში მრიცხველში მოყვანილია მორწყვის ნორმები სახნავი ფენისთვის, ხოლო მნიშვნელში მთელი აქტიური ფენისათვის. როგორც ცხრილიდან ჩანს, სახნავი ფენისთვის მორწყვის ნორმა 1734 მმია, ხოლო მთელი აქტიური ფენისათვის 70114 მმ. განსაკუთრებით დიდია სიმინდის მოთხოვნილება წყალზე ყვავილობის დაწყებიდან ტაროს გამოსახვამდე. ამ დროს ფაზთაშორისო პერიოდში მორწყვის ნორმა 5995 მმის ფარგლებშია და ნიადაგი ორსამ მორწყვას საჭიროებს. ვეგეტაციის ბოლოს მცენარის მოთხოვნილება წყალზე კლებულობს.

ცხრილი 3 ხილის მორწყვის ნორმები (მმ) ნიადაგის 0–100 სმ სისქის ფენისათვის

№	პუნქტი	თვე						
		III	IV	V	VI	VII	VIII	IX
1	სკრა	144	124	82	82	103	103	103
2	გორი	128	111	73	73	73	91	91
3	მუხრანი	126	105	63	63	105	105	105
4	სამგორი	12	93	74	74	93	93	93
5	დუშეთი	16	96	77	77	77	96	96
6	ყვარელი	10	62	62	62	78	78	94
7	თეთრი წყარო	21	103	62	82	82	103	124
8	ცხინვალი		128	107	86	86	107	128

შაქრის ჭარხალი ერთერთი წამყვანი კულტურაა შიდა ქართლში. მისი მოსავლიანობა დიდად არის დამოკიდებული ნიადაგის ტენიანობაზე. სავეგეტაციო პერიოდის დასაწყისიდან განსაკუთრებით ფოთლების ზრდა მიმდინარეობს, რაც ივლისის დასაწყისამდე გრძელდე-

ბა. შემდეგ, აგვისტოს შუა რიცხვებამდე, სწრაფად იწყება ძირების ინტენსიური ზრდა. აგვისტოს შუა რიცხვებიდან ძირების ზრდის ინტენსივობა კლებულობს და განსაკუთრებით დროის ამ მონაკვეთში შაქრის დაგროვებას აქვთ ადგილი. ბუნებრივია, რომ შაქრის ჭარხალი გაცილებით მეტ წყალს მოითხოვს აგვისტოს შუა რიცხვებამდე, სანამ მცენარის ზრდა მიმდინარეობს. მორწყვის ნორმები, როგორც ცხრ. 5დან ჩანს, 6391 მმის ფარგლებშია. ზაფხულში მორწყვის ნორმები შედარებით მცირება — 4976 მმის ფარგლებშია, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი ვეგეტაციის იმ პერიოდში შედარებით მაღალია.

კარტოფილი საქართველოში, ძირითადად, შედარებით მაღალ რაიონებში მოჰყავთ. ვეგეტაციის დასაწყისში კარტოფილის მორწყვის ნორმა 4377 მმის ფარგლებში მერყეობს (ცხრ. 6) და მცირე ატმოსფერული ნალექების გამო ეს კულტურა მორწყვას დარგვისთანავე საჭიროებს. კარტოფილს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა აქვთ წყალზე ივნისივლისში, რადგან ამ თვეებს ემთხვევა ფაზთაშორისო პერიოდი საყვავილის წარმოქმნაყვავილობა. მასიური ყვავილობის დამთავრებისთანავე მისი მოთხოვნილება წყალზე მცირდება. ამის გარდა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რწყვის შედეგად ნიადაგის სიმკვრივე მატულობს, რაც ხელს უშლის ტუბერების განვითარებას. ამიტომ, მორწყვის აუცილებლობის შემთხვევაში ცხრილში მოცემული მორწყვის ნორმები უნდა შემცირდეს 3040 პროცენტით, რათა არ მოხდეს წყლის გადახარჯება და დატუბერების განვითარების შეჩერება.

თამბაქო წყალს დიდი რაოდენობით საჭიროებს რგვის პერიოდში, რაც გამოიყენება მისი ფეხვთა სისტემის განსავითარებლად. ასევე დიდი მოთხოვნილება აქვთ მას წყალზე ყვავილობის დროს. დანარჩენ პერიოდში იგი კარგად იტანს სიმრალეებს. რგვის პერიოდში თამბაქოს მორწყვის ნორმა ნიადაგის 050 სმ სისქის ფეხისათვის 5163 მმის ფარგლებშია (ცხრ. 7).

ცხრილი 5 შაქრის ჭარხლის მორწყვის ნორმები (მმ) ნიადაგის 0–70 სმ სისქის ფეხისათვის

№	პუნქტი	თვეები				
		IV	V	VI	VII	VIII
1	ხაშური	83	49	49	66	83
2	სურა	63	51	51	63	89
3	გორი	69	55	55	69	83
4	ცხინვალი	91	61	61	76	76

ცხრ.8ში მოყვანილია მზესუმზირის მორწყვის ნორმები (მმ) ნიადაგის 70 სმ სისქის ფეხისათვის. მზესუმზირა განსაკუთრებით გავრცელდა სიღნალის, გურჯანის და დედოფლისწყაროს რაიონებში.

ეს რაიონები მცირე ნალექიანია და ამიტომ, აქ საჭიროა თესვისთანავე რწყვა. მორწყვის ნორმა მზატე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებისათვის 85 მმდე აღწევს, ხოლო მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებისათვის 110 მმდეა. ყვავილობის დასაწყისისათვის მცენარის წყალზე მოთხოვნილება იზრდება და რადგანაც ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარის რიცხვითი მნიშვნელობაც იზრდება მორწყვის ნორმა ამ პერიოდში 75 მმს არ უნდა აჭარბებდეს. საჭიროების შემთხვევაში მესამე მორწყვა აგვისტოს დასაწყისამდე უნდა ჩატარდეს, რათა შემდეგ ნიადაგის ზედმეტი ტენიანობის გამო მცენარე, რომლის სიმძიმის ცენტრი ყვავილედშია გადასული, არ ჩაწეს.

ცხრილი 6 კარტოფილის მორწყვის ნორმები (მმ) ნიადაგის 0–50 სმ სისქის ფენისათვის

№	პუნქტი	თვე				
		IV	V	VI	VII	VIII
1	ახალციხე	72	81	41	41	61
2	თეთრი წყარო	77	64	51	51	64
3	მარნეული	75	54	43	43	54
4	სკრა	60	43	34	34	60
5	ბაკურიანი	72	72	48	48	60

ცხრილი 7 თამბაქოს მორწყვის ნორმები (მმ) ნიადაგის 0–50 სმ სისქის ფენისათვის

№	პუნქტი	თვე					
		III	IV	V	VI	VII	VIII
1	მარნეული	63	63	53	42	42	58
2	ლაგოდეხი	51	51	41	41	41	62

ბოსტნეულის კულტურებს, სხვა სასოფლოსამეურნეო კულტურებთან შედარებით, ნაკლებ სიღრმეზე განვითარებული ფეხვთა სისტემა ახასიათებს. ამიტომ, ცხრ.9ში მოყვანილი მორწყვის ნორმები ნიადაგის 050 სმსათვის არის განკუთვნილი. ზემოთ თქმულის გამო ეს კულტურები საჭიროებენ ხშირ მორწყვას (თვეში 23ჯერ): პირველ მორწყვას საჭიროებენ დარგვისთანავე, შემდეგ კი კლიმატური პირბებისდა მიხედვით თვეში ორჯერ ან სამჯერ. სამწუხაროდ, მონაცემების სიმცირის გამო ბოსტნეული კულტურებისათვის აღნიშნული საკითხის უფრო დაწვრილებითი შესწავლა არ მოხერხდა.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილ ცხრილებში მორწყვის ნორმები მოცემულია სავეგეტაციო პერიოდის ყველა თვეებისათვის, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს კულტურები ყოველთვიურად მორწყვას საჭიროებენ. თითოეულ წელს მორწყვის ვადები იცვლება და

მორწყვის ჩატარების ვადას განსაზღვრავს როგორც ვეგეტაციის პერიოდის დაწყების დრო, ასევე ამ პერიოდში კლიმატური პირობები. ამ მიზეზით მორწყვის ნორმები მოცემულია სავეგეტაციო პერიოდის უკელა თვისათვის.

ცხრილი 8 მზესუმზირის მორწყვის ნორმები (მმ) ნიადაგის 0–70 სმ სისქის ფენისათვის

№	პუნქტი	თვე				
		IV	V	VI	VII	VIII
1	შირაქი	83	69	69	55	97
2	დედოფლის წყარო	107	92	76	61	107
3	საგარეჯო	96	82	68	54	96
4	ალაზანი	86	64	51	51	8
5	ბაკურიანი	72	72	48	48	60

ცხრილი 9 ბოსტნეული კულტურების მორწყვის ნორმები (მმ) ნიადაგის 0–50 სმ სისქის ფენისათვის

№	პუნქტი	თვე			
		V	VI	VII	VIII
1	გარდაბანი	62	50	50	62
2	ბოლნისი	67	45	56	56
3	გორი	48	38	38	48
4	ხაშური	70	58	46	70
5	ცხინვალი	72	52	41	52

ლიტერატურა – REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Костяков А.Н. Основы мелиорации. М., Сельхозгиз. 1960.621 с.
2. წენებული ი. სასოფლო—სამეურნეო მეცნიორაცია. თბ., სასოფლოსამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა, 1955.284 გვ.
3. გელაძე ი., დევდარიანი ნ. ქოპაძე ს. ჩიკვაძე გ. მეგელიძე ო. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, გ. 106. 128136, 2001.

უაპ 631.675

ოპტიმიზირებული მორწყვის ნორმები ძირითადი კულტურების ზრდაგანვითარების სხვადასხვა პერიოდისათვის აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში. /ი.გელაძე, ნ.დევდარიანი, ს.კოპაძე, გ.ჩიკვაძე, ო.შეგელიძე/. პმის შრომათა კრებული.–2001.–ტ.106.–გვ.99-107. –ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

დადგენილია აღმოსავლეთ საქართველოს ცხრა ძირითადი ს/ს კულტურის ზრდისა და განვითარების სხვადასხვა პერიოდისათვის სარწყავი ნორმები. კვლევებმა აჩვენეს, რომ უკელა აღნიშნული კულტურა სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში რამოდენიმე მორწყვას

მოითხოვს. დადგენილი სარწყავი ნორმები დამოკიდებულია ორგორც თვით ს/ს კულტურაზე, ისე ნიადაგის მექანიკურ შემადგენლობაზე. მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებისათვის სარწყავი ნორმები მიმდე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგების სარწყავი ნორმების სიდიდეების 70–75% შეადგენებ. ცხრ. 9, ლიტ. დას. 3.

UDC 631.675

Optimized irrigation norms for different periods of growth and development of main crops in Eastern Georgia. /I.Geladze, N.Devdariani, S.Kopadze, G.Chikvaidze, O.Shvelidze/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.99-107.Georg.:Summ.Georg., Eng., Russ.

Watering norms for various periods of growth and development of 9 basic agricultural crops of Eastern Georgia have been determined. Investigations demonstrated that during the vegetation period all mentioned crops need several waterings. Determined watering norms depend both upon an agricultural crop itself and mechanic composition of soil. Watering norms for soils of light mechanic composition makes 7075% of the values of watering norms for soils of heavy mechanic composition. Tab.9, Ref.3.

УДК 631.675

Оптимизированные поливные нормы для различных периодов роста и развития основных культур в условиях Восточной Грузии. /Геладзе И.М., Девдариани Н.Н., Копадзе С.Ш., Чиквайдзе Г.Д., Швелидзе О.Г./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.99-107. – Груз.; рез. Груз., Анг., Русск.

Установлены поливные нормы для различных периодов роста и развития девяти основных сельскохозяйственных культур Восточной Грузии. Исследования показали, что в течение вегетационного периода все рассмотренные культуры требуют нескольких поливов. Установленные поливные нормы зависят как от самой с.х. культуры, так и от механического состава почвы. Поливные нормы для почв легкого механического состава составляют 7075% от величин поливных норм для почв тяжелого механического состава. таб.9, лит.3.

ჰიდროლოგია – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ჟრომები, ფომ № 106, 2001
TRANSACTIONS OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.#106, 2001
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ , ТОМ № 106, 2001

უაკ 551.577 : 556.53

რ.მესხია

მეცნიეროლოგიური ველების ობიექტები ზარმოლების
რიცხვებითი გადაწყვეტა მდინარის ჩამონადენის
მოძღვისათვის, განაწილებული პარამეტრებით

როგორც ცნობილია, მთიან რეგიონში დაკვირვების პუნქტების სიმცირისა და რთული ოროგრაფიული პირობების გამო, მათი მონაცემები ვერ გადაფარავენ აუზის მთელ ტერიტორიას. ამიტომ, ისინი რეპრეზენტატორები არიან მხოლოდ მათ გარემომცველ მცირე ტერიტორიაზე. დაკვირვების პუნქტების არასაკმარისი ინფორმაციული შესაძლებლობა ართულებს მდინარის ჩამონადენის მოძელირებისათვის მეტეოროლოგიური მდინარის სივრცეში და დროში განაწილების ობიექტები მონაცემების მიღებას.


ცნობილი მეტეოროლოგიული ველის ობიექტები ანალიზი [2,3] პიდროლოგიაში არ გამოიყენება მისი სირთულისა და წლის შიგნით ჩამონადენის მრავალჯერადი გამოვლების გამო.

ცხადია, შექმნილი მდგრამარეობიდან გამოსავალს წარმოადგენს დაკვირვების პუნქტების გაზრდა, გაზომვის რადიოლოგიურ მეთოდზე გადასვლა, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ ნებისმიერ დროში საჭირო მონაცემები ბადის კვანძებში.

მოძელში შესასვლელი მეტეოროლოგიური ველის ობიექტები წარმოდგენის რიცხვითი გადაწყვეტა ხორციელდება მარტივი ხერხით პუნქტებზე გაზომილი მონაცემების ბადის რეგულარულ კვანძებში ინტერპოლაციაქსტრაპოლაციით.

ბაზისურ ინფორმაციას წარმოადგენს 1:500000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა და მისი მორფომეტრული მახასიათებლები ბადის კვანძებში. ამ პრინციპით აგებული მოძელის საანგარიშო სქემაში შესასვლელი დღეედამური მეტეოროლოგიური (ნალექები P მმ, ჰაერის ტემპერატურა t°C და სინოტიფის დეფიციტი d მმ) მოძელს მიეწოდება ბადის კვანძების მიხედვით.

მაგალითისათვის ნახ.1ზე მოყვანილია მდ. აჭარისწყლის აუზის სქემა ჩამკეტი კვეთით ქედასთან. მასზე დადებულია რეგულარული პარალელოგრამების ბადე, დაცილება კვანძებს შორის 10 კმია. ბადის კვანძები, მათი მდგბარეობის მიხედვით, მიეწერება ახლომდებარე დაკვირვების პუნქტებს.




ნახ.1. ს.ქედასთან მდ.აჭარისწყლის აუზში რეგულარული პარალელოგრამების ბაზის კვანძების განლაგება.

დაკვირვების პუნქტიდან ბაზის კვანძებზე გარდამავალი კოეფიციენტი K ნალექებისათვის განისაზღვრება ფორმულით:

$$K = P/P_1 \quad , \quad (1)$$

სადაც P და P_1 პუნქტებზე გაზომილი და რეგიონალური დამოკიდებულების გრაფიკებიდან ბაზის კვანძებისათვის ჩამოდებული საშალო მრავალწლიური ნალექებია. სიმაღლებრივი რეგიონალური დამოკიდებულების გრაფიკები აგებულია ლ. ვლადიმიროვის მიერ [1] ერთნიშნა პიდროკლიმატური რაიონების მიხედვით (ნახ. 2).



ნახ.2. მდ.აჭარისწყლის საშუალო მრავალწლიური მეტეოროლოგიურების - P ნალექების, t ჰაერის ტემპერატურისა და d სინოტივის დეფიციტის სიმაღლებრივი დამოკიდებულების გრაფიკები.

Р შტრიხი დღედამური ჯამური ნალექების ბაზის კვანძებზე ობიექტური წარმოდგენის რიცხვითი გადაწყვეტა ხორციელდება დაკვირვების პუნქტებზე გაზომილი P დღედამური ჯამური ნალექების გამრავლებით შესაბამისი ბაზის კვანძებისათვის მიღებულ გარდამავალ კოეფიციენტზე ფორმულით

$$P' = K P' \quad , \quad (2)$$

რადგან აუზში 1000 მ ზემოთ დიდია მყარ ნალექებზე ქართი გა-
მოწვეული გაზომვის ცდომილება, ამიტომ, შეგვაკვს მასზე შესწორე-
ბა

$$K=1.05+0.0001(H_{\text{კვ}}-1000), \quad (3)$$

აქ $H_{\text{კვ}}$ — ბადის კვანძის აბსოლუტური სიმაღლეა.

ბადის კვანძებში ჰაერის საშუალო დღედამური ტემპერატურის გა-
მოთვლა წარმოებს წრფივი ინტერპოლაციაგენსტრაპოლაციური ფორ-
მულით

$$t_{\text{კვ}}=t_{\text{დღ}}+a(H_{\text{კვ}}H_{\text{სად}}), \quad (4)$$

სადაც $t_{\text{კვ}}$ და $t_{\text{დღ}}$ — ბადის კვანძებისათვის გამოთვლილი და სად-
გურზე გაზომილი ჰაერის დღედამური ტემპერატურებია; $H_{\text{კვ}}$ და $H_{\text{სად}}$
— ბადის კვანძისა და სადგურის აბსოლუტური სიმაღლეა (მ); a ჰარა-
მეტრი, რომელიც მცირედ იცვლება თვეების მიხედვით, ამიტომ, აღვ-
ბულ იქნა მისი საშუალო მნიშვნელობა a = 0,005.

ბადის კვანძებში საშუალო დღედამური სინოტივის დეფიციტის ინ-
ტერპოლაციაგენსტრაპოლაციისათვის გამოვიყენეთ (3)ის ანალოგიური
ფორმულა:

$$d_{\text{კვ}}=d_{\text{სად}}+a(H_{\text{კვ}}H_{\text{სად}}), \quad (5)$$

სადაც $d_{\text{კვ}}$ და $d_{\text{სად}}$ ბადის კვანძებში გამოთვლილი და სადგურზე
გაზომილი დღედამური ჰაერის სინოტივის დეფიციტია, a ჰარამეტრი
განისაზღვრება საშუალო მრავალწლიური სინოტივის დეფიციტის
სიმაღლებრივი დამრეკიდებულების გრაფიკიდან (ნახ.2) თითოეული
სადგურისათვის ცალცალკე, როგორც მრუდის მხების ტანგენი.

სააგარიშო სქემისა და (2) – (5) ფორმულების მართებულობა
შემოწმებული იქნა მდ. აჭარისწყლის ჩამონადენის მოდელში, განაწი-
ლებული ჰარამეტრებით. კერძოდ, მიღებული იქნა დამატაყოფილებე-
ლი თანხვდენა გამოთვლილ და გაზომილ ხარჯებს შორის ს.ქედის
პიდროლოგიურ კვეთისათვის.

ლიტერატურა – REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Владимиров Л.А., Шакарашвили Д.И., Габричидзе Т.И. Водный
баланс Грузии. Тб., 1974., 182 с.
2. Гандин Л.С. Объективный анализ метеорологических полей. Л.,
Гидрометеоиздат, 1963, 187 с.
3. Каган Р.Л. Тр. ГГО, вып. 208, 1967, с. 6475.

უაკ 551.577 : 556.53

მეტეოროლოგიური გელების ობიექტური წარმოდგენის რიცხვითი გა-
დაწვევტა მდინარის ჩამონადენის მოდელისათვის, განაწილებული ჰა-
რამეტრებით/რ.მესხია/.შმის შორმათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ. 108-
111, –ქართ.; რეგ. ქართ., ინგლ.,რუს.

ჩამონადების მოდელში, განაწილებული პარამეტრებით, მეტეოროლოგიური ვალის ობიექტები წარმოდგენის რიცხვითი გადაწყვეტა განხორციელებულია რეგულარული ბაზის კვანძებში საღგურებიდან მეტეოლოგიურების მნიშვნელობების ინტერპოლაციით და ექსტრაპოლაციით. იდ.2,ლიტ.დას.3.

УДК 551.577 : 556.53

Numerical solutions of objective presentation of meteorological fields for the river runoff model with distributed parameters. /R.Meskia/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.108-111.Georg.:Summ.Georg., Eng., Russ.

Numerical solution of objective presentation of meteorological fields for runoff modelling with distributed parameters is conducted by the interpolation and extrapolation of values of meteorological elements from stations in the regular grid knots.Fig.2,Ref.3.

УДК 551.577 : 556.53

Численные решения объективного представления метеорологических полей для модели стока с распределенными параметрами. /Месхия Р.Д./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.108-111. – Груз.; рез. Груз.,Анг.,Русск.

Численные решения объективного представления метеорологических полей для модели стока с распределенными параметрами получены на основе интерполяции и в узлах регулярной сетки экстраполяции наблюдённых значений метеоэлементов ближайших станций. Таб.9,лит.3.


უაკ 556.5

ლ.ქიტიაშვილი, ლ.სანებლიძე, გ.სტვილია

განახლებული მონაცემები დასავლეთ საქართველოს მდინარეების მყარ ჩამონაზენზე

მდინარეების რეკიმის ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მყარი ჩამონადენი. მისი შესწავლა დაიწყო პიდრომეტეოროლოგიური ქსელის განვითარებასთან ერთად 1934 წლიდან და გრძელდება დღემდე ეს მასალები თავმოყრილია წელიწევეულებში და მათ საუფასო შედგენილია პიდროლოგიური ცნობარები, რომლებიც მოიცავენ საშუალო თვიურ, წლიურ, აგრეთვე მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს 1962, 1970, 1975, 1980 1985 და 1990 წლების დონეებისათვის.

მიღებული მასალების საფუძველზე შედგენილია არა ერთი მეცნიერული მონოგრაფია. მათ შორის მნიშვნელოვანია მ.ალავერდაშვილის და სხვების [1], ლ.გველესიანის [2], გ.სვანიძის [3], გ.ხმალაძის [4], ო.ხალაძიანის [5], გ.ხერხეულიძის [6], ი.ხერხეულიძის [7] და სხვათა შრომები, რომლებშიც ჩატარებულია დასავლეთ საქართველოს მდინარეების მყარი ჩამონადენის რეკიმის შესწავლა, დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი არობდების გადაწყვეტასთან. მათ შორის აღსანიშნავია შავი ზღვის სანაპიროს დეგრადაციას პრობლემა, რომელიც ითვალისწინებს კონტინენტური მექანიზმების დაცვის დონისგანმავლობრივი ბაზის შექმნას. განსაკუთრებით ეს ეხება დღევანდელ პერიოდს, როცა გაძლიერებულია ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა, რომელსაც მოჰყვა რიგი სავალალო შედეგები და ასეთ ვითარებას ადგილი ექნება მომავალშიც. მარტო იმის მტკიცება, რომ მდ. ჭოროხეზე კაშხლების აგებამ შეიძლება გამოიწვიოს ქ. ბათუმის დატბორვა დაახლოებით 150 მით, რომ ბოლო 5060 წლის განმავლობაში შავი ზღვა ქ. ფოთთან 1 კმ ით შეიძრა ხმელეთში, რომ წყალსაცავების, კარიერების მშენებლობა მდინარეებზე მნიშვნელოვნად ამცირებს ნატანის რაოდენობას, ახლებულად აყენებს საკითხს მყარი ჩამონადენის შესწავლის საქმეში. აქედან გამომდინარე, მოცემულ ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება დასავლეთ საქართველოს მდინარეების მყარი ჩამონადენის განახლებულ მახასიათებლებზე.



ნახ. 1. წელის (პრეუები 1), ზამთრის (2), გაზაფხულის (3), ზაფუებულის (4) და შემთხვევის (5) ჯაჭვის სამონადენის (R) და მომდგრებულება შესძლამის ობენების მიზანისადებული (Q) დასავლეულის საკართველოს II მიკროალტინაზე.

მყარი ჩამონადენის განახლებული მახასიათებლების დადგენის, ანალიზისა და განზოგადების საკითხებს საფუძვლად დაედო დაკვირვების მასალა, მოყვანილი პიდროლოგიურ ცნობარებში და წყლის კადასტრებში, წარმოდგენილი ცხრ. 1-ის სახით. იგი მოიცავს წყლისა და მყარი ჩამონადენის მრავალწლიურ საშუალო მნიშვნელობებს, დაწყებული დაკვირვების წლიდან 1962, 1970, 1975, 1980, 1985 და 1990 წლებამდე 11 მდინარის ჩამკეტი პიდროლოგიური კვეთებისათვის. ეს მდინარეებია ბზიფი, გუმისთა, კოდორი, ენგური, რიონი, სუფსა, ნატანები, კინტრიში, ჩაქვისწყალი და ჭოროხი (აჭარისწყალი), რომლებიც უმუალოდ ერთვიან შავ ზღვის. მათი წყალშემკრები აუზის ფართობი მერყეობს 120 კმ² (მდ. ჩაქვისწყალი) 22000 კმ² მდე (მდ. ჭოროხი); ჯამური სიდიდე შეადგენს მდ. ჭოროხი ს. ერგეს ჩათვლით 43724 კმ²-ს, ხოლო მის გარეშე მდ. აჭარისწყალი ს. ქედას ჩათვლით 23074 კმ². ეს არის დასავლეული საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 70%.

ცხრილი 1.

მრავალწლიური საშუალო თხევადი ($Q \text{ მ}^3/\text{წ}\cdot\text{მ}$) და მქარი ($R_{\text{გ}}/\text{წ}\cdot\text{მ}$) ჩამონადენი
დაწირების დაწყებიდან 1990 წლამდე

მდინარე პუნქტი	გართობი, კ^2	უღებელებები	ცალბაზიური დაწირების დაწყებიდან განსაზღვრულ წლამდე (შესაბამის Q/R ჩათვლით) პერიოდის შესაბამისი	დაწირების დაწყებიდან განსაზღვრულ წლამდე (შესაბამისი Q/R			
				1962	1970	1975	1980
მდ. ბზიფი – ს. ჯირჩვა	1410	7.22	1690	96.6	96.8	95.8	96.2
მდ. გუმისთა-ს. აჩადარა	556		1070	28.6	29.4	29.5	31.1
მდ. კოდორი-ს. კარჩა	2020	64.54	1910	122	127	125	135
მდ. კონგრი-ს. ხაօში	2780	320.5	2320	106	108	108	111
მდ. რიონი-ს. საკობიშვილი	13300	72.1	950	398	402	399	399
მდ. სუფსა-ს. ხიდმაღალა	1100		970	45.2	45.1	45.4	45.6

ცხრილი 1-ია გაგრძელება

	1	2	3	4	5	6	7	8	+9	10
მდ. ნატანები-ს.ნატანები	237		880	<u>24.3</u> (1.8)	<u>24.1</u> (0.5)	<u>23.9</u> 0.1	<u>24</u> 0.4	<u>24.1</u> 0.6	<u>24.8</u> 5.6	<u>24.8</u> 3.6
მდ. კინტრიში-ს.კობი	191		1120	<u>12.2</u> (0.4)	<u>12</u> 0.3	<u>12.2</u> 0.3	<u>12.4</u> 0.3	<u>12.6</u> 0.4	<u>12.9</u> 1.6	<u>12.9</u> 2.4
მდ.ჩაჭვისწყალი-ს.ხალა	120		880	<u>10.2</u> (0.4)	<u>10.4</u> 0.3	<u>10.4</u> 0.3	<u>9.9</u> 0.4	<u>9.77</u> 0.4	<u>9.65</u> 0.92	<u>9.65</u> 0.5
მდ.ჭოროხი-ს.ჭრუბი	22000			<u>227</u> 240	<u>281</u> 260	<u>177</u> 260	<u>278</u> 260	<u>276</u> 260	<u>279</u> 218	<u>279</u> 250
მდ.აჭარისწყალი-ს.ცელა	1360	1470		<u>45.2</u> (10)	<u>44.9</u> (10)	<u>44.3</u> 20	<u>44.1</u> 11	<u>45.5</u> 29	<u>46.1</u> 16	
ჯამი ს.კრის გარეშე	23074			<u>888</u> 293	<u>801</u> 265	<u>893</u> 261	<u>908</u> 283	<u>952</u> 306	<u>2004</u> 368	
ჯამი ს.ქედას გარეშე	43724			<u>1070</u> 523	<u>1036</u> 515	<u>1126</u> 511	<u>1142</u> 532	<u>1183</u> 495	<u>1237</u> 608	
R/Q ს.კრის გარეშე				0.34	0.43	0.29	0.31	0.32	0.37	
R/Q ს.ქედას გარეშე				0.49	0.48	0.45	0.46	0.42	0.49	

განხილული მდინარეების თხევადი ჩამონადენი მერყეობს 10.3 მ³/წმ (მდ. ჩაქვისწყალი ს.ხალა) 470 მ³/წმმდე (მდ. რიონი ს.საქოჩა-კიძე), ჯამური კი შეადგენს 1962 წლის დონეზე 1070 მ³/წმ მდ. ჭორო-

ს სერგეეს ჩათვლით, მის გარეშე კი 888 მ³/წ. ასეთივე განაწილებით ხასიათდება მყარი ჩამონადენიც, რომელიც მერყეობს 0.20.4 კგ/წმდან 240 კგ/წმდა, ჯამური კი შეადგენს 515 ან 265 კგ/წ. (მდ. ჭოროხის გათვალისწინებით ან მის გარეშე). მიღებულ შედეგებზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს დიდი და საშუალო მდინარეების როონის, ჭოროხის, კოდორისა და ენგურის ფართობების, თხევადი და მყარი ჩამონადენის ჯამური სიდიდეები, რომლებიც შეადგენს შესაბამისად 90%, 80% და 96%ს.

მარტო იმ 35 მდინარეთა სისტემიდან, რომლებიც უშუალოდ უერთდებიან შავ ზღვას, ზემოთ მოვანილი 4 მდინარის წილზე მოდის მათ წელშექმერებთა მთლიანი ფართობიდან თხევადი და მყარი ჩამონადენის 8090%. მარიგად, ეს ოთხი მდინარე, სხვა პატარა მდინარეების ხარჯის გათვალისწინების გარეშე, განსაზღვრავს თხევადი და მყარი ჩამონადენის ცვალებადობის ხასიათს, მათ რაოდენობრივ სიდიდეებს 10%მდე სიზუსტით.

ცხრ.1ში მოვანილი მონაცემებიდან მეტად საინტერესოა თხევადი და მყარი ჩამონადენის ურთიერთკავშირი, რომელიც წარმოდგენილია ნახ.2ზე წლისა და სეზონების მიხედვით, რაც გვაძლევს საშუალებას გამოვითვალოთ წლიური და სეზონური მყარი ჩამონადენი დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და შევაფასოთ მყარი ჩამონადენის დინამიკას.

4 დიდი მდინარის მონაცემების საფუძველზე 1962 წლის დონეზე თხევადი და მყარი ჩამონადენის ჯამური სიდიდე შეადგენს შესაბამისად 1070 მ³/წ და 523 კგ/წ. კერძოდ, 1 მ³/წ თხევადი ჩამონადენი შეიცავს 0.49 კგ/წ მყარ ჩამონატანს. 1970, 1975, 1980, 1985 და 1999 წლების დონეებისათვის მივიღებთ შესაბამისად თხევადი და მყარი ჩამონადენის მნიშვნელობებს 1036 მ³/წ და 515 კგ/წ, 1126 მ³/წ და 511 კგ/წ, 1142 მ³/წ და 532 კგ/წ, 1186 მ³/წ და 495 კგ/წ, 1237 მ³/წ და 608 კგ/წ. როგორც ჩანს, თხევადი და მყარი ჩამონადენის ნორმების ცვლილება წრფივი დამოკიდებულებების ხასიათს ატარებს. მაგრამ, მყარი ჩამონადენის დინამიკა 1985 და 1990 წლების დონეებზე დარღვეულია. ეს აისწნება გაზომვების ცდომილებით, საგუშაგოების გადაადგილებით, წყალსაცავების აშენებით, კარიერების მოწყობით და სხვა. მაგრამ, ჟევს არ იწვევს ის ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კვეთისათვის მდ. რიონი ს. საქოჩაკიძე, სადაც 1983 და 1985 წლებში წყლის მყარი ხარჯები შეადგენდა შესაბამისად 150 მ³/წ და 150 კგ/წ, მაშინ, როდესაც ქ. ფოთთან (სადაც მდ. რიონს არცერთი შენაკადი არა აქვს) ჩამონადენი აღმოჩნდა შესაბამისად 247 მ³/წ და 210 კგ/წ, ე.ი. თითქმის 141.6ჯერ მეტი. რატომ იქნა მიღებული მეტობა გაუგებარია.

ამრიგად, 4 დიდი მდინარის წლიური ჯამური მყარი ჩამონადენი შეადგენს 575 კმ³/წ, ანუ 18.1 მლნ. ტონას წელიწადში მათი 31.4 კმ³ წყლიანობის დროს. გ.ხმალაძის მონაცემებით, თითქმის იგივე წყლიანობისას დროს (30.9 კმ³), მყარი ჩამონადენი ცოტათი მეტი აგმოჩნდა და შეადგინა 21.9 მლნ. ტონა. მ.ალავერდაშვილის მონაცემების თანახმად, 29.1 კმ³ წყლიანობის შემთხვევაში ცხრ.2 მყარი ჩამონადენი შეადგენს 16.0 მლნ. ტონას.

ცხრ.2ის თანახმად, თხევადი და მყარი ჩამონადენის დაღებილი ცდომილებები ნაკლებია დასაშვებ სიდიდეებზე. ამიტომ, მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში.

ცხრილი 2 თხევადი და მყარი ჩამონადენის მახასიათებლები სხვადასხვა ავტორების შეფასებათა მიხედვით

მახასიათებელი	გ.ხმალაძე [5]		მ.ალავერ- დაშვილი და სხვ. [1]	მოცემული შრომის ავ- ტორები
	1962	1971	1987	1990
წყლის ხარჯი, კმ ³ /წ	29.6	30.1	29.1	31.4
ცდომილება, % 1990 წდან	5.7	1.6	7.3	
მყარი ხარჯი, მლნ.ტ.	18.8	21.9	16	18.1
ცდომილება, %	3.9	17.3	13.1	

ლიტერატურა – REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Алавердашвили М.Ш.,Кочиашвили Д.П.,Хмаладзе О.Г. Материалы Республиканской научной конф., посвященной 70летию ТГУ,1988,с.2632.
2. Водные ресурсы Закавказья. Под редакцией Г.Г.Сванидзе и В.Ш.Цомая. Л., Гидрометеоиздат, 1988,264 с.
3. Гвелесиани Л.Г.,Шмельцель Н.П. Заиление водохранилищ. М., «Энергия»,1968, 86 с.
4. Сванидзе Г.Г. «Водохозяйственный кадастр СССР, Методика составления» Изд.АН СССР,М.,1956 с.132144.
5. Хмаладзе Г.Н. Выносы наносов реками Черноморского побережья Кавказа. Л., Гидрометеоиздат, 1978,167 с.
6. Халатян О.Н. «Метеорология и гидрология», 1970, №8,с.7679.
7. Херхеулиძე Г.Н. Тр.ЗакНИГМИ,вып.30(35), Л., Гидрометеоиздат, 1969, с.7987.
8. Херхеулиძე И.И.,Рухадзе Н.В. Сб.»Движение наносов в открытых руслах». М.,Изд.,»Наука»,1970,с.135143.

უაკ 556.5

განახლებული მონაცემები დასაგლეთ საქართველოს მდინარეების მყარ ჩამონადენზე. /ლ.ქიტიაშვილი, ლ.სახებლიძე, გ.სტვილია/. პმის

შრომათა ქრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.112-119. –ქართ.;
რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

აღნიშნულია, რომ დასავლეთ საქართველოს მდინარეები იმ-
უფლებიან რთული ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების
უფრო მეტი ზეგავლენის ქვეშ, ვიდრე ადმისავლეთ საქართველოს
მდინარეები. შეინიშნება დიდი ცვლილებები კონტინენტურ მეზეზე,
ზღვის სანაპირო ხაზის გადარეცხვაში, ნატანის აკუმულაციაში,
აუზების ტყიანობაში და სხვ. ამ პროცესების მავნე შედეგების
შემარბილებელ დონისძიებათა დასადგენად შემუშავებულია სხვა-
დასხვა მეთოდები მდინარეების ნატანის შესწავლის მიზნით.
ჩატარდა მასალების დამუშავება მდინარეების ნატანის
შესაფასებლად, გამოთვლილია მყარი და თხევადი ჩამონადენი
დაკვირვების დაწყებიდან 1960, 1970, 1975, 1980 და 1990 წლებამდე.
ჩატარებულია მათი შედარება გამოთვლილ მახასიათებლებთან,
რომლებიც მიღებულია ადრეულ წლებში სხვადასხვა მკვლევარების
მიერ. მყარი ჩამონადენის დინამიკა და შედარება გვიჩვენა, რომ
შეიმჩნევა ჯამური მყარი ჩამონადენის შემცირება, მაგრამ, ეს შემცი-
რება უმნიშვნელოა და არ აღემატება გაზომვებისა და გაანგარიშე-
ბის დასაშვებ სიზუსტეს. ილ.1, ცხრ.2, ლიტ.დას.8.

UDC 556.5

Renewed data on solid runoff of rivers in Western Georgia. /L.Kitiashvili,L.Saneblidze,G.Stvilia/.Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.112-119.Georg.:Summ.Georg., Eng., Russ.

It has been noted that rivers of Western Georgia are more affected by complicated natural and anthropogenic factors than rivers of Eastern Georgia. Significant changes in marine shallow, washing out of sea coastal line, sediment accumulation and woodlands in a drainage basins have been observed. Various methods of investigation of runoff alluvium have been worked out to mitigate these dangerous consequences. Processing of data on runoff and alluvium for 11 rivers has been conducted and solid and water runoff have been calculated since the starting of observations till 1960,1970, 1975, 1980, 1985 and 1990, comparing them with the characteristics established earlier by various investigators. Dynamics and comparison of the solid runoff showed the decrease of a total solid runoff, being within the error values of measurement and calculation.Fig.1,Tab.2,Ref.9.

УДК 556.5

Обновленные данные о твёрдом стоки наносов рек Западной Грузии.
/Китиашвили Л.Р.,Санебидзе Л.М., Ствилия Г.Г./ Сб. Трудов Института
гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.112-119. – Груз.; рез.
Груз.,Анг.,Русск.

Отмечается, что реки Западной Грузии находятся под более сильным воздействием природных и антропогенных факторов, чем реки Восточной Грузии. Наблюдаются большие изменения материковой отмели, размыва морской береговой линии, аккумуляции наносов, лесистости бассейнов и др. Для установления мероприятий по смягчению негативных последствий этих процессов разработаны разные методы изучения твёрдого стока. Проведена обработка материалов по стоку наносов для рек, подсчитаны их твердый и жидкий сток от начала наблюдений до 1960, 1970, 1975, 1980, 1985 и 1990 годов, а также проведены сравнения с расчетными характеристиками, установленными в ранние годы разными исследователями. Динамика и сравнения твердого стока показали, что наблюдается уменьшение общего твердого стока, но это уменьшение находится в пределах точности измерений и расчетов. Рис.1,таб.2,лит.8.

უაკ 551.578.48

ლ.ქალაძენი, მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე

**ზეპირმატრიცენტრის გავრცელების სიხშირე საქართველოს ჰერი-
ტორიაზე**

ზეპირმატრიცენტრის გავრცელების სიხშირის დადგენის გარკვეული მეცნიერებული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამავე დროს, ზეპ- საშიშროების სარისხის მიხედვით ტერიტორიის დარაიონებისას ამ პარამეტრის, როგორც ტერიტორიის ძირითადი რაოდენობრივი მახასია- თებლის, თავისებურებების გათვალისწინება აუცილებელია.

ზეპირმატრიცენტრის იგულისხმება ზეპირმატრიცენტრის რა- ოდენობა გრძივ კილომეტრზე [13, 6, 9] ან ფართობის ერთეულზე [5, 7, 8]. ზეპირმატრიცენტრის რაოდენობა გრძივ კილომეტრზე კარგად გამო- ხატავს ზეპირმატრიცენტრის გავრცელების თავისებურებას მდინარეების ხეობების, სარკინიგზო და სავტომობილო გზების, ელექტროგადამ- ცემი და კავშირგაბმულობის ხაზების გასწვრივ, მაგრამ, ვერ იძლევა ზეპირმატრიცენტრის ტერიტორიული გავრცელების რეალურ სურათს. გრძივ კილომეტრზე ზეპირმატრიცენტრის რაოდენობის დადგენის დროს მხედვებლობაში მიიღება მხოლოდ ისინი, რომლებიც აღწევენ მდინა- რეთა ხეობის ძირამდე (კალაპოტამდე), პაკეთებ სარკინიგზო და საავ- ტომობილო გზებს, ელექტროგადამცემ და კავშირგაბმულობის ხა- ზებს, ხოლო იქვე ახლომდებარე ზეპირმატრიცენტრის უკრადღების მიღმა რჩება. ამასთანავე, ერთსა და იმავე რაიონში, სხვადასხვა მიმართუ- ლებით, ზეპირმატრიცენტრის სიხშირე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერ- თმანეთისაგან. მოცემულ უბანზე ზეპირმატრიცენტრის რაოდენობის განსაზღვრა გრძივ კილომეტრზე არ იძლევა საშუალებას დადგენილ იქნას დიდი ტერიტორიისათვის ზეპირმატრიცენტრის გავრცელების რეა- ლური სურათი, მიღებული შედეგების განზოგადოებით. გარდა ამისა, ზეპირმატრიცენტრის სარისხის შეფასება ზეპირმატრიცენტრის რაოდენობით გრძივ კილომეტრზე ნაკლებად გამოსადგებია პრაქტიკაში გამოსაყ- ნებლად და სხვადასხვა ზეპირმატრიცენტრის შედარებითი დახასი- ათებისათვის [2].

ზეპირმატრიცენტრის ტერიტორიალური განაწილების შესასწავლად შეიძლება გამოდგეს ზეპირმატრიცენტრის სიხშირის ფართობრივი მახა- სიათებებით, კერძოდ, ზეპირმატრიცენტრის რაოდენობა ფართობის ერთეუ- ლზე. იგი საშუალებას იძლევა შევადგინოთ ზეპირმატრიცენტრის სივრცითი განაწილების რუკა, სადაც გამოყოფილი იქნება მათი გავრცელების სხვადასხვა სიხშირის რაიონები.

ტერიტორიის დახასიათება ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირით წარმოდგნილია ს.მიაგროვის შრომაში [7], სადაც გათვალისწინებულია მხოლოდ ხევის ის ზვავშემკრებები, რომლებმთვრიც ზვავები ყოველწლიურად წარმოქმნება, ხოლო სპორადული ზვავების ზვავშემკრებები მხედველობაში არაა მიღებული. ამის გამო ნაშრომში მოყვანილი ზვავშემკრებების სიხშირე რეალურზე ნაკლებია. ზვავშემკრებების სიხშირის თავისებურებათა გამოვლენის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ყველა მორფოლოგიური ტიპი. აჭარაიმერების მთიანი სისტემისა და სვანების ტერიტორიაზე ამ საკითხის შესწავლას ეძღვნება ლანდფარის შრომები [4, 5].

საქართველოს ტერიტორიაზე ზეაშშმქრბების სიხშირის თავისებურების გამოსავლენად გამოყენებული იქნა საველე კვლევის დროს მოპოვებული ცნობები, საარქივო და აეროფოტოგადაღების მასალები, სამუშაო და მსხვილმასშტაბიანი რუკები.

დაბალმოთიანი უტევე ან მხოლოდ ფოთლოვანი ტყით დაფარული რაიონებისათვის ზვაგშეგრებებისა და მათი გავრცელების საზღვრების დასადგენად აუცილებელია საველესაძიებო სამუშაოების ჩატარება. ამ რაიონებისათვის ძირითადად სპორადული ზვავებია დამასხასიათებელი და მათი გავრცელების საზღვრის დადგენა, იშვიათი განმეორადობის გამო, მხოლოდ მსხვილმასშტაბიანი რუკებისა და აეროფოტოგადაღების მასალების გამოყენებით, თითქმის შეუძლებელია.

საშუალომზიანი რაიონებისათვის, რომლებიც ძირითადად ხშირი, წიწვოვანი ან შერეული ტყითაა დაფარული, ზვაგშემკრებების სიხშირის განსაზღვრის დროს, გარდა საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალებისა, ფართოდ გამოვყენეთ აეროფოტოგადაღების მასალებიც. აქ ძირითად სისტემატური ზვავებია გავრცელებული. მათი კვალი ადგილობრივ ლანდშაფტში კარგად არის შენარჩუნებული და ნათლად ჩანს აეროფოტოგადაღების მასალების დემიზრირების დროს. გეობორგანიზაციი მახასიათებლების გათვალისწინება საშუალებას იძლევა ზუსტად დადგინდეს ზვაგშემკრებების გავრცელების საზღვრები და, ამრიგად, მათი სიხშირეს.


ტყის ზედა საზღვრის მაღლა მდებარე ტერიტორიისათვის დამახასიათებელია ძლიერი დანაწევრება და რელიეფის ერთზიული ფორმების ფართო გაფრცელება, რომელიც თვითონ წარმოადგენენ ზეგავლენის განვითარებას. რელიეფის არსებული ფორმები ადგილად განისაზღვრება არა მხოლოდ აეროფოტოგადაღების მასალების, არამედ მსევილმასშტაბიანი რუკების ანალიზით. ამიტომ, კარტოგრაფიული მასალების გამოყენება და ზვავსაშორების გეომორფოლოგიური მასალების გამოყენების გამოკვლევა საშუალებას იძლევა დიდი სიზუსტით განვსაზღვროთ ზვავშემქრებების გავრცელების საზღვრები და, ამრიგად, მათი სიხშირე.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგენილია ზვავშემკრებების სიხშირე (მათი რაოდენობა 1 კმ²ზე) და შედგენილია ზვავშემკრებების ტერიტორიული განაწილების რუკა (ნახ. I). ყოველივე ამან საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირის თავისებურებები საქართველოს ტერიტორიაზე. რუკაზე ცალკეა გამოყოფილი როგორც ზვავშემკრებების გავრცელების ნულოვანი სიხშირის მქონე ტერიტორია, ასევე ზვავშემკრებების გაერცელების სხვადასხვა სიხშირის მქონე რაიონი. კარტოგრაფიული სამუშაოების შედეგად დადგენილია ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირის თავისებურებანი, როგორც მოლიანად საქართველოსთვის, ასევე ცალკეული მდინარეთა აუზებისათვის.

რაიონს, სადაც ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე ნულის ტოლია, უკავია საქართველოს მოლიანი ფართობის 43% დასავლეთ საქართველოში მისი მოედი ფართობის 32%, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 52%. დასავლეთ საქართველოში ზვავებისგან უსაფრთხო ტერიტორია ძირითადად მოიცავს კოლხეთის დაბლობის მიმდებარე რაიონებს და შავი ზღვისპირა ვიწრო ზოლს აფხაზეთსა და აჭარაში, აღმოსავლეთ საქართველოში კი შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და ალაზნის ვაკეებს, ახალციხისა და წალკის ქვაბულებს, აგრეთვე იორისა და ჯავახეთის ზეგნების უმეტეს ნაწილს.

რაიონს, სადაც ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე 1 კმ²ზე ნაკლებია 5%, უკავია საქართველოს მოლიანი ფართობის 29% (დასავლეთ საქართველოში მისი მოლიანი ფართობის 30%, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 27%). ზვავსაშიშ რაიონებს განსაკუთრებით დიდი ფართობი (აუზის მოლიანი ფართობის 364%) უკავიათ იმ მდინარეთა (ჭოროხი, რიონი, მტკვარი) აუზებში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ან მდებარეობს დაბალმთიან ზონაში, ან დაფარულია ხშირი ტეის საფარით. ზვავსაშიშ რაიონს შედარებით მცირე ტერიტორია (მოლიანი ფართობის 1017%) უჭირავს იმ მდინარეთა აუზებში, რომელთა უმეტესი ნაწილი მდებარეობს საშუალო და მაღალმთიან ზონებში (ენგური), ან რომელთა ტერიტორიის უმეტესი ნაწილი არაზვავსაშიშია (იორი, ხობი, ალაზანი).

რაიონს, სადაც ზვავშემკრებების სიხშირე 1 კმ²ზე არის 510, შედარებით დიდი ფართობი (2953%) უჭირავს იმ მდინარეთა აუზებში, რომელთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს საშუალომთიან ზონაში და დაფარულია ხშირი ტეის საფარით (კოდორი, ჭოროხი, ბზიფი). ზვავსაშიშ რაიონს შედარებით მცირე ფართობი (410%) უკავია იმ მდინარეთა აუზებში, რომელთა ტერიტორია არ გამოირჩევა დიდი ზვავქტიურობით (იორი, ხრამი, ხობი).



ზეაგშემკრებების გავრცელების დიდი სიხშირე (1015 ზეაგშემკრები 1 კმ²ზე) ხასიათდება საქართველოს მთლიანი ფართობის მხოლოდ 10% (დასავლეთ საქართველოს რეგიონის მთლიანი ფართობის 13%, აღმოსავლეთ საქართველოს — 8%). ასეთი სიხშირე დამახასიათებელია ძირითადად უტყეო ან მეტხერტყიანი ციცაბო ფერდობებისათვის, რომლებიც, ძირითადად, მდებარეობენ ალპურ და სუბალპურ ზონებში. ამ რაიონს განსაკუთრებით დიდი ფართობი (აუზის 2037%) უჭირავს იმ მდინარეთა (თერგი, ასა, არღუნი, პირიქითა ალაზანი, თუშეთის ალაზანი, არაგვი, ენგური, ცხენისწყალი, კოდორი, ბზიფი) აუზებში, რომელთა სათავე განლაგებულია კავკასიონის მთავარი ქედის გადასახლებების გაურცელებების ხაზების რუკა

დის (განსაკუთრებით მისი ცენტრალური ნაწილის) მიმდებარე ფერდობებზე. დანარჩენ მდინარეთა აუზებში ზავსაშიში რაიონის ფართობი არ აღემატება მათი მთლიანი ფართობის 211%ს.

სუბალპურ და ალპური ზონების მნიშვნელოვან ნაწილზე ზავშემკრებების გავრცელების სიხშირე 1 კმ²ზე აღემატება 15ს და ცალკეულ მაღალმთიან, უტყვო, ძლიერ დანაწევრებულ ფერდობებზე აღწევს 1820ს. ზეავსაშიშ რაიონს განსაკუთრებით დიდი ტერიტორია უკავია კავკასიონის მთავარი ქედისა და სვანეთის ქედის თხემების მიმდებარე მაღალმთიან ფერდობებზე, მნიშვნელოვანი ტერიტორია — კოდორის, ლეჩხუმის და მესხეთის ქედების ფერდობებზე.

ლიტერატურა – REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Акифьева К.В.,Дзюба В.В.,Кондакова Н.Л. и др. Особенности процессов лавинообразования в горах влажносубтропической зоны Западного Закавказья (Аджария). Вестник МГУ, сер. Географ., №2, 1977, с. 7886.
2. Залиханов М.Ч. Распределение лавин на Большом Кавказе. Тр. ВГИ, вып. 30, 1975, с. 9098.
3. Залиханов М.Ч., Усатиков Н.И., Подрезов Н.И. К вопросу о лавинной опасности в районе Чечено Ингушетии. Тр. ВГИ, вып. 18, 1972, с. 84101.
4. Калдани Л.А. Лавинная опасность Верхней Сванетии. Тр. ЗакНИИ, вып. 88(98), 1988, с. 89112.
5. Калдани Л.А. Густота снежных лавин на территории Аджаро Имеретинской горной системы. Тр. ЗакНИИ, вып. 68(74), 1979, с. 6872.
6. Канаев Л.А. К количественной оценке лавинообразования в Западном ТяньШане. Тр. САНИГМИ, вып. 63(78), 1972, с. 4147.
7. Мягков С.М. Аккумулятивные лавинные формы рельефа в Хибинах и пути использования их характеристик для определения границ лавиноопасных зон. В кн. Снег и лавины Хибин. МГУ, 1967, с. 94102
8. Рунич А.В. Опыт количественной оценки лавинной опасности. Тр. ВГИ, вып. 30, 1975, с. 5164.
9. Цомая В.Ш., Абдушелишвили К.Л. Лавиноопасные районы Закавказья и Дагестанской АССР. Тр. ЗакНИИ, вып. 30(36), 1969, с. 38.

უაპ 551.578.48

ზავშემკრებების გავრცელების სიხშირე საქართველოს ტერიტორიაზე. /ლ. ქალდანი, მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე/. პმის შრომათა ქრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.120-125. – ქართ.; რუს.ქართ.,ინგლ.,რუს.

სავალე გამოკვლევების მასალების, დიტერატურული და საარქივო წერილების, აგრეთვე საშუალომასშებიანი და მსხვილმასშტაბიანი რუკების ანალიზის საფუძველზე დადგენილია ზავშემკრებების გავრცელების სიხშირე საქართველოს ტერიტორიაზე და შედგენილია შესაბამისი რუკა. საქართველოს ზავსაშიშ

ტერიტორიაზე გამოყოფილია რაიონები, სადაც ზვავშემკრებების ხოზირე 1 კმ²ზე არის: 5ზე ნაკლები, 510 და 1015ის სახდვრებში, 15ზე მეტი/ თოთოულ რაიონს, შესაბამისად, საკვლევი ტერიტორიის 29, 12, 10 და 6% უკავია. ილ.1,ლიტ.დას.9.

УДК 551.578.48

Density of spreading of avalanche collectors on the territory of Georgia./L. Kaldani, M. Salukvadze, N. Kobakhidze/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.120-125.Georg.: Summ.Georg., Eng., Russ.

The density of avalanche collectors has been determined over the territory of Georgia and a corresponding map has been drown on the basis of the materials of field observations, literary and archive sources, along with medium and large – scale maps, as well. The areas of less than 5, 510, 1015 and over 15 avalanche collectors even a square kilometer have been separated over the avalanche dangerous territory. Each of them occupies 29, 12, 10 and 6% of the territory under investigation, respectively.Fig.1,Ref.9.

УДК 551.578.48

Густота распространения лавинособоров на территории Грузии. /Калдани Л.А., Салуквадзе М.Е., Кобахидзе Н.Ш./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.120-125. – Груз.; рез. Груз.,Анг.,Русск.

На основе анализа материалов полевых исследований, литературных и архивных источников, а также среднемасштабных и крупномасштабных карт установлена густота лавинособоров на территории Грузии и составлена соответствующая карта. На лавиноопасной территории выделены районы с густотой: менее 5, от 5 до 10, от 10 до 15, более 15 лавинособоров на 1 км². Каждый из районов занимает соответственно 29, 12, 10 и 6% изучаемой территории.Рис.1,лит.9.

უაკ 626.8 : 631.4

ი.გელაძე, ნ.დევდარიანი, ს.კოპაძე,
გ.ჩიკვაძე, ო.შეველიძე

აღმოსავლეთი საქართველოს სარაჭავი მიწაზე ნიადაგის

ოპტიმალური ტენიანობის დაზღვენა მირითად სასოფლო

**სამშრეო პულტურათა ზრდაგანვითარების სხვადასხვა პრიო-
დისათვის**

მელიორაციის ერთერთ ძირითად ამოცანას შეადგენს ნიადაგში წყლისა და ჰაერის რეჟიმის რეგულირება მცენარის მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად. წყლის იმ რაოდენობას, რომელიც ნიადაგში ქმნის ტენისა და ჰაერის ისეთ თანაფარდობას, რომელიც საუკეთე-სოა მცენარის ზრდისა და განვითარებისათვის, ოპტიმალურს უწოდებენ. მას გააჩნია თავისი ზედა და ქვედა საზღვარი.

ყველა ნიადაგისა და მცენარისათვის ნიადაგის ოპტიმალური ტე-ნიანობის ზედა საზღვრად მიჩნეულია ტენის სიდიდე, რომელიც ტო-ლია ნიადაგში ზღვრული წყალტევადობისა, ანუ წყლის იმ მაქსიმა-ლური რაოდენობისა, რომელსაც ნიადაგი სტატიკურ, უძრავ მდგომა-რეობაში დააკავებს და რომელიც არ ჩაედინება ღრმა ფენებში [2,3]. ზღვრულ წყალტევადობაზე მეტი რაოდენობით მიწოდებული წყალი უკვე არ ჩერდება მოცემულ ფენებში და თავისი სიმძიმის ძალის ზე-გავლენით ქვემოთ ჩაედინება. ზღვრულ წყალტევადობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სამელიორაციო გაანგარიშებისათვის. იგი საფუძ-ვლად უდევს რწყვის რეჟიმის რეგულირებას [1,2,3]. ნიადაგის ზღვრუ-ლი წყალტევადობა შედარებით სტაბილური სიდიდეა და მისი მნიშ-ვნელობა დამოკიდებულია ნიადაგის შექანიკურ შემადგენლობაზე, მის სიმკრივეზე, სტრუქტურაზე, ნიადაგში მარილებისა და ჰუმუსის რაოდენობაზე და ა.შ. რაც უფრო ახლოსაა ნიადაგის ტენიანობის სი-დიდე ზღვრული წყალტევადობის მნიშვნელობასთან, მით უფრო ად-ვილად თვივისებს ნიადაგში არსებულ წყალს მცენარის ფესვთა სის-ტემა. ტენიანობის შემცირებასთან ერთად მცირდება ფესვთა სისტე-მის მიერ წყლის შეთვისება და ბოლოს ეს პროცესი ფაქტიურად წყდება, რასაც მცენარის დადუპვა მოჰყვება.

ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვრის სიდიდე და-მოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მცენარის სახეობა, მი-სი ვეგეტაციის ფაზთაშორისო პერიოდები, ნიადაგის ფიზიკური თვი-სებები, მათ შორის მისი სინოტიფის მახასიათებლები, და ა.შ. ეს სი-დიდე შეიძლება დადგენილ იქნას როგორც თეორიული, ასევე ექსპ-რიმენტული გზით. მოცემულ ნაშრომში ნიადაგის ოპტიმალური ტენი-

ანობის ქვედა საზღვრის დასაღებნად გამოყენებულ იქნა ა.რ.კონსტანტინოვის მეთოდი [13], რამაც საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა ზოგიერთი სასოფლოსამეურნეო კულტურისათვის, რამდენიმე აგრომეტ-სადგურის მონაცემების საფუძველზე, ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი. შემდგომში შეგროვილი იქნა დაკვირვების მთელი არსებული მასალა და აღნიშნული მეთოდიების გამოყენებით აღმოსავლეთ საქართველოში წარმოებული ცხრა ძირითადი სასოფლოსამეურნეო კულტურისათვის (საშემოღომო ხორბალი და ქერი, ხეხილი, ვაზი, სიმინდი, თამბაქო, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა და პაომიდორი), მათი ვეგეტაციის ცალკეული პერიოდისათვის, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ აგრომეტეოსადგურებზე დაგროვილი მეტეოროლოგიური მონაცემების საფუძველზე აგებულ იქნა წყალმოთხოვნილების მრუდები და დადგენილ იქნა ოპტიმალური ტენიანობის საზღვრები. მცენარის წყალმოთხოვნილების მრუდები ერთმანეთან აკავშირებს ნიადაგის ზედაპირიდან ჯამური აორთქლების სიდიდეს და ნიადაგის ტენიანობას მოცველული აორთქლებაღობის პირობებში. მაქსიმალური წყალმოთხოვნილების არსებობა გვიჩვენებს, რომ ნიადაგში ტენიანობა ოპტიმალურია და სხვა პირობებიც საჟავეოესოა მცენარის ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის. მიღებული მრუდების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნებისმიერი სასოფლოსამეურნეო კულტურებით დაკავებული ფართობებიდან ჯამური აორთქლების სიდიდე მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს არა ნიადაგის ზღვრული წყალტევაღობის დროს, არამედ მაშინ, როცა ნიადაგის ტენიანობის სიდიდე ზღვრული წყალტევაღობის 9397%ს შეადგენს. როგორც ჩანს, ნიადაგის ზღვრული წყალტევაღობის ზედა ზღვრამდე გატენიანების დროს ზედმეტი ტენიო მცენარე შეწუებულია, რაც იწვევს ტრანსპირაციის შემცირებას, რის ხარჯზეც მცირდება ჯამური აორთქლება. აღნიშნულის საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ნებისმიერი სასოფლოსამეურნეო კულტურისათვის ოპტიმალური ტენიანობის ზედა საზღვრად აღებულ იქნა ნიადაგის ტენიანობის სიდიდე და ტოლია ზღვრული წყალტევაღობის 95%-ისა.

მცენარის წყალმოთხოვნილების შემცირება იწვევს მოსავლის შემცირებას. შეცნიერების მიერ დადგენილ იქნა [1], რომ წყალმოთხოვნილების 1020%ით შემცირება ყველაზე საპასუხისმგებლო ფაზთაშორის პერიოდებში იწვევს მოსავლის 2040%ით შემცირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, წყალმოთხოვნილების მრუდების დახმარებით, დადგენილ იქნა ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვრები ძირითადი სასოფლოსამეურნეო კულტურებისათვის მათი განვითარების სხვადასხვა პერიოდებში.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საშემოდგომო ხორბლისათვის (ქერი) ვეგეტაციის პირველ ფაზთაშორის პერიოდში (აღმოცენებავეგეტაციის შეწყვეტა), რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში XXI თვეზე მოდის, ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი ვეგეტაციის სხვა პერიოდებთან შედარებით დაბალია და, როგორც წესი, ნიადაგის ზღვრული წყალტევადობის 6065% შეადგენს. მაგრამ, ამ პერიოდში გადამზევები მნიშვნელობა აქვს არა ნიადაგის ტენიანობას მთელ აქტიურ ფენაში (070 სმ), არამედ სახნავ ფენაში. როგორც მეცნიერთა გამოკვლევებმა აჩვენეს, ხორბალი (ქერი) თავისი აღმოცენებისა და ზრდაგანვითარებისათვის სახნავ ფენაში წყლის საკმაო მარაგს დათესვისთანავე საჭიროებს. კერძოდ, ითვლება, რომ პირობები ოპტიმალურია, თუ სახნავ ფენაში ნიადაგის ტენიანობის სიდიდე ახლოს არის ზღვრულ წყალტევადობასთან და კარგია, თუ იგი 25 მმზე ნაკლები არაა.

აღმოსავლეთ საქართველოში ნიადაგის ტენიანობაზე (საშემოდგომო ხორბლითა და ქერით დაკავშირულ ფართობებზე) დაკვირვებები სხვადასხვა დროს თხეუთმეტ აგრომეტეოსადგურზე წარმოებდა და მათგან შვიდი მდებარეობს მდ. მტკვრის აუზში, ხუთი მდ. ალაზნისა და თითოთითო მდინარეების ალგეთისა და არაგვის აუზებში. დაქვირვებათა მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ მდინარე ალაზნის აუზის მარცხენა სანაპიროზე თესვის წინ ნიადაგის 50 სმ სიღრმის ფენაში, პროდუქტიული ტენის მარაგი 67 მმდან 120 მმდე, ხოლო სახნავ ფენაში 26 მმდან 53 მმდე აღწევს, რაც სავსებით საქმარისია თესლის გაღვივებისა და აღმოცენებისათვის. საწინააღმდეგო სურათია საკლევი ტერიტორიის დანარჩენ რაიონებში. აქ პროდუქტიული ტენის მარაგი სახნავ ფენაში 2დან 35 მმდე მერყეობს და, უმჯემეს შემთხვევაში იგი 20 მმზე მცირეა.

ვაგეტაციის განახლებისათვის, რომელიც, როგორც წესი, საკლევ ტერიტორიაზე მარტის თვეზე მოდის, ნიადაგის აქტიურ ფენაში ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი იგივე რჩება, რაც იყო ვეგეტაციის წინა პერიოდში, ან ოდნავ მატულობს, მაგრამ, მცენარე დათავთავებამდე განსაკუთრებით მგრძნობიარეა სახნავ ფენაში არსებულ წყლის რაოდენობის მიმართ. ამ ფენის გაშრობა მაშინაც კი, როცა ნიადაგის აქტიურ ფენაში ტენიანობის სიდიდე ოპტიმალურ ფარგლებშია, უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოსავლიანობაზე და საგრძნობლად ამცირებს მას.

ოპტიმალური ტენის ქვედა საზღვარი თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს აპრილმაისში. ამ თვეში მოდის ფაზთაშორისო პერიოდი: დეროს გამოდებადათავთავებაყვავლობა. ბოლო ფაზთაშორისო პერიოდში რძისებური სიმწიფემოსავლის აღება ოპტიმალური ტენი-

ანობის ქვედა საზღვარი ისევ მცირდება და ივნისში მისი სიდიდე ნა-
ადაგის ზღვრული წალენებადობის 6065%ს შეადგენს.

ვაზისთვის ნიადაგის აქტიურ ფენაში (0-100 სმ) ვეგეტაციის დასაწყისში, რომელიც საკვლევ ტერიტორიაზე, როგორც წესი, მარტის ოცენტე მოდის, ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვრის სიდიდე 212 მმდან 273 მმდე იცვლება, რაც ზღვრული წელისადმის 6065% შეადგენს. შემდგომ ვაზთაშორისო პერიოდში მისი მნიშვნელობა იზრდება და გაზაფხულის ბოლოს ზაფხულის დასაწყისში, როცა ვაზი ყვავილობას იწყებს, მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ყვავილობის დასაწყისიდან მცენარის მოთხოვნილება წყალზე მკვეთრად იზრდება. ნაყოფის სიმწიფის დასაწყისიდან ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი ისევ მცირდება და უახლოვდება იმ მნიშვნელობას, რომელიც მას პქროცა განეტიციის დასაწყისში.

აღმოსავლეთ საქართველოში ნიადაგის ტენიანობა ვაზის ქვეშ სხვადასხვა დროს ათ აგრომეტეოსადგურზე იზომებოდა. ამ სადგურებიდან ხუთი მდ.ალაზნის აუზში მდებარეობს, სამი მდ. მტკვრის აუზში, ხოლო თოთოოთო მდინარეების ივრისა და მსავერას აუზებში. მდ. ალაზნის აუზში მდებარე ხუთი აგრომეტეოსადგურიდან ერთი მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზეა (ყვარელი), ხოლო ოთხი მარჯვენა სანაპიროზეა (ოქლავი, გურჯაანი, წნორი, ალაზანი). ყვარლის აგრომეტეოსადგურის მონაცამებით ვეგეტაციის პერიოდის დასაწყისში ვაზის ქვეშ პროდუქტიული ტენის მარაგი ნიადაგის აქტიურ ფენაში (0100) იცვლება საკმაოდ მცირე ინტერგალში: 204დან 261 მმმდე, რაც შეადგენს ზღვრული წყალტევადობის 8095%-ს. ვეგეტაციის ამ პერიოდში ნიადაგში ტენის მაღალ დონეს ვაზისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მეცნიერები აღნიშანვენ [5], რომ თუ ვეგეტაციის პირველ პერიოდში (წვენთა მოძრაობის დასაწყისი ყვავილობის დასასრული) ვაზს ნიადაგში ჭარბად აქვს ტენი და მისი ზრდაგანვითარება ნორმალურად მიმდინარეობს, მაშინ ვეგეტაციის მეორე ნახევარში, გვალვის შემთხვევაშიაც კი, იგი საკმაოდ მაღალ მოსავალს იძლევა. ვეგეტაციის მომდევნო პერიოდებშიც (ნაყოფის ზრდა ნაყოფის სიმწიფის დასაწყისი) ნიადაგში პროდუქტიული ტენის სიდიდე, როგორც დაკეირვების მასალის ანალიზი აჩვენებს, სავსებით საკმარისია ვაზის ნორმალური ზრდაგანვითარებისათვის.

გაცილებით უარესი სიტუაციაა აღაზნის დაბლობის მარჯვენა სანაპიროზე. გურჯანის, წნორის, აღაზნისა და ოელავის აგრძელებოსადგურების მონაცემებით ვაზის ქვეშ, ნიადაგის აქტიურ ფენაში, ტკნის მარაგი საქმაოდ ხშირად (ორ წელიწადში ერთხელ მაინც) ვეგზაციის სხვადასხვა პერიოდში ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარზე ნაკლებია. ადსანიშვაგია, რომ ეს ზონა იწყვება და ტენის

ნაკლებობა ნიადაგში მიუთითებს, რომ მორწყვის რეჟიმი ამ რაიონში დაზუსტებას მოიხოვს. დაახლოებით ასეთი, ან უფრო უარესი სურათია საკვლევი ტერიტორიის დანარჩენ რაიონებშიაც.

აღმოსავლეთ საქართველოში ხეხილის ნარგავების (ვაშლი, მსხალი) ქვეშ ნიადაგის ტენიანობაზე დაკვირვება წარმოებდა რვა აგრომეტეროსადგურზე. მათ შორის ოთხი მდებარეობს მდ. მტკვრის აუზში, თითოთითო ძირინარების არაგვის, დ. ლიახვის, ალგეთის და ალაზნის აუზებში. დაგროვილი მასალის ანალიზმა და გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ვეგეტაციის დასაწყისში (კვირტების დაბერვა კვირტების გაშლა) ხეხილის ქვეშ ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი მძიმე თიხნარი ნიადაგებისთვის აქტიურ ფენაში (0100 სმ) 280 მმის ტოლია, ხოლო მსუბუქი ნიადაგებისათვის 188 მმია. ვეგეტაციის აქტიურ ფაზებში (კვირტების გაშლაუვავილობის დამთავრება) იგივე სიდიდე შესაბამისად 322 და 336 მმს აღწევს. ნიადაგის ტენიანობაზე დაკვირვების მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნიადაგში პროდუქტიული ტენის რაოდენობა ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარზე ნაკლებია თითქმის ყოველ წელიწადს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მეხილეობის მთავარ რაიონში შიდა ქართლის შეა ნაწილში (გორის რაიონი). აღსანიშნავია, რომ ეს რაიონი ირწყვება და ნიადაგის ტენიანობის არსებული რეჟიმი მიუთითებს იმაზე, რომ მორწყვის რეჟიმი მოითხოვს დაზუსტებას.

საკვლევ ტერიტორიაზე სიმინდის ქვეშ ნიადაგის ტენიანობაზე დაკვირვება წარმოებდა ექს აგრომეტეროსადგურზე. თესვისა და აღმოცენების პერიოდში ნიადაგის აქტიურ ფენაში (070 სმ) ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი არ აღემატება ზღვრული წეალტეგორიების 6065%. მაგრამ, როგორც საშემოდგომო პურეულის შემთხვევაში, სიმინდის დროული და თანაბარი აღმოცენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტენის მარაგს სახნავ ფენაში, რომელიც მეცნიერთა გამოკლევების თანახმად 20 მმზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამ რაიონებში, ატმოსფერული ნალექების სიმცირის გამო, ეს პირობა დაცული არ იქნება. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ტენის მოითხოვს სიმინდი საგველების წარმოქმნის წინა პერიოდიდან მათი ყვავილობის დასრულებამდე და ტაროს გამოსახვამდე. ამ ფაზთაშორისო პერიოდში ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი ნიადაგის აქტიურ ფენაში 148 მმდან 224 მმდე იცვლება.

შაქრის ჭარხლის ვეგეტაციის პირველ პერიოდში თესვიდან პირველი წელი ფენილი ფოთლის გაშლამდე, რომელიც აპრილის დასაწყისიდან მაისის პირველი დეკადის ბოლომდე გრძელდება, ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი 178 მმდან 220 მმდე იცვლება. მაგრამ, ამ პერიოდში მცნარის ზრდაგანვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახნავ ფენაში ტენის რაოდენობას. მას შემდეგ რაც

იწყება შაქრის ჭარხლის ფოთლების აქტიური ზრდა, მცენარის მოთხოვნილება ტენის სწრაფად იზრდება და ეს პროცესი გრძელდება ძირხენების ზრდის დასაწყისამდე, რომელიც ივლისის პირველ რიცხვებს ემთხვევა. ამ ფაზთაშორის პერიოდში ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი მძიმე შედგენილობის ნიადაგებში 266 მმდე იზრდება. ძირხენების ზრდის დასაწყისიდან ვეგეტაციის ბოლომდე მცენარის მოთხოვნილება წყალზე ისევ მცირდება და აგვისტოს ბოლოს მინიმალურ მნიშვნელობას აღწევს.

კარტოფილის აღმოცენება, ასევე, დიდად არის დამოკიდებული სახნავ ფენაში ტენის რაოდენობაზე. თუ ამ ფენაში ტენიანობის სიღიდე ზღვრული წყალტევადობის სიღიდეს უახლოვდება, მაშინ მის აღმოცენებას სამ კვირამდე დრო სჭირდება. ნაკლები ტენის შემთხვევაში ეს პროცესი ერთ თვემდე გრძელდება და გვალვიან წლებში პროცესი შეიძლება საერთოდ შეწყდეს. კარტოფილს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა აქვს წყალზე ივნისივლისში, რადგან ამ თვეებს ემთხვევა მისი ფაზთაშორისო პერიოდი: საყვავილის წარმოქმნაუვავოლობა. ამ პერიოდში ნიადაგის აქტიურ ფენაში (050 მმ) ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი ზღვრული წყალტევადობის 7580%-ს შეადგენს, რაც 180194 მმის ტოლია. მასიური უკავილობის დამთავრების შემდგე მცენარის მოთხოვნილება წყალზე მცირდება და ვეგეტაციის ბოლო პერიოდში, ისევე როგორც დასაწყისში, ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარი 103130 მმდე ეცემა.

თამბაქოს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება აქვს წყალზე უვავილობის დროს. ვეგეტაციის შემდგომ პერიოდში იგი შედარებით ადგილად იტანს ნიადაგის სიმრალეს. დიდი რაოდენობით წყალს საჭიროებს იგი რგვის პერიოდში, როდესაც ხდება მისი ფესვების განვთარება. ამიტომ, ნიადაგის სახნავ ფენაში ამ პერიოდში ტენიანობის სიღიდე ზღვრული წყალტევადობის მნიშვნელობას უნდა უახლოვდებოდეს. ნიადაგის ტენიანობაზე დაკირვების მასალის ანალიზში გვიჩვენა, რომ ლაგოდებში თამბაქოს ქვეშ ნიადაგის ტენის მარაგი ვეგეტაციის დასაწყისში 110140 მმის ფარგლებშია, ხოლო სახნავ ფენაში, როგორც წესი, 20 მმზე მეტი, რაც საკმარისია მისი ნორმალური ზრდაგანვითარებისათვის. შემდგომში ტენის მარაგი ნიადაგში მცირდება და მინიმალურ მნიშვნელობას აგვისტოში აღწევს. მაგრამ, მაშინაც ტენიანობის სიღიდე ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარზე მეტია. საწინააღმდეგო სურათი გვაქვს მარნეულის რაიონში, სადაც ნიადაგის ტენიანობის სიღიდე როგორც სახნავ, ასევე მთლიან აქტიურ ფენაში ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარზე დაბალია.

ლიტერატურა – REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Константинов А.Р. Определение оптимальных влагозапасов почвы по периодам развития озимой пшеницы. Гидротехника и мелиорация. 1975,2,с.3843.
2. Чикваидзе Г.В.,Швельдзе О.Г. Тр. ЗакНИГМИ, вып., 92 (99), Л., Гидрометеоиздат, 1990, с.133143.
3. ჩიკვაიძე გ., შველდე თ. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტომი 100, თბილისი, გვ.8791.
4. Харченко С.И. Гидрология орошаемых земель. Л.,Гидрометеоиздат, 1975, 373 с.
5. Фурса Д.И. Погода, орошение и продуктивность винограда. Л., Гидрометеоиздат, 1977, 126 с.

უაკ 626.8 : 631.4

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის დადგენა ძირითად სასოფლო სსამეურნეო კულტურათა ზრდაგანვითარების სხვადასხვა პერიოდისათვის. /ი.გელაძე, ნ.დევდარიანი, ს.კოპაძე, გ.ჩიკვაიძე, თ.შველდებული. – ქმის შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.126-133. –ქართ.; რეზ. ქართ.,ინგლ.,რუს.

დადგენილია აღმოსავლეთ საქართველოს ცხრა ძირითადი ს/ს კულტურის ქვეშ ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ზედა და ქვედა საზღვრები. საქართველოში 19 აგრომეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებათა ვრცელი მასალის საფუძველზე ამ კულტურებიდან თითოეული მათგანისა და მათი ზრდისა და განვითარების ფაზთაშორისი პერიოდებისათვის აგებულია წყალმოხმარების მრუდები, რომლებიც ურთიერთშორის აგავშირებენ ნიადაგის ზედაპირიდან ჯამურ აორთქლებასა და ნიადაგის ტენიანობას მოცემული აორთქლებადობის დროს.

მიღებული წყალმოხმარების მრუდების ანალიზმა აჩვენა, რომ განხილული კულტურების ქვეშ ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის მაქსიმალური საზღვარი საშუალოდ ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 95%-ის ტოლია. რაც შეეხება ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარს, იგი თითოეული კულტურისა და მის ფაზთაშორისო პერიოდისათვის სხვადასხვა სიდიდეს უზოლდება და ვეგეტაციის პერიოდში საშუალოდ მაქსიმუმს ზღვრული ტენტევადობის 7080%მდე და მინიმუმს – 6065%მდე აღწევს.ლიტ.დას.5.

UDC 626.8 : 631.4

Determination of optimal soil humidity of irrigated lands of Eastern Georgia for different periods of growth and development of main crops.
I.Geladze,N.Devdariani, S.Kopadze, G.Chikvaidze, O.Shvelidze/. Transactions of

the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.126-133.Georg.:Summ.Georg., Eng., Russ.

The upper and lower limits of optimal soil humidity are established for nine major crops of Eastern Georgia. Basing upon vast observational material of 19 agrometeorological stations in Eastern Georgia for each of these crops and their interphase growth periods the water consumption curves are derived linking total evaporation from the soil surface with soil humidity at the given evaporativity.

The analysis of obtained curves of water consumption has shown that the maximum limit of soil optimal humidity is equal to 95% of maximum water capacity of soil under the investigated crops. Concerning the lower boundary of optimal soil humidity, its value appeared to be different for various crops and their interphase periods, reaching maximum 7080% in the vegetation period and minimum 6065% of upper water capacity.Ref.5.

УДК 626.8 : 631.4

წყალსაცავებში ჩამდინარე წლის ხარჯების პროგნოზები შეიძლება გავცეთ როგორც ჩვეულებრივი ფორმით, ასევე ალბათური ფორმითაც 5%დან 95%მდე უზრუნველყოფით (%).

ადსანიშნავია, რომ მიღებული საპროგნოზო განტოლებები შემუშავებულია მეტად შეზღუდული ინფორმაციის პირობებში. სადღეოსთვის, ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგრმარეობის გამო დაიხურა დაქვირვების პუნქტები და არ მიმდინარეობს მდინარეთა ჩამონადენის სრული აღრიცხვა. ამიტომ, საპროგნოზო მეთოდიკების შემუშავების დროს ვცდილობდით არ გამოგვეყნებინა პიდროლოგიური ინფორმაცია წყლის ხარჯებზე. ამის გამო განსაკუთრებული ყურადღება გაფართვილებული აროგნოზებში თოვლაში წყლის მარაგის სიდიდის (ჸ) გამოყენებაზე თოვლაგეგმვის მარშრუტების მონაცემებით, რომლებიც უკველწლიურად ტარდება მდინარეთა აუზებში.

პიდროლოგიური ინფორმაციის შეზღუდულობის პირობებში, ამათუ იმ პერიოდის ჩამონადენის გამოთვლისას, მიღებული საპროგნოზო ზონიშვნების შედარებულ უნდა იქნას მათ ნორმებთან და ექსტრემალურ სიდიდეებთან, რათა გამოირიცხოს არასწორი ინფორმაციით ან არასწორი გაანგარიშებით გამოწვეული შეცდომები. ამიტომ, არსებული დაკვირვებათა რიგების ანალიზით დავადგინეთ ყველა საპროგნოზო პერიოდის ჩამონადენის ნორმები, მათი ცვალებადობის მახასიათებლები და ავაგეთ უზრუნველყოფის მრუდები.

ამრიგად, წლის სხვადასხვა პერიოდის ჩამონადენის პროგნოზი საშუალებას იძლევა რაციონალურად განაწილდეს წყალსაცავის წყლის რესურსები ეკონომიკის სხვადასხვა დარგის მოთხოვნილების შესაბამისად. წყალსაცავის ოპტიმალური რეჟიმით მუშაობა კი უზრუნველყოფს ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდას, წყალმომარაგების გაუმჯობესებასა და სასოფლოსამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მატებას.

მადალი წყლის პროგნოზის შემთხვევაში მოხდება წყალსაცავების დაცლა შესაბამისი გრაფიკით, რაც საშუალებას მოგვცემს შეკავებულ იქნას დიდი ნაკადის მოდინება და ასეთი დარეგულირებით შეიძლება თავიდან ავიცილოთ მოსალოდნებლი მატერიალური ზარალი და მსხვერპლი. ამით კლინიდება წყალსაცავების კიდევ ერთი მეტად სასარგებლო დანიშნულება წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების დარეგულირება. ამიტომ, წყალსაცავების ქსელი პერსპექტივაში აუცილებლად უნდა გაიზარდოს. მართალია, მათი აშენება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, მთის მცირე მდინარეების აღიდებამ შეიძლება გაცილებით უფრო დიდი მატერიალური დანაკარგი გამოიწვიოს. წყალსაცავების მშენებლობასთან ერთად კი საჭიროა შემუშავდეს შესაბამისი პიდროლოგიური პროგნოზები, რადგან წყალსაცავების ეფექტური გამოყენება და ექსპლუატაცია ბევრად არის დამოკიდებული პიდროლოგიური პროგნოზებით მომსახურების ხარისხზე.

ЛიტეРАТУРА REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Метревели Г.С. Водохранилища Закавказья. Л., Гидрометеоиздат, 1985.
2. Владимиров В.Л., Гигинеишвили Г.Н. и др. Водный баланс Кавказа и его географические закономерности. Тбилиси, «Мецниереба», 1991.
3. Сванидзе Г.Г., Цомая В.Ш. и др. Водные ресурсы Закавказья. Л., Гидрометеоиздат, 1988.

უაგ 556.16.06

წყალსაცავებში ჩამდინარე წყლების პროგნოზირება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში. /ც.ბასილაშვილი/. პმის შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.156-161. –ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

საქართველოს სამი მთავარი წყალსაცავისათვის (ჯვრის, ვარცისის და უინვალის) შემუშავებულია მათში ჩამდინარე წყლების გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგნოზები წლის სხვადასხვა პერიოდისათვის: წყალდიდობის საშუალო და მაქსიმალური ხარჯების, სავაგებებაციო პერიოდის, კვარტალური, თვიური, დეკადური, დღედამური და წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების. ცხრ.3,ლიტ.დას.3.

UDC 556.16.06

Forecasting of water flow into the reservoirs under the limited information supply. /Ts. Basilashvili/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.156-166.Georg.: Summ. Georg., Eng., Russ.

Long and short term prognosis of the water inflow have been worked out for three main reservoirs of Georgia (Jvari, Vartsikhe and Zhinvali) for different periods of year: average and maximum discharge of water, vegetation period, quarterly, monthly, decade, daily and maximum discharge of rainy highflood water. Tab.3,Ref.3.

УДК 556.16.06

Прогнозирование притока воды в водохранилищах при ограниченной информации. /Басилашвили Ц.З./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.156-161. – Груз.; рез. Груз.,Анг.,Русск.

Для трёх главных водохранилищ Грузии (Джварское, Варцихское и Жинвальское) разработаны долгосрочные и краткосрочные прогнозы притока воды за разные периоды года: средние и максимальные расходы половодья, вегетационный сток, квартальные, месячные, декадные, суточные и максимальные расходы воды дождевых паводков. Таб.3,лит.3.

უაკ 556.55

ს.გორგიჯანიძე

საქართველოს გეოლოგიურ მარსულში ჩახერგვებით

ჰარმოზობილი დაგუბავებული ფაზების გეოგრაფია

საქართველოს რელიეფს რთული გეოლოგიური აგებულება ახასიათებს. მისი ასეთი სირთულე განპირობებულია წლების მანძილზე მასზე მუდმივი ეგზო – და ენდოგენური ძალების მოქმედებით. იგი განიცდიდა როგორც აზევების პროცესებს, ასევე დენუდაციას, როგორც გამყინვარების, აგრეთვე მყინვარების უკან დახევის ეპოქას, მიწისძრვებისა და კლდეზვავების მოქმედებას, მეწყერების დიდი მასშტაბებით გავრცელებას, რის გამოც მისი სახე ძლიერ იცვლებოდა და იცვლება ამჟამადაც.

ამ პროცესებთანაა დაკაგშირებული საქართველოს გეოლოგიურ წარსულში გრანდიოზული ჩახერგვები და დაგუბებული ტბების წარმოშობა, ზოგ შემთხვევაში კი გარღვევები და წყალმოვარდნები, რომელთაც ხშირად კატასტროფული შედეგები მოყვებოდა. ტბათა წარმოშობას წინ უძროდა ქვაბულების, პლატოების, მოსწორებული და მაგიდისებული ფორმების წარმოქმნა. ჩახერგილი მასის მდგრადობა უშეალოდ განისაზღვრება მისი ამვებული ქანებით. მაგალითად, კულანური ლავა აგებულია გრანიტებით, ბაზალტური და ანდეზიტური ქანებით, რომელიც ძნელად ირეცხება წყლით. ამ შემთხვევაში ჩახერგილი მასა უფრო მდგრადია, რასაც ვერ ვიტყვით კლდეზვავებით, მეწყერებით, მდინარეების გამონატანისა და გამოზიდვის კონუსებით ჩახერგილ მასაზე. იგი აგებულია ფხვიერი ქვიშაქვებით, ქვადღორდით, ალუვიური და ადგილად ნერგვადი მასალით. [3]

ამგვარი პროცესები საყურადღებო და მნიშვნელოვანია პუნქტოივ გარემოზე და ქვენის ეკონომიკაზე მათი როგორც უარყოფითი, ასევე დადგებითი გავლენის გამო. მათი მოქმედება შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ წარმოშვება ქვაბულები და ჩადაბლებები. ჩახერგილი უბნების გარღვევისას ადგილი აქვს წყალმოვარდნებს, რაც მოსახლეობისათვის კატასტროფულ მოვლენას წარმოადგენს. ასევე უარყოფითია მათი ზემოქმედება ქვენის წყალსაცავების, გზების, კომუნიკაციების, ნაგორისა და გაზსადენების მიმართ შექმნილი საშიშროების გამო. დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დაგუბებული ტბები საქართველოს მოსახლეობისათვის წარმოადგენს წყალსაცავებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებაში, მათზე შეიძლება კაშხლების აგება, რომლებიც გამოყენებული იქნება

სამეცნიერო და სამრეწველო თვალსაზრისით. ჩახერგვის შედეგად გარკვეულია გალიბდება ბუნებრივ ტერიტორიული კომპლექსები /ზტკ/, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკოლოგიური უკლუციისათვის.

კვლევის მეთოდს საფუძვლად დაედო ლიტერატურული მასალები [1,46], ტოპოგრაფიული და გეომორფოლოგიური რეკები. განხილული იქნა როგორც გეოლოგიურ წარსულში დაგუბებული ტბების წარმოშობა, ასევე ჩახერგილი უბნების გარღვევები და მათთან დაკავშირებული წყალმოვარდნები.

მონაცემები საქართველოს გეოლოგიურ წარსულში, დაახლოებით კი მეოთხეულ პერიოდში მდინარის ხეობების ჩახერგვების შედეგად წარმოშობილი ყველა დაგუბებული ტბების შესახებ მოცემულია ცხრილში 1 და ნახ. 1ხე.

მაგალითისათვის ყვრადღებას იპყრობს მდ. ანდისყოისუს ტექტონიკური ჩახერგვები სოფ. ჭერის მიდამოებში (№13 ნახ. 1ის მიხედვით). აქ შემონახულია რელიეფური ერთზოული ვაკეები. რაც შემორჩენილია ხეობის სათანადო ნაწილის აღნაგობაში და მორფოლოგიურ თავისებურებაში [2]. დღესდღეობით ამ ვაკეებზე 21002200 მ ზ.დ. მდებარეობს ს.მალო, შენაქო და დიკლო.

არანაკლებ საყურადღებო ივრის ხეობის სამხრეთი ნაწილი, რომელიც თიანეთის ქვაბულს (№14) უკავია. იგი ივრის ხეობის აზევებულ უბნით გადაიღობა და წარმოიშვა ამ პროცესის შემდეგ. აზევების დერძი მთა ბერტყებზე გადის. ქვაბულის გაჩენას თან სდევდა მდინარეული და ტბიური ნაფენების დაგროვება ტექტონიკური კაშხლის ზემოთ და ამ უკანასკნელის შემდეგ უკვე ეწ. ჩაჭრა. ამ პროცესის ერთობლიობით 10501300 მ ზ.დ. წარმოიშვა თიანეთის ქვაბულის ბრტყელი ქვიშებით, თიხნარებითა და რიყნარებით აგებული ვრცელი ფსკერი, მის ქვემოთ მდებარე ლელოვანის ვიწრობით.


თითქმის იგივე პროცესების შედეგადაა წარმოშობილი ტყიბულის ქვაბულის სამხრეთ ნაწილში მდებარე ახალსოფლის ტაფობი, რომელიც ხეობის ტექტონიკური გადაღობების შედეგია. თოვლის დნობისა და წვიმების დროს ხვრელები და სიცარიელეები ვერ იტევდნენ წყალს და ჩნდებოდა დროებითი ტბები, რომელთაგან დღესდღეობით 5001000 მ შექმნილია ტყიბულის (№5) ხელოვნური წყალსაცავი. [5]

ტექტონიკის გარდა ხეობების ჩახერგვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მყინვარულმა მოქმედებებმა, რომელთაც ჩხალთის ქედის მთელ სიგრძეზე მყინვარულ სიცარიელეებში ბევრი ტბა წარმოშვა და შემდეგ უკვე განაპირობა ჩხალთის ქედის აღნაგობა. აქ აღსანიშნავია ტბა ყვარაში (2270 მ) (2).

პიდროლოგია – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

ცხრილი 1.საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიურ წარსულში
დაგუბებული ტბების ჩამონათვალი

№	დაგუბებული ტბის დასახლება	მდინარის აუზი	წარმოშობილი ქვაბულის დასახლება	ჩატერგვის მიზნი	ტბის მდგომარე ობა
1		ბაზი	ფსხე	მეწყრი	დაცლილი
2	კარაში			მიწნარი	არსებული
3	ტობავარნისილი	მაგანა	ტობავარნისილი	მიწნარი	არსებული
4	დიდი და მცირე ტბაგარი	ტეხურა		მყინვარი	არსებული
5	ტყიბულის ჭალასაცავი		ახალსოფლები	კლდეზვავი	არსებული
6	ლრამულა	წონი		კლდეზვავი	დაცლილი
7	ერწო	ყვირილა	ერწო	მყინვარი	არსებული
8		ლაახვი	ქაბინტა	ლავურიდვარი	დაცლილი
9	დიდი და მცირე წოთკლატი	ქსანი	წითელხატი	ლავურიდვარი	არსებული
10		თერზი	თრუსო, ქობი, სნო	ლავურიდვარი	დაცლილი
11		თერგი		მყინვარი	დაცლილი
12	მცირე ტბა	თათრი არაგვი	მღეთა	ლავურიდვარი	არსებული
13		პირიქითა ალაზანი		კლდეზვავი	დაცლილი
14	ოორი		თიანეთი	კლდეზვავი	დაცლილი
15	უსახელო	ალაზანი	კისისხევი	მეწყრი	არსებული
16	უსახელო	ალაზანი	თურდო	მეწყრი	არსებული
17	უსახელო	ალაზანი	ქერმესხევი	მეწყრი	არსებული
18		ხრამი	გომარეთი	ლავური დვარი	დაცლილი
19	ბერეთი			ლავური დვარი/ტექტონიკა	არსებული
20		ქვია	რეხათარსონი	ლავური/ტექტონიკა	დაცლილი
21	უზუმბელი	ხრამი		ლავური დვარი	არსებული
22	ლევაბელი			ლავური დვარი/მიწნარი	არსებული
23		ჯილდა		ლავური დვარი	დაცლილი
24	აბულგელი			ლავური დვარიმიწნარი	არსებული
25	სამსარი			ლავური დვარი/მიწნარი	არსებული
26	მადათავი	მტკვარი		ლავური დვარი	არსებული
27	ფარავანი	ფარავანი		ლავური დვარი	არსებული
28		შბათისწყალი	ქაბური	ლავური დვარი/ტექტონიკა	დაცლილი
29	კახისი		ციხისხვარი	ლავური დვარი	არსებული
30	წერო			ლავური დვარი	არსებული
31	დაბაცეკლი		დაბაცეკლი	ლავური დვარი	არსებული
32			ბარალეთი	ლავური დვარი	დაცლილი
33	ხანჩალი	ფარავანი		ლავური დვარი	არსებული
34	ზრესი		ახალქალაქი	ლავური დვარი	არსებული
35	წენდი			მეწყრი	არსებული
36	აწყობა			მეწყრი	არსებული



დიდი მნიშვნელობა გააჩნია აგრეთვე მყინვარულ პულსაციასთან
დაკავშირებულ მოვლენებს, რომლის დროსაც ერთი და იგივე
პროცესი ხშირად მეორდება, რასაც ზოგჯერ კატასტროფული
შედეგები მოჰყვება. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგინს
ყაზბეგის რაიონი, სადაც დაახლოებით XVII-XVIII საუკუნეებში
დაიწყო აღრიცხვა და 1776, 1785, 1808, 1817, 1832, 1842, 1854 წლებში
გაგრძელდა მყინვარ დევდორაცის პულსაცია, რომლისთვისაც
დამახასიათებელი იყო მდინარის ხეობების მასშტაბური გავრცელება,
რასაც დამანგრეველი შედეგები მოჰყვებოდა. აქედან მნიშვნელოვანია
1832 წელი, როდესაც მყინვარმა ჩახერგა მდ. თერგის ხეობა სოფ.
გველეთოან 2 ქმ სიგრძეზე და 100 მ სიგანეზე, შეაჩერა მდ. თერგის

პიდაროლოგია – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

დინება 8 საათით, შემდეგ ტბა (№11) გაირღვა, რასაც ყაზბეგის რაიონში კატასტროფული შედეგები მოჰყვა.

ცხრილი 1

№	დაბუბნეული ტბის დასახელება	მდინარის აუზი	წარმოშობილი ქვემოულის დასახელება	ჩახერგვის მატები	ჩახერგვის მატები		დაგენერიული ტბის თანამდებობები	მდგრადანეროვა
					3	4	5	6
1	2	3	4	5				
1	ჭავარაში	ბიიფი	ფსხევ	მეწმერი	დაცლილი			
2	ჭავარაში	მაგანა	ტრასარჩენილი	მყინვარი	არსებული			
3	ჭოანარჩენილი	დიდი და მცირე	ტრასარჩენილი	მყინვარი	არსებული			
4	ჭოანარჩენილი	ტრასარჩენილი	ახალი სოფელი	მყინვარი	არსებული			
5	ტრასარჩენილი	ლარამელი	კლდუ-ზევეზი	არსებული				
6	ჭოანარჩენილი	ჭოანარჩენილი	წონი	კლდუ-ზევეზი	დაცლილი			
7	ჭოანარჩენილი	ლარამელი	ერწო	მყინვარი	არსებული			
8	ჭოანარჩენილი	ლარამელი	კაბი ზეა	ლაგუნარი ლვარი	დაცლილი			
9	ჭოანარჩენილი	ჭოანარჩენილი	წონი	ლაგუნარი ლვარი	არსებული			
10	თორები	თორები	თორები, იოლი, სნო	ლაგუნარი ლვარი	დაცლილი			
11	თორები	თორები	თორები	მყინვარი	დაცლილი			
12	გვირე ტბა	არაგვი	მდურა	ლაგუნარი ლვარი	არსებული			
13	პირიქითა ალაზანი	პირიქითა ალაზანი	თაბანი	კლდუ-ზევეზი	დაცლილი			
14	თორები	თორები	თაბანი	კლდუ-ზევეზი	დაცლილი			
15	უსახელო	ალაზანი	გისისხევი	მეწმერი	არსებული			
16	უსახელო	ალაზანი	თურქეთი	მეწმერი	არსებული			
17	უსახელო	ალაზანი	ჰერმანსხევი	მეწმერი	არსებული			

1	2	3	4	5	6
18	ხრამი	გომარეთი	ლავშარი დვარი	ლაცლილი	არსებული
19	ბერეთი		ლავშარი ტექტონიკა		არსებული
20	ქცია	რესათარისო	ლავშარი	ლაცლილი	არსებული
21	უზტაცელი	ხრამი	ლავშარი დვარი	ლაცლილი	არსებული
22	ლუგანგელი		ლავშარი	ლაცლილი	არსებული
23	ჭილდა		ლავშარი დვარი	ლაცლილი	არსებული
24	აბულგელი		ლავშარი	ლაცლილი	არსებული
25	ხამიარი		ლავშარი ტექტონიკა	ლაცლილი	არსებული
26	მაღათაფი	მეტკარი	ლავშარი დვარი	ლაცლილი	არსებული
27	ვარავანი	ვარავანი	ლავშარი დვარი	ლაცლილი	არსებული
28	გუმბათისწყალი	ქაბური	ლავშარი	ლაცლილი	ლაცლილი
29	კახისი	ციხისუჯვარი	ლავშარი ტექტონიკა	ლაცლილი	არსებული
30	წერო		ლავშარი დვარი	ლავშარი დვარი	არსებული
31	დაბატველი		დაბატველი	ლავშარი დვარი	არსებული
32		გარალეთი	ლავშარი	ლაცლილი	არსებული
33	ხანჩალი	უარავანი	ლავშარი დვარი	ლავშარი დვარი	არსებული
34	ზრქსი	ახალქალაქი	ლავშარი დვარი	ლავშარი დვარი	არსებული
35	წუნდი		ჭაჭალი	ჭაჭალი	არსებული
36	აწყვიტი		მეწარმე	მეწარმე	არსებული

გრანდიოზული ჩახერგვები ხდებოდა ლავური დვარების მიერ მდინარის ხეობების გადაღობვის შედეგადაც, რის მაგალითს წარმოადგენს ბორჯომის ხეობა და აქ არსებული დაგუბებული ტბები, აგრეთვე ჯავახეთის უახლეს წარსულში წარმოქმნილი ტბები, რომელთაგან ზოგიერთი დღესდღეობით გამქრალია. მათ კუთვნის, მაგალითად ბარალეთის ტბა (№32), რომლის ფსკერი წარმოადგენს ამავე სახელწოდების სოფლის მიდამოებში არსებულ გაეგეს. ასევე ლავურმა დვარებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჯავახეთის ქედაზე კარწახფარავნის ტერიტორიის ჩამოყალიბებაში. აქ მადათაფის ველკანურმა დვარებმა წარმოშვა მადათაფის ტბა (№26), რომელიც ამჟამად დეგრადაციას განიცდის, აგრეთვე ფარავნის ტბა (№27). უნდა აღინიშნოს, რომ კველა ეს ტბა განიცდის კ.წ. “კვდომის” – დაჭაობების სტადიას. მაგალითად, ფარავნის ტბის (2100 მ) წყლის სარკის ფართობი ქვედა მეოთხეულში [4] აღწევდა 52 კმ² და სიღრმე 115129 მ. ამჟამად ტბის წყლის სარკის ფართობი უდრის 37,5 კმ², ხოლო სიღრმე არ აღემატება 33,5 მ. [7]

ჩახერგილი ტბების გაჩენაში აგრეთვე მნიშვნელოვანია მეწყერული პროცესები, რომელთა მოქმედებებმა წარსულში მრავალი ჩახერგვები და დაგუბებული რაიონები წარმოშვა. მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას ფსეუს ქვაბული (№1), რომელიც ჩაიხერგა მეწყერით მდ. ბზიფის შეა წყლში, ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლეზე. მეწყერთანაა დაკავშირებული აგრეთვე აწყვიტას ტბის გაჩენა (№35) მდ. კუნცისხევის ხეობაში, ასევე სოფ. ხერთვისის ზემოთ წუნდის ტბის წარმოშობა (№34).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი კურადღება უნდა მიექცეს კველა აღნიშნულ რაიონს, რადგან მდინარის ხეობების ჩახერგვები, მათთან დაკავშირებული დაგუბებები, გარღვევები და წყალმოვარდნები დღესაც მიმდინარეობს. ეს პროცესები იცვლება ამა თუ იმ შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზეგავლენით. ამიტომ აუცილებელია საჭირო სამუშაოების ჩატარება, რათა მოსახლეობას და აგრეთვე ახალ ბუნებრივ ტერიტორიულ კომპლექსს ააცილოს მოსალოდნებლი ეკოლოგიური კატასტროფა. კერძოდ, საშიშროების მოახლოებისას დროულად უნდა მოხდეს მოსახლეობის წინასწარი გაფრთხილება, საჭირო შემთხვევაში კი ევაკუაცია, აგრეთვე ისეთ ტექნოლოგიურ დონისძიებათა განხორციელება, როგორიც არის ამ რეგიონებში არხების გაყვანა, კაშხლების აგება, დროულად სპეციალური მილსადენებით წყლის დაცვა ქვაბულებიდან და ა.შ.

აღნიშნული მასალა საფუძვლად დაედება კლასიფიკაციას, რომელიც სისტემაში მოიყვანს მონაცემებს როგორც საქართველოს გეოლოგიურ წარსულში, აგრეთვე თანამედროვე ეპოქაში მდინარეთა

ხეობების ჩახერგვების შედეგად წარმოშობილი დაგუბებული ტბების შესახებ.

ლიტერატურა REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. ასტახოვი ბ. ჯავახეთის ახალგაზრდა ვულკანიზმისა და ძველი გამყინვარების საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, გ.13.№1, თბილისი, 1952, გვ.330 386.
2. ასტახოვი ბ., მარუაშვილი ლ. თიანეთის ქაბულის მდ. იორის ხეობაში, როგორც მაგალითი ხეობის ტექტონიკური შეგუბებებით განპირობებული მორფოგენეზისა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, გ.15, №4, თბილისი, 1954, გვ.106 107.
3. მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწილი II, გამომცემლობა, თბილისი, 1970, გვ.1419.
4. Апхазава И.С. Озера Джавахетии. В сб. «К изучению климатических и гидрологических элементов Грузии». Изд. «Мецниереба». Тбилиси, 1966, с.4357.
5. Джанелидзе А.И. Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхуми. Изд. «Мецниереба». Тбилиси, 1940, с.6068.
6. Марашвили Л.И. К геоморфологии и четвертичной истории Тушети. «Известия Груз. географ. обва», №7, Тбилиси, 1939, с.142148.
7. Цомая В.Ш. Прошдое и современное гидрографогидрологическое состояние оз.Параавани и рекомендации по восстановлению его экологических условии. Тр. ЗакНИГМИ, вып. 92(99), 1990, с.1228.

უაკ 556.55

საქართველოს გეოლოგიურ წარსულში ჩახერგვებით წარმოშობილი დაგუბებული ტბების გეოგრაფია. /ს.გორგიჯანიძე/. პმის შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.162-170. –ქართ.რეზ.ქართ., ინგლ., რუს.

დახასიათებულია დაგუბებული ტბები, რომელთა წარმოშობა და- კავშირებულია ტექტონიკურ, კლდეების და მყინვარული ჩამონა- ქცევის, თოვლის ზვავების, მდინარეული ყინულების და მეწყერებით ჩახერგვით პროცესებთან. მოყვანილია მათი გეოგრაფია, დაგუბებული ტბების განაწილების რეკით, მათი ტიპების და წარმოშობის ჩვენებით. ილ.1, ცხრ.1, ლიტ.დას.7.

UDC 556.55

Geography of lakes of Georgia, blocked up in geological past ./S.Gorgijanidze/.
Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.162-170.
Georg.: Summ.Georg., Eng., Russ.

Blocked up lakes, origin of which is connected with tectonic processes, mountain landslides and avalanches, river and landslip block ups, etc. are

considered, as well as their physical geography supplied with the map of their distribution indicating type, conditions and origin of these lakes.Fig.1,Tab.1,Ref.7.

УДК 556.55

География запрудных озер завального происхождения, образовавшихся в геологическом прошлом Грузии. /Горгиджанидзе С.Г./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.162-170. – Груз.; рез. Груз.,Анг.,Русск.

Характеризуются завальные озера, происхождение которых связано с тектоническими процессами, сопровождающимися горным и ледниковым обвалами, а также с снеголавинными, речными и оползневыми завалами и др. Даётся их география с картой распределения завальных озер, с указанием типов и условий их происхождения.Рис.1,таб.1,лит.7.

უაკ 551.577

ნ.კოჭლაძაზაშვილი

შიდა ტენის გამოთვლის მეთოდი მდინარეების
 არაბგის, მსნის, ლეხურასა და ლიახვის ყყალშემპრები
 აუზების მაგალითები

ტენბრუნვა წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან პროცესს ბუნებაში. პიდროლოგიაში შედატერიტორიული ტენბრუნვა კვლევის აუცილებელ საგანს წარმოადგენს და მისი შესწავლის შედეგებს დიდი ოქორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ამ საკითხის ინტენსიური შესწავლა დაიწყო 70-იან წლებში კაშინის, პოლოსიანის, ბუდიკოს და დორზდოვის მიერ ყოფილი სერტ ეპროპული ნაწილისათვის, რომელიც წარმოადგენს ვაკე ტერიტორიას [1,2]. ამ ტერიტორიაზე გაზომილი ნალექების და ჩამონადენის, აგრეთვე აორთქლების გამოთვლილი მონაცემებით, შეფასებული იქნა ტენბრუნვის კოეფიციენტის მნიშვნელობები. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს აუზის გარედან შემოსული წყლის ორთქლის ნაკადიდან რა ნაწილი გარდაიქმნა აუზის წყალშემკრებზე მოსულ ნალექებად. მთიანი რაიონებისთვის ტენბრუნვის კოეფიციენტის შეფასება არ ჩატარებულა. მოცემულ ნაშრომში გამოთვლილია კოეფიციენტის მნიშვნელობები კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ ფერდობის მდინარეთა წყალშემკრები აუზებისათვის (მდ. არაგვი, ქსანი, ლეხურა, ლიახვი), რაც მეტად მნიშვნელოვანია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

შემოთავაზებული გამოთვლის მეთოდი ემყარება ფაქტიური დაკვირვების მასალებს ნალექებზე და ჩამონადენზე (ცხრ.1). ნალექები დახასიათებულია მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემებით. ჩამონადენისათვის გამოყენებულია განსაზღვრულ პიდროლოგიურ კვეთებისათვის ჩამონადენის მნიშვნელობათა დამოკიდებულება აუზის საშუალო სიმაღლესთან, იგი მოცემულია გრაფიკის სახით ნახ.1ზე. აორთქლების მნიშვნელობა (Q_z) დაგენილ იქნა წყლის ბალანსის მეთოდით გაზომილი ნალექების (Q_x) და გრაფიკიდან ჩამოდებული ჩამონადენის (Q_y) მნიშვნელობათა მიხედვით:


$$Q_z = Q_x \cdot Q_y. \quad (1)$$

როგორც ცნობილია, სადგურზე გაზომილი ნალექების მონაცემები შეიცავს მოცემულ რეგიონში გარედან შემოსული ორთქლის მასებისაგან წარმოქმნილ ნალექებს (Q_x^b) და შედა, ადგილობრივი ორთქლის მასებისაგან წარმოქმნილ ნალექებს (Q_x^m).

$$Q_x = Q_x^b + Q_x^m. \quad (2)$$

၁၆၂၅၃၀ ၁၆၂၅၃၁ ၁၆၂၅၃၂ ၁၆၂၅၃၃ ၁၆၂၅၃၄ ၁၆၂၅၃၅ ၁၆၂၅၃၆ ၁၆၂၅၃၇

	Q_x^b	Q_x^a	$Q_x^b = (Q_x^a + Q_x^b)/2$	$K_T = Q_x^a/Q_x^b$	$K_a = 100 Q_x^b/Q_x^a$	$Q_x^b = aQ_x^a + b$	$K_T = Q_x^a/Q_x^b$	$K_a = 100 Q_x^b/Q_x^a$	$Q_x^b = aQ_x^a + b$	$K_T = Q_x^a/Q_x^b$	$K_a = 100 Q_x^b/Q_x^a$	$Q_x^b = aQ_x^a + b$	$K_T = Q_x^a/Q_x^b$	$K_a = 100 Q_x^b/Q_x^a$
բարեկարգություն	550	516	13.6	476	40	278	185	54	283	182	54	283	182	54
միջնաշառություն	727	682	10.2	492	190	436	1.56	64	422	1.61	62	422	1.61	62
բարեկարգություն	760	745	9.6	685	60	352	1.83	54	391	1.64	60	391	1.64	60
բարեկարգություն	862	598	9.5	508	90	344	1.73	57	352	1.69	58	352	1.69	58
բարեկարգություն	922	681	9.7	441	240	460	1.48	67	422	1.66	61	422	1.66	61
բարեկարգություն	1070	932	7.8	612	320	626	1.49	67	632	1.47	67	632	1.47	67
բարեկարգություն	1119	966	7.8	774	192	579	1.66	60	661	1.49	68	661	1.49	68
բարեկարգություն	1325	1195	6.7	715	480	837	1.42	70	853	1.40	70	853	1.40	70
բարեկարգություն	1325	1044	6.4	564	480	762	1.37	72	727	1.43	69	727	1.43	69
բարեկարգություն	1760	1247	4.3	467	780	1013	1.23	81	1077	1.15	86	1077	1.15	86
բարեկարգություն	1910	1200	4.6	280	920	1060	1.13	88	1038	1.15	86	1038	1.15	86
բարեկարգություն	1970	843	2.9	113	730	786	1.07	93	808	1.04	95	808	1.04	95
բարեկարգություն II	2198	1452	2.1	282	1170	1311	1.10	90	1319	1.10	90	1319	1.10	90
բարեկարգություն	2240	1054	1.9	124	930	992	1.06	94	985	1.07	93	985	1.07	93
չպահպանվող սպառակարգություն	2395	1503	-0.2	123	1380	1442	1.04	96	1142	1.04	95	1142	1.04	95



ნახ.1.მდინარეების დიდი ლიახვი,
ქსანის, ლეხურას, მეჯუდას (მრ. 1)
და არაგვის (მრ. 2) ჩამონადენის
(h) დამოკიდებულება აუზის საშუ-

ალო სიმაღლეზე (H).

თუ გავითვალისწინებთ [2]ში მოცემულ შეფასებას და ჩავთვდით, რომ ადგილობრივი აორთქლების ხარჯზე წარმოშობილი ატმოსფერული ხალქები ტოლია მოცემულ მთლიან ტერიტორიაზე აორთქლების შედეგად წარმოქმნილი წყლის ორთქლის ნახევრისა, მაშინ მივიღებთ:

$$Q_x^m = 0.5 Q_z. \quad (3)$$

(1)განტოლების (3)-ში ჩასმით გვაქვს:

$$Q_x^m = 0.5 (Q_x Q_y), \quad (4)$$

ე.ო. რეგიონში აორთქლების შედეგად წარმოშობილი ატმოსფერული

ნალექების ტოლია სადგურზე გაზომილი ნალექებისა და ჩამონადენის სხვაობის ნახევრის.

(4)დან Q_x^b ის ფორმულა (2)-ში ჩასმით მივიღებთ

$$Q_x = Q_x^b + 0.5(Q_x \cdot Q_y).$$


აქედან:

$$Q_x^b = Q_x \cdot 0.5Q_x + 0.5Q_y = 0.5(Q_x + Q_y). \quad (5)$$

ე.ო. გარედან შემოსული ნოტით მასებიდან წარმოქმნილი ნალექების რაოდენობა უდრის საერთო ნალექებისა და ჩამონადენის ჯამის ნახევარს.

Q_x^b სიდიდეს უკავშირდება ტერიტორიაზე მოსული ნალექების რაოდენობა, რომელიც გრაფიკულად ასახულია ნახ. 2-ზე წრფივი დამოკიდებულების სახით. მოცემულ დამოკიდებულებათა თანახმად, რაც უფრო მეტია გაზომილი ნალექების რაოდენობა და რაც ნაკლებია ჰაერის ტემპერატურა, მით მეტია გარედან შემოსული ნაკადიდან წარმოქმნილი ნალექების რაოდენობა. ეს დამოკიდებულება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ემპირიული ფორმულით:

$$Q_x^b = aQ_x + b, \quad (6)$$



ნახ.2. გარედან მოსული ნალექების (Q_x^b) დამოკიდებულება მოსულ ნალექთა რაოდენობაზე (Q_x)

სადაც, a არის წრფის დახრილობის კუთხის ტანგენი, ხოლო b მონაკვეთის სიდიდე, რომელიც აღებულია გარედან მოსული ნალექების დერძზე კოორდინატთა სათავიდან გადაკვეთის წერტილამდე. ნახაზის თანახმად $a=0,84$, ხოლო b ს მნიშვნელობა დამოკიდებულია ტემპერა-

ტურაზე. კერძოდ, ორცა ტემპერატურის მნიშვნელობა ასეთ საზღვრებშია: $t \leq 0^{\circ}$, $0.13 \cdot 0^{\circ}$, $3.15 \cdot 0^{\circ}$ და $t > 5^{\circ}\text{B}_\text{J}$, მაშინ, შესაბამისად, $b=180, 100, 30150$.

მოცემული (5) და (6) ფორმულებით გამოთვლილი კოეფიციენტის მნიშვნელობათა შედარებამ ფაქტურ სიდიდეებთან მოგვცა ცდომილება 11% დღე, საშუალოდ კი იგი ტოლი აღმოჩნდა 5% ს, რაც ნაკლებია დასაშეგ ცდომილებაზე. ამიტომ, ფორმულა (6) შეიძლება გამოვიყენოთ პრაქტიკაში, გარედან მოსული ნალექების გამოსათვლელად.

უნდა აღვნიშნოთ, რაც უფრო მცირეა ტერიტორია, მით უფრო დიდია გარედან შემოსული ორთქლისაგან წარმოქმნილი ნალექების როლი შედა ტერიტორიულ ტენდენციაში. ტერიტორიის გაზრდასთან ერთად, იზრდება ადგილობრივი ორთქლისგან წარმოქმნილი ნალექების წვლილი ტენდენციაში.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, როდესაც გვეცოდინება საღვრუზე გამოზომილი ნალექების სიდიდე, ამ თორი მახასიათებლის გამოყენებით გამოთვლილი აორთქლების მნიშვნელობები, ადგილად შეგვიძლია განვაზღვროთ ფარდობა:

$$K_T = Q_x / Q_x^b, \quad (7)$$

რომლის შეფასება მთავარ ამოცანას წარმოადგენს პიდოლოგიური კვლევის სფეროში და, კერძოდ, შიდაკონტინენტური და შიდატერიტორიული ტენდენციის შესწავლაში. მას ტენდენციის კოეფიციენტს უწოდებენ და იგი აღინიშნება K_T -თი [1,2]. ასეთი სახით გამოთვლილი ტენდენციის კოეფიციენტი აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონისთვის მერყეობს $1,04$ დან (≥ 0) $1,85$ მდე (მუხრანი). დროზღვის, ბუდიკოს და სხვათა მიხედვით, გარედან მოსული ორთქლისგან წარმოქმნილი ნალექების წილი საერთო ნალექებში, რომელიც შეიძლება ით აღვნიშნოდ, გამოითვლება ფორმულით [1,2]:


$$K_h = 100 \cdot Q_x^b / Q_x. \quad (8)$$

ტენდენციის კოეფიციენტის სიდიდე მთიან რეგიონებში მცირდება ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად, რადგან ამ მიმართულებით იზრდება გარედან მოსული ნალექების ორგენობა ადგილობრივი აორთქლების შემცირების ხარჯზე და უახლოვდება მოსული საერთო ნალექების რაოდენობას.


საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, აგებულ იქნა გრაფიკები K_T და K_h ტენიანობის კოეფიციენტების დამოკიდებულებისა ადგილის სიმაღლეზე (ნახ.3). წერტილებთან დატანილია პაერის ტემპერატურის მნიშვნელობები. ასევე, შედგენილ იქნა გრაფიკული კავშირი თვით K_h ტენდენციის კოეფიციენტსა და მის შესაბამის K_T სიდიდეს შორის,

პიდონოლოგია – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

რომელიც გვაძლევს საშუალებას გამოვითვალით გარედან მოსული ჰაერის მასებისაგან წარმოქმნილი ნალექების წილი შიდა ტერიტორიულ ტებარუნვაში (ნახ. 3 და 4).



ნახ.3. K_T (მრუდი 1) და K_n (მრუდი 2) დამოკიდებულება ადგილის, სიმაღლეზე (H) და K_T დამოკიდებულება K_n-ზე (მრუდი 3). წერტილებთან ნაჩვენებია ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელობები.



ნახ.4. K_n ტენიანობის კოეფიციენტის (მრ. 1) და ტენიანობის პროცენტული სიდიდის K_T (მრ. 2) დამოკიდებულება ჰაერის ტემპერატურაზე (t).

წარმოდგენილი დამოკიდებულებები ხასიათდებიან მაღალი კორელაციური კოეფიციენტით, რომელიც თავისთვად გვიჩვენებს კვლევის დადგებით შედეგიანობას.

მიღებული მონაცემების შემდგომ ანალიზში ყურადღება მიექცა ტენიანობის კოეფიციენტების ცვალებადობის კანონზომიერების გამოვლენას მაფორმირებული ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, ნახ. 3 და 4-ე მოყვანილი დამოკიდებულებებით

$$K_T=f_1(H), \quad K_n=f_2(H), \quad (10)$$

$$K_T=f_3(t), \quad K_n=f_4(t), \quad (11)$$

შეიძლება განვსაზღვროთ K_T სა და K_n ს შორის არსებული კავშირი
 $K_n=f_5(K_T), \quad (12)$

რომლის გრაფიკული წარმოდგენა ნაჩვენებია ნახ. 3-ე (მრ. 3). ეს დამოკიდებულება ასახავს მრუდხაზოვან კლებად ფუნქციას, რომლის ანალიზური გამოსახულებაა შემდეგი ფორმულა:

$$K_n=C/K_T^m. \quad (13)$$

აქ C და m ემპირიული პარამეტრებია, მათი რიცხვითი მნიშვნელობებია $C=2$, და $m=0,43$. ე.ი. $K_n=2/K_T^{0,43}$.

დამოკიდებულებიდან $K_n=f_5(K_T)$ ჩანს, რომ იგი იზრდება სიმაღლის შემცირებასთან ერთად და გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$K_T=2 \cdot 36(10^5H). \quad (14)$$

მეორე დამოკიდებულებასაც აქვს წრფივი სახე. ის მნიშვნელობა იზრდება სიმაღლის ზრდასთან ერთად და გამოისახება ფორმულით:

$$K_n=1.42 + 232 (10^6H) . \quad (15)$$

თუ ავილებთ (13) და (15) ფორმულების ჯამს და მასში ჩაისვამთ თუ მნიშვნელობას ფორმულა (14)-დან, გარდაქმნის საფუძველზე, მივიღებთ უფრო საიმედო ფორმულას:

$$K_n=0.71+116 (10^6H)+[2 \cdot 36 (10^5H)]^{0,43} . \quad (16)$$

ფორმულა (16) მეტად მნიშვნელოვანია, რადგან განსაზღვრავს მთაან რეგიონში ნებისმიერ სიმაღლეზე გარედან შემოსული ტენიო წარმოქმნილი ნალექების წილს საერთო ნალექებში და გვაძლევს საშუალებას დასაშვები სიზუსტით შევაფასოთ ტენიანობის კოეფიციენტის მნიშვნელობა მოცემული წყალშემკრებისათვის.

ლიტერატურა REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Мировой водный баланс и водные ресурсы. Л.,Гидрометеоиздат, 1974, 638 с.
2. Чеботарев А.И. Общая гидрология (воды суши). Л.,Гидрометеоиздат, 1975, 544 с.

უაკ 551.577

შიდატენბორუნვის გამოვლის მეთოდი მდინარეების არაგვის, ქსნის, ლეხეურასა და ლიახვის წყალშემკრები აუზების მაგალითზე. /ნ.გოჭ-

ლამაზაშვილი/. პმის შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.171-178. –ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მოყვანილია ტენბრუნგის კოეფიციენტის გამოთვლის შედეგები 15 პიდონოგეტეოროლოგიური საძგურისა და საგუშაგოს მრავალწლიური მონაცემების გამოყენებით. დადგენილია კოეფიციენტების ცვლილების კანონზომიერებანი ადგილის სიმაღლისა და ჰაერის ტემპერატურასთან მიმართებაში. შემოთავაზებულია ემპირიული სტატისტიკური ფორმულები ტენბრუნგის კოეფიციენტების გამოსათვლელად რეგიონის ნებისმიერი ადგილისათვის, რომელთა საფუძველზე შეიძლება გამოვიანგარიშოთ აუზის ტერიტორიაზე „შიდა“ და „გარე“ ნალექების რაოდენობა, შევაფასოთ მათი როლი აუზის ტენბრუნგაში. ილ.4,ცხრ.1,ლიტ.დას.2.

UDC 551.577

Method for the estimation of moisture circulation within the river basin. Case study for the watersheds of Aragvi, Ksani, Lekhura and Liakhvi rivers.
/N.Kochlamazashvili/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.171-178.Georg.: Summ.Georg., Eng., Russ.

Results of calculation of moisture circulation coefficient according to many year data of 15 hydrometeorological stations and posts are presented. On their basis, main regularities of coefficient variation with the altitude and air temperature have been established. Empirical statistical formulae are suggested to calculate moisture circulation coefficients over any territory of the region and on their basis amount of local and outer precipitation may be estimated as well as its role in water circulation within the basin.Fig.4,Tab.1,Ref.2.

УДК 551.577

Метод расчета внутреннего влагооборота на примере бассейнов рек Арагви, Ксаны, Лехура и Лиахви. /Кочламазашвили Н.Л./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.171-178. – Груз.; рез. Груз.,Анг.,Русск.

Приведены результаты расчета коэффициента влагооборота по много-летним данным 15 гидрометеорологических станций и постов. Установлены основные закономерности изменения коэффициентов с высотой местности и температурой воздуха. Предложены расчетные эмпирикостатистические формулы для расчета коэффициентов влагооборота на любой территории региона, с помощью которых можно вычислить количество «местных» и «внешних» осадков, выпавших на водосборе, оценить их роль во влагообороте внутри бассейна Рис.4,таб.1, лит.2.

უკა 551.578.48
ლ.ქალაძე

საქართველოს ტერიტორიის ზოგადსამიში

ზეგასამიში რეგიონების საზღვრების და ზეგასამიშროების ხარისხის დადგენა ამ რეგიონების ტერიტორიაზე გვაგაქტიურობის თავისებურებათ გამოვლენის აუცილებლობას განაპირობებს. ამავე დროს, ზვავსაშიში რეგიონების საზღვრების დადგენასთან ერთად, გვავსაშიშროების ხარისხის განსაზღვრა გლაციოლოგიური კვლევის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

ტერიტორიის ზვავაქტიურობის გამოვლენის მეთოდების განხილვამდე მიზანშეწონილად მიგანია ტერმინი „ტერიტორიის ზვავაქტიურობის“ განმარტება, რადგან მას ხშირად ტერმინ „ტერიტორიის ზვავსაშიშროებასთან“ აიგივებენ. ტერიტორიის ზვავსაშიშროება გვიჩვენებს, თუ ტერიტორიის რა ნაწილია ზვავსაშიში, ანუ ტერიტორიის რა ნაწილზე შეიძლება გავრცელდეს ზვავის მოქმედება. ტერიტორიის ზვავაქტიურობა კი გვიჩვენებს, თუ ტერიტორიის რა ნაწილზე შეიძლება წარმოიქმნეს ზვავი, ანუ ტერიტორიის რა ნაწილია აქტიური ზვავის წარმოქმნის თვალსაზრისით. ზვავსაშიშმა არემ შეიძლება მოიცვას როგორც ზვავაქტიური, ისე არაზვავაქტიური ტერიტორიაც, რადგან ზვავაქტიურ ტერიტორიაზე წარმოქმნილი ზვავი შეიძლება არაზვავაქტიურ ტერიტორიაზეც გავრცელდეს. საერთოდ, ზვავშემკრცხი მთლიანად ზვავსაშიშია, მაგრამ ამავე დროს მისი სამი შემადგენლი ნაწილისაგან ზვავის კერა ყოველთვის არის ზვავაქტიური, ზვავსადგნი (ზვავის კალაპოტი) ძირითადად ზვავაქტიური, ხოლო ზვავის გამოზიდვის კონცენტრაცია კი უშეტესად არაზვავაქტიური (მისი ზედაპირის დახრილობა ხშირად ნაკლებია 15%ზე და ამრიგად, მასზე არ შეიძლება წარმოიქმნას ზვავები). ამასთან, ზვავაქტიური ტერიტორია შეიძლება არაზვავსაშიშიც კი იყოს. ეს იმ შემთხვევაში, როცა არსებობს დიდი დახრილობის მქონე უტყეო ფერდობი (ზვავაქტიურობის უტყეარი პირობები), მაგრამ მასზე ზვავები არ წარმოიქმნება იმის გამო, რომ მთანი რეგიონის ამ ნაწილში არ მოდის ზვავების წარმოქმნისათვის საქმარისი რაოდენობის თოვლი ან საერთოდ თოვლი აქ არ დაიკვირვება.

ამრიგად, ზემოთაღნიშნულიდან შეიძლება დაგისკნათ, რომ ტერიტორიის ზვავსაშიშროება გვიჩვენებს, თუ ტერიტორიის რა ნაწილზე შეიძლება გავრცელდეს ზვავი, ხოლო ტერიტორიის ზვავაქტიურობა თუ ტერიტორიის რა ნაწილზე შეიძლება წარმოიქმნას ზვავი.

ტერიტორიის ზვავაქტიურობის გამოვლენა საშუალებას იძლევა დადგენილი იქნას მთიანი სისტემის, მდინარის აუზის, ან ცალკეული ფერდობის რა ნაწილზე შეიძლება წარმოქმნას ზვავი, ანუ მათი რა ნაწილი დგბულობს აქტიურ მონაწილეობას ზვავის წარმოქმნასა და გავრცელებაში.

ზვავაქტიური ცალკეული ფერდობის და თვით ცალკეული ზვავ-შემკრების სახდერების დადგენისა და მათი მსხვილმასშტაბიან რუკებსა და გეგმებზე ცალკე გამოსახვის მრავალი მეორე არსებობს. ამავე დროს დიდი ფართობის მქონე ტერიტორიისათვის (მთიანი სისტემა, მდინარის აუზი და სხვ.), ზვავსაშიშროების დადგენის დროს, ზვავაქტიური ტერიტორიის ცალკე გამოყოფა და მისი საშუალო და წვრილმასშტაბიანი კარტოგრაფიულება შეუძლებელია. აღნიშნული ვითარება იმითად განპირობებული, რომ ცალკეულ ფერდობზე და თვით ცალკეულ ზვავშემკრების ფარგლებშიც კი სშირია ზვავაქტიური და არაზვავაქტიური მონაკვეთების მონაცელეობა. დიდი ფართობის მქონე ტერიტორიის ზვავსაშიშროების რუკების შედგენის დროს ზვავაქტიური და არაზვავაქტიური მონაკვეთების სშირი მონაცელეობის გამოსახვის საშუალებას მასშტაბი არ იძლევა. გარდა ამისა, ზვავაქტიური ტერიტორიის გავრცელებასა და ფართობზე ამჟამად არსებული ფაქტიური მონაცემები მთიანი რეგიონების ტერიტორიის ზვავსაშიშროების ხარისხის შესაფასებლად არასაკმარისია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ტერიტორიის ზვავაქტიურობის დადგენა, ძირითადად, წარმოებს ზვავშარმომქნელი ფაქტორების (რელიეფი, მცენარეული საფარის და სხვ) თავისებურებების ანალიზის საფუძველზე, ხოლო ზვავაქტიური ტერიტორიის სიდიდის ანუ მისი სვედრითი წილის გამოსახვა რეკებზე არა აბსოლუტურ, არა-მედ შეფარდებით სიდიდეებში.

დიდი ტერიტორიის ზვავაქტიურობის გამოვლენას ყველა მკვლევარი ზვავაქტიური ფერდობებისა და საერთოდ, ფერდობების ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებების ანალიზის საშუალებით ცდილობს, კერძოდ კი, ზვავაქტიური ფერდობის ფართობის შეფარდებით საერთო ფართობთან (გამოსახულს პროცენტებში), მაგრამ თვითონ ტერიტორიის ზვავაქტიურობის სახელწოდება და მისი დადგენის მეორედები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ტერიტორიის ზვავაქტიურობაზე, როგორც ზვავსაშიშროების ხარისხის ერთერთ ძირითად განმსაზღვრელ მახასიათებელზე, კცომაიამ და კაბდუშელიშვილმა ყურადღება ჯერ კიდევ 1968 წელს გაამახვილეს და შეიმუშავეს ტერიტორიის ზვავაქტიურობის (ზვავსაშიშროების კოფიციენტის სახელწოდებით) დადგენის მეთოდი სათანადო ფორმულით. მ.ზალისანოვმა გაანალიზა რა ტერიტორიის ზვავაქტიურობის დადგენის მეთოდები, დასკვნა, რომ „მხოლოდ მახასიათე-

ბელს, რომელიც გამოხატავს ტერიტორიის ზვავაქტიური ფართობის შეფარდებას საერთო ფართობთან, შეუძლია მეტნაკლებად ობიექტურად მოგცეს მოცემული ტერიტორიის ზვავსაში შროების რაოდენობრივი დახასიათება. ეს დახასიათება შეიძლება გამოყენებულ იქნას შედარებითი ან პრაქტიკული მიზნებისათვის. ამიერკავკასიის ტერიტორიისათვის ასეთი დარაიონების მეოთხი შემოთავაზებული იქნა გცომაიასა და კაბდუშელიშვილის მიერ (1968)".


უკანასკნელი წლები, დაწყებული 1971 წლიდან, ზვავების მნიშვნელოვანი გააქტიურებით ხასიათდება, რამაც საქართველოს მოსახლეობას დიდი მატერიალური ზარალი მიაექნა და მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. განსაკუთრებით 1971 წლის ოქტომბერი, 1976 და 1987 წლების იანვარი გამოირჩოდა, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლა დაიკვირვებოდა, მათი მაქსიმალური გავრცელება ცნობილ საზღვრებს მნიშვნელოვნად გასცდა. ამ ზვავების დინამიურმა მახასიათებლებმაც არსებულ მაქსიმალურ სიდიდეებს გადააჭარბა. სწორედ ამ წლებში ჩვენს მიერ მოპოვებული სავალე მასალების ანალიზმა მოგვცა საშუალება ვ-ცომაიასა და კაბდუშელიშვილის მიერ შემუშავებული ტერიტორიის ზვავაქტიურობის დადგენის მეოთხში მოყვანილი ფორმულის ცალკეული პარამეტრები დაგვეზუსტებინა, რის შემდეგ ფორმულამ შემდეგი სახე მიიღო:

$$K = (af_{ut} + bf_{ty}) / F^* \cdot 100 , \quad (1)$$

სადაც K არის ტერიტორიის ზვავაქტიურობა %ში; f_{ut} უტყვეო, 15^0 ე მეტი დახრილობის მქონე ფერდობის ფართობი; f_{ty} ტყიანი, 15^0 ე მეტი დახრილობის მქონე ფერდობის ფართობი; F იმ მონაკვთის ფართობი (კმ^2), რომლის სათვისაც განისაზღვრება ტერიტორიის ზვავაქტიურობა; a და b – ემპირიული პარამეტრებია; წიწვოვანი ტყით დაფარული ფერდობებისათვის $b=0,04$, შერეული ტყის დაფარული ფერდობისათვის $b=0,06$, ფოთლვანი ტყით დაფარული ფერდობისათვის $b=0,08$, $a=0,8$.

მოყვანილი ფორმულის საშუალებით, მსხვილმასშტაბიან რუკებზე, თითოეული კვადრატული კილომეტრისათვის, გამოთვლილი იქნა ტერიტორიის ზვავაქტიურობა, რამაც საშუალება მოგვცა შეგვეღვინა საქართველოს ტერიტორიის ზვავაქტიურობის რუკა (ნახ.1). რუკაზე გამოყოფილია როგორც ნულოვანი ზვავაქტიურობის ტერიტორია, ასევე ზვავაქტიურობის სხვადასხვა სიდიდის მქონე რაიონები. კარტომეტრულმა სამუშაოებმა საშუალება მოგვცა ტერიტორიის ზვავაქ-

ტიურობის თავისებურებები დაგვეძგინა როგორც მთლიანად საქართველოსათვის, ასევე ცალკეული მდინარეთა აუზებისათვის.



რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია (სადაც გამორიცხულია ზვავების წარმოქმნა), საქართველოს მთლიანი ფართობის 43% უკავია. რაიონის ზედა საზღვარი განსაკუთრებით დაბალ აბსოლუტურ სიმაღლეზე (40400 მ) დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადის, რაც რელიეფის თავისებურებით არის განპირობებული. დასაკლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებში შავშეთის, მესხეთის, გაგრისა და ბზიფის ქედების ფერდობებზე ზვავები თითქმის ყველგან შეიძლება წარმოქმნას,

რადგან ფერდობების დახრილობა 50% აღემატება. ამ რეგიონებში ტერიტორიის ზვავაქტიურობა მხოლოდ ზავი ზღვის მიმდებარე ვიწრო ზოლშია ნულის ტოლი. მდინარეების ჭოროხის, უკეკარას, ბზიფის, გუმისთის ხეობებში ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია ზღვის დონიდან 4050 მმდე, ხოლო დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში — ზღვის დონიდან 100400 მმდე. აღმოსავლეთ საქართველოში ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია მდ. ალაზნის მარცხენა შენაგადების აუზებში ზღვის დონიდან 550700 მმდე, ხოლო სხვა მდინარეების აუზებში უფრო მაღალ ნიშნულზე გადის და მდინარეების ქვაბლიანის, აბასთუმნის, დიდი ლიახვისა და ორის ხეობებში ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია ზღვის დონიდან 10001200 მმდე.

დასავლეთ საქართველოში რაიონი, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია, მოიცავს რეგიონის მთლიანი ფართობის 33%ს (საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 15%ს). აღნიშნულ რაიონს უკავია, ძირითადად, კოლხეთის დაბლობი, მისი მოსაზღვრე დამრეცი (15°ზე ნაკლები დახრილობის მქონე) ფერდობები, ზღვისპირა ვიწრო ზოლი აჭარისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე. დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში მოცემულ რაიონს უკავია მცირე ფართობის მქონე ცალკეული უბნები დიდი მდინარეების ცალკეული ტერასები, მოსწორებული ზედაპირები და დიდი მყინვარების ცალკეული მონაკვეთები. დასავლეთ საქართველოში რაიონს შედარებით მცირე ფართობი უკავია იმ მდინარეთა აუზებში, რომელთა უმეტესი ნაწილი მდებარეობს საშუალომთიან და მაღალმთიან ზონებში, მდ. ბზიფის აუზში უკავია მოელი ფართობის მხოლოდ 3%, მდ. ჭოროხის აუზში 10%, მდ. კოდორის აუზში 10%, ხოლო მდ. ენგურის აუზში 20%. გამონაპლის წარმოადგენს მდ. რიონის აუზი (მთელი ფართობის 37%), რაც გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ ამ მდინარის აუზის მნიშვნელოვანი ნაწილი კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს.

აღმოსავლეთ საქართველოში რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია, უკავია რეგიონის მთლიანი ფართობის 52% (საქართველოს ფართობის 28%) და მოიცავს შედა ქართლის, ქვემო ქართლისა და ალაზნის ვაკეებს, ივრის ზეგანსა და ცივგომბორის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის ფერდობებს, ახალციხის ქვაბულს. რაიონს მნიშვნელოვანი ფართობი უკავია საშუალომთიან და მაღალმთიან ზონაშიც ჯავახეთის პლატოსა და მდინარეების მაშავერას, ხრამისა და ალგეთის აუზებში.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ნულოვანი ზვავაქტიურობის ტერიტორიების ფართობებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ბუნებრივი პირობებით არის გამოწვეული, კერძოდ, რელიეფის თავისებურებით აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ

საქართველოსთან შედარებით, დამრეც (15⁰წე ნაკლები დახრილობის მქონე) ფერდობებს გაცილებით მეტი ფართობი უჭირავს.

რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა 20%-ზე ნაკლებია (ზვავაქტიურია ფერდობთა 20%-ზე ნაკლები), უკავია საქართველოს მთლიანი ფართობის 28%; ის განსაკუთრებით ფართო გავრცელებით ხასიათდება დასავლეთ საქართველოში, სადაც რეგიონის მესამედზე მეტს (მთლიანი ფართობის 35%) მოიცავს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მას რეგიონის მთლიანი ფართობის მხოლოდ 23% უჭირავს. დასავლეთ საქართველოში ასეთი რაიონის შედარებით დიდი მასშტაბები განპირობებულია წიწვოვანი და შერეული ტექნიკის ფართო გავრცელებით, როგორც აჭარაიმერეთის მთიანი სისტემის დასავლეთი ნაწილის, ასევე კავკასიონის მთავარი ქედისა და მისი სამხრეთი განშტოებების დაბალმთიან და საშუალომთიან ზონებში. დასავლეთ საქართველოში რაიონს განსაკუთრებით დიდი ფართობი უჭირავს მდ. ჭოროხის აუზში (აუზის მთლიანი ფართობის 47%), მდ. ბზიფის აუზში (44%), მდ. კოდორის აუზში (39%), მდ. რიონის აუზში (35%); შედარებით მცირე ფართობი (მთლიანი ფართობის 20%) მდ. ენგურის აუზში, რაც იმითავ გამოწვეული, რომ მდ. ენგურის აუზის დიდი ნაწილი მთლიანი ფართობის 45% მაღალმთიან ზონაში მდებარეობს და ამ უტევო, ციცაბო ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა 20%-ზე მეტია. რაიონს განსაკუთრებით მცირე ტერიტორია (მთლიანი ფართობის 17%) უკავია მდ. ხობის აუზში, სადაც ზვავაქტიურია მთლიანი ფართობის მხოლოდ 30%. აღმოსავლეთ საქართველოში მოცემულ რაიონს აუზების მთლიანი ფართობის 2029% უკავია; მათ შორის მდ. მტკვრის აუზში 29%, მდ. ხრამის აუზში 25% და მდ. ალაზნის აუზში 20%. განსაკუთრებით მცირე ფართობი (10%) რაიონს მდ. იორის აუზში უჭირავს და ეს გასაგებია, რადგან მოცემული მდინარის აუზში ზვავაქტიურია მთლიანი ფართობის მხოლოდ 24%.

საქართველოს მთლიანი ფართობის 12% მოდის რაიონზე, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა არის 2040%. ის ძირითადად მოიცავს ტყის დაფარულ საშუალომთიან ზონაში მდებარე ტერიტორიას და შედარებით დიდი ფართობი უკავია იმ მდინარეთა აუზებში, რომელთა ტერიტორიის უმეტესი ნაწილი საშუალომთიან ზონაში მდებარეობს. მდ. ჭოროხის აუზში რაიონს უკავია მთლიანი ფართობის 34%, მდ. ცხენისწყლის აუზში 22%, მდ. ბზიფის აუზში 21%, მდ. არაგვის აუზში 18%, მდ. კოდორის აუზში 17%, მდ. ენგურის აუზში 15%; რაიონს განსაკუთრებით მცირე ტერიტორია (მთლიანი ფართობის 58%) უკავია მდინარეების ალაზნის, ხრამის, იორისა და ხობის აუზებში.

რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა დიდია (4060%), საქართველოს ტერიტორიის 8% უკავია. მას შედარებით მნიშვნელოვანი ფართობი იმ მდინარეთა აუზებში უჭირავს, რომლებიც სათავეებს იღებენ კავკასიონის მთავარი ქედის ფერდობებზე. რაიონი მოიცავს უტყეო ან მეჩხერტყიან ტერიტორიას და მისი უდიდესი ნაწილი სუბალკურ ზონაში მდებარეობს. მას დიდი ტერიტორია (აუზის მთლიანი ფართობის 1522%) უჭირავს მდინარეების ბზიფის, კოდორის, ენგურის, არაგვის, ცხენისწყლის, თერგის, ასას, არღუნის, პირიქითა ალაზნისა და ოუშეთის ალაზნის აუზებში, ხოლო დანარჩენი მდინარეების (ხობი, რონი, ჭოროხი, მტკვარი, იორი, ალაზანი, ხრამი) აუზებში რაიონი მთლიანი ფართობის მხოლოდ 39%-ს მოიცავს.

ტერიტორიის ზვავაქტიურობა ანუ ზვავაქტიური ფერდობების წილი დიდ ფარგლებში 0დან 80%მდე იცვლება. თვით უტყეო, ციცაბო ფერდობების ზვავაქტიურობაც კი არ აღემატება 80%-ს, ე.ი. ასეთი ფერდობების 20% მაინც არაზვავაქტიურია. უტყეო, ციცაბო ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა მაქსიმალურია და აღწევს 6080%-ს. რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა 6080%-ია საქართველოს მთლიანი ფართობის 9% უჭირავს. ის განსაკუთრებით დიდ ტერიტორიას (აუზის მთლიანი ფართობის 66%) მოიცავს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე მდინარეების თერგის, ასას, არღუნის, პირიქითა ალაზნისა და ოუშეთის ალაზნის აუზებში, რაც აისხება იმ ფაქტორით, რომ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ძირითადად, ამ მდინარეების სუბალკური და ალპური ზონის უტყეო, ციცაბო ფერდობები მდებარეობს და ასეთ ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ცხადია, ძალზე დიდია. კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი მდებარე საქართველოს ტერიტორიის იმ რაიონს, სადაც ზვავაქტიურობა 6080%-ს შეადგენს, განსაკუთრებით დიდი ფართობი (აუზის მთლიანი ფართობის 30%) მდ. ენგურის აუზში უჭირავს, რაც ბუნებრივია, რადგან ამ აუზის 45% მაღალმთიან ზონაშია, ხოლო აუზის მთიანი (მდ. მაგანის შესართავის ზემოთ მდებარე) ნაწილის 95%-ზე ზედაპირის დახრილობა 150° აღემატება. რაიონს შედარებით დიდი ტერიტორია (მთლიანი ფართობის 1419%) იმ მდინარეთა (ბზიფი, კოდორი, ცხენისწყლი, არაგვი) აუზებში უკავია, რომელთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალმთიან ზონაში მდებარებს; ის შედარებით მცირე ტერიტორიაზე (მთლიანი ფართობის 24%) კრცელდება მდინარეების ხობის, იორის, ხრამის, შავი ზღვის მცირე შენაკადებისა და ჭოროხის აუზებში.

უკ 551.578.48

საქართველოს ტერიტორიის ზვავაქტიურობა. /დ.ქალდანი/. ჰმის შრომათა ქრებული. – 2001. – ტ. 106. –გვ.179-187. –ქართ.;რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შემუშავებული მეთოდის გამოყენებით დადგენილია საქართველოს ტერიტორიის ზვავაქტიურობა. გამოყოფილია რაიონები, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა არის: 20%-ზე ნაკლები, 20–40%, 40–60%, 60%-ზე მეტი. ამ რაიონების შესაბამისად საქართველოს მთლიანი ფართობის 28, 12, 8 და 9% უკავიათ.

არაზაგაპტოურია საკვლევი ტერიტორიის 43%, კერძოდ ის ნაწილი, რომლის ზედაპირის დახრილობა 15⁰ არ აღვმატება.

რაიონები 20%-ზე ნაკლები და 20–40%-ის ზვავაქტიურობით, ძირითად მოცავენ დასავლეთ საქართველოს დაბალმომიანი და საშუალომომიანი ზონების ტყიან ფერდობებს და აღმოსავლეთ საქართველოს საშუალომომიან ზონას. აღნიშნულ რაიონებს განხსა-ჯუთრებით დიდი ტერიტორია (21–47%) უკავია მდინარეების ბზიფის, ცენტრალური და ჭოროხის აუზებში. შაშუალომომიანი ზონის უტემდა და მეჩეთრტყიანი ციცაბო ფერდობები და სუბალპური ზონის ფერდობები უკავია რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა არის 40–60%. აღნიშნულ რაიონს უჭირავს მდინარეების ბზიფის, კოდორის, ენგურის, ცენტრალური და არაგვის, ასას, პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის აუზებში მოლიანი ფართობის 15–22%. უტემდა დამრეც, ძირითადად, მაღალმომიან ზონაში მდებარე ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა აღწევს 70–80%. რაიონი, ტერიტორიის 60–80% ზვავაქტიურობით, მდინარეების თერგის, ასას, არღუნის, პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის აუზებში ფართობის 66%ს მოცავს, ხოლო მდებარეობის აუზში – 30%ს. ზემოთ აღნიშნული მდინარეების აუზების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოირჩევა დიდი აბსოლუტური სიმაღლეებით და ფერდობების დახრილობით, რითაც არის გამოწეული ამ აუზების ტერიტორიის უდიდესი ზვავაქტიურობა. ი. 1.

UDC 551.578.48

The avalanche activity of the territory of Georgia /L.Kaldani/.Transactions of the Institute of Hydrometeorology.2001.V.106.p.179-187. Georg.:Summ.Georg., Eng., Russ.

The avalanche activity of the territory of Georgia has been determined on the basis of the method, worked out by the scientists of the Institute of Hydrometeorology. The areas with less than 20%, 20-40%, 40-60% and over 60% of avalanche activity have been separated, covering 28, 12, 8 and 9% of a total area of Georgia, respectively.

43% of the territory under investigation is not avalanche active, particularly, that part of it, the inclination of the surface of which does not exceed 15°.

Areas of less than 20% and 2040% avalanche activity occupy mainly the slopes of low mountain and middle mountain zones of Western Georgia, covered by forests and middle mountain zones of Eastern Georgia. Indicated areas occupy particularly large territories (2147%) in the basins of Bzipi, Tskhenistskali and Chorokhi rivers. The forestless and steeply inclining slopes with scarce forest of middle mountain zones, as well as subalpine zone slopes constitute the region with avalanche activity 4060%. This region occupies 1522% of a total area of the basins of Bzipi, Kodori, Enguri, Tskhenistskali, Aragvi, Asa, Pirikita Alazani and Tushetis Alazani rivers. The area of 6080% avalanche activity makes 66% of the territory in the basins of Tergi, Asa, Arguni, Pirikita Alazani and Tushetis Alazani rivers, and in the basin of the River Enguri this value makes 30%. Considerable part of abovementioned river basins is distinguished for its great absolute altitude and inclination of slopes, stipulating the substantial avalanche activity of these territories.Fig.1.

УДК 551.578.48

Лавиноактивность территории Грузии. /Калдани Л.А./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.179-187. – Груз.; рез. Груз., Анг.,Русск.

На основе метода, разработанного сотрудниками Института гидрометеорологии, установлена лавиноактивность территории Грузии. Выделены районы с лавиноактивностью территории: менее 20%, 2040%, 4060%, более 60%, которые занимают соответственно 28,12,8 и 9% всей площади Грузии.

Нелавиноактивной является 43% изучаемой территории, крутизна поверхности которой не превышает 15°.

Районы с лавиноактивностью территории менее 20% и 2040%, в основном, занимают лесные склоны низкогорной и среднегорной зоны Западной Грузии и среднегорной зоны Восточной Грузии. Данные районы особенно большие территории (2147% всей площади Грузии) занимают в бассейнах рек Бзыбь, Цхенисцкали и Чорохи. Безлесные и редколесные крутые склоны среднегорной зоны и склоны субальпийской зоны занимает район с лавиноактивностью территории 4060%. Данный район в бассейнах рек Бзыбь, Кодори, Ингуре, Цхенисцкали, Арагви, Терек, Асса, Пирикита Алазани, Тушетис Алазани занимает 1522% всей площади. На безлесных крутых, расположенных, в основном, в высокогорной зоне склонах лавиноактивность территории достигает 7080%. Район с лавиноактивностью 6080% охватывает 66% площади бассейнов рек Терек, Асса, Аргун, Пирикита Алазани, Тушетис Алазани и 30% бассейна р. Ингуре. Значительная часть бассейнов вышеуказанных рек отличается большой абсолютной высотой и крутизной склонов, чем и вызвана наибольшая лавиноактивность территории этих бассейнов. Рис.1.

უაკ 551.578.46

ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე

საქართველოს ტერიტორიის დარაიონება თოვლიანობის
მიხედვით

ტერიტორიის თოვლიანობას განსაკუთრებით კარგად ახასია-
თებს მოსული თოვლის რაოდენობა და თოვლის საფარის სიმაღლე.

თოვლის საფარის მახასიათებლების დროსა და სივრცეში
ცვლილების დასადგენად გამოყენებული იქნა საქართველოს ტერი-
ტორიაზე მდებარე ყველა მეტეოროლოგიური სადგურისა და საგუშა-
გოს მრავალწლიური მონაცემები და თოვლის მარშრუტული აგებ-
მვის მასალები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში თოვლის სა-
ფარის სიმაღლეზე დაკვირვების ბოლო წლების (განსაკუთრებით
197576, 198687 და 198889 წლების ზამთრები) მონაცემებმა თოვლის სა-
ფარის მაქსიმალური სიმაღლის განაწილებაში დიდი შესწორება შეი-
ტანა. საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე, აღნიშნულ
წლებში, თოვლის საფარის სიმაღლემ მანამდე აღრიცხულ აბსოლუ-
ტურ მაქსიმუმს მნიშვნელოვნად გადააჭარბა [15]. რიწაზე 1976 წელს
თოვლის საფარის სიმაღლემ მიაღწია 490 სმს (მანამდე აღრიცხული
თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის 190%), ფსხუში 1976 წელს
290 სმს (121%), მესტიაში 1987 წელს 298 სმს (199%), ლენტებში 1976
წელს 295 სმს (167%), ხოლო 1987 წელს 390 სმს (220%), ლებარდეში
1976 წელს 456 სმს (144%), ხოლო 1987 წელს 480 სმს (149%), შოვ-
ში 1987 წელს 365 სმს (163%), წიფაში 1989 წელს 119 სმს (118%),
ხელოში 1989 წელს 318 სმს (131%), მთა საბუეთში 1989 წელს 269
სმს (117%), ჯვრის უღელტეხილზე 1987 წელს 455 სმს (136%), ყაზ-
ბეგში 1976 წელს 112 სმს (102%), ოდალოში 1987 წელს 140 სმს
(107%), მანგლისში 1993 წელს 82 სმს (126%), რადიონოვგაში 1988
წელს 147 სმს (127%), გოდერძის უღელტეხილზე 1989 წელს 336 სმს
(118%).

საქართველოს ტერიტორიაზე მყარი ნალექების დაკვირვება
მხოლოდ მცირერიცხოვან მეტეოროლოგიურ სადგურებზე ხდება და
ამ სადგურებზეც დაკვირვების პერიოდი დიდი ხანგრძლივობით არ
გამოირჩევა. ცხადია, აღნიშნული სადგურების დაკვირვების მასალები
მყარი ნალექების დროსა და სივრცეში ცვლილების დასადგენად
არასაკმარისია [5]. კარგ შედეგს იძლევა, პაერის ტემპერატურასა და
ატმოსფერულ ნალექებზე არსებული მონაცემების საშუალებით,
მყარი ნალექების გამოვლის ვცომაის მიერ შემუშავებული მეთო-
დი [6]. ვცომაის მეთოდის საშუალებით დაკვირვების მრავალწლიანი

პერიოდის მქონე ყველა მეტეოროლოგიური სადგურისათვის გამოთვლილი იქნა თვითონეული ზამთრის მყარი ნალექების რაოდენობა.

მყარი ნალექების რაოდენობის და თოვლის საფარის სიმაღლის დროში ცვალებადობის (რყევის) გამოსავლენად მრავალწლიური (სადგურებსა და პოსტებზე დაკვირვების მთელი პერიოდის) მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილი იქნა მათი ზღვრული მაქსიმალური და მინიმალური, აგრეთვე საშუალო მნიშვნელობები. მყარი ნალექების რაოდენობისა და თოვლის საფარის სიმაღლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიდიდეების დადგენით ვსაზღვრავთ მათი დროში ცვალებადობის (რყევის) საზღვრებს. სივრცეში (საქართველოს ტერიტორიაზე) თოვლის საფარის სიმაღლისა და მყარი ნალექების რაოდენობის ცვლილებების თავისებურებათა გამოსაჭლენად აგებული იქნა მათი მნიშვნელობების ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან დამოკიდებულების გრაფიკები.

ჩატარებული სამუშაოების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თოვლიანობის მიხედვით გამოიყოფა ოთხი რაიონი: განსაკუთრებით უხვოვლიანი, უხვოვლიანი, საშუალო-თოვლიანი და მცირეოვლიანი. თითოეული გამოყოფილი რაიონისათვის ადგილი აქვს მყარი ნალექებისა და თოვლის საფარის მახასიათებლების ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით ცვლილების თითქმის ერთნაირ კანონზომირებებს.

თოვლიანობის მიხედვით ტერიტორიის დარაიონების დროს მხედველობაშია მიღებული მოსული მყარი ნალექებისა და თოვლის რაოდენობა თანაბარი აბსოლუტური სიმაღლის მქონე ტერიტორიაზე და არა საერთოდ, რადგან, ცხადია, რომ ბაბმაროში (1920 მ) და ჯვრის უღელტეხილზე (2395 მ) გაცილებით მეტი რაოდენობის მყარი ნალექი მოდის, კიდრე შავი ზღვის სანაპიროზე.

დასახელებულ რაიონებში მყარი ნალექებისა და თოვლის საფარის მირითადი მახასიათებლების ცვლილების გამოსავლენად აგებული იქნა ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან მყარი ნალექების რაოდენობის, თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლეების დამოკიდებულების გრაფიკები და შედგენილი იქნა შესაბამისი განტოლებები.

ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან მყარი ნალექების საშუალო მრავალწლიური რაოდენობის დამოკიდებულების განტოლებებს აქვთ შემდგენ სახე:

$$\text{განსაკუთრებით უხვოვლიან რაიონში} \quad X=0,69HH + 8; \quad (1)$$

$$\text{უხვოვლიან რაიონში} \quad X=0,45HH \quad 113; \quad (2)$$

$$\text{საშუალო-თოვლიან რაიონში} \quad X=0,38HH \quad 230; \quad (3)$$

$$\text{მცირეოვლიან რაიონში} \quad X=0,21HH \quad 193; \quad (4)$$

(14) ფორმულებში X არის მყარი ნალექების სეზონური რაოდენობა მმში, ხოლო ადგილის აბსოლუტური სიმაღლე მში; თოთვეული განტოლებისათვის კორელაციის კოეფიციენტი ტოლია 0.85–0.90, ხოლო განტოლებების ცდომილება არ აღემატება 1335 მმს.

თოვლის საფარის საშუალო მრავალწლიური სიმაღლის (h) დამოკიდებულება ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან (H) გამოისახება შემდგარ განტოლებებით:

განსაკუთრებით უხვოვლიან რაიონში

$$h=2,3588HH+0,0046HH^2+0,0925; \quad (5)$$

უხვოვლიან რაიონში

$$h=0,1428HH+0,5762HH^2+0,4478; \quad (6)$$

საშუალოთოვლიან რაიონში

$$h=0,1081HH+0,4265HH^2+0,1651; \quad (7)$$

მცირეთოვლიან რაიონში

$$h=0,4621HH+0,316HH^2+0,3073. \quad (8)$$

(5)(8) ფორმულებში h არის თოვლის სიმაღლე მმი, ხოლო H ადგილის აბსოლუტური სიმაღლე კმში. მოყვანილ განტოლებებში კორელაციის კოეფიციენტები ტოლია 0.80–0.85, ხოლო განტოლების ცდომილება 530 სმს არ აღემატება.

ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით თოვლის საფარის საშუალო სიმაღლის, აგრეთვე მყარი ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილების განტოლებებიდან კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელოვანია განსხვავება განსაკუთრებით უხვოვლიან, უხვოვლიან, საშუალოთოვლიან და მცირეთოვლიან რაიონებს შორის თოვლიანობისა და მყარი ნალექების მახასიათებლების მიხედვით. აქეთ უნდა აღნიშნოთ ის ფაქტი, რომ მოსაზღვრე რაიონებს შორის მეტორი საზღვარი არ არსებობს, ერთიდან მეორეში გადასვლა თანდათანობით ხდება; თოვლის საფარის სიმაღლისა და მყარი ნალექების რაოდენობის ადგილის სიმაღლეზე დამოკიდებულების გრაფიკის ფორმაცირთი რაიონიდან მეორეში გადასვლისას თანდათან იცვლება.

განსაკუთრებით უხვოვლიან რაიონს უკავია შავი ზღვის მიმდებარე საქართველოს ჩრდილოდასავლეთი, დასავლეთი და სამხრეთდასავლეთი ტერიტორია, სადაც ზღვის ნოტიო ჰაერის მასები შედარებით დაუბრკოლებლად აღწევენ მას. იგი მოიცავს დასავლეთ კავკასიონისა და მისი სამხრეთი განშტოებების (გაგრის, ბზიფის, აფხაზეთისა და კოდორის ქედები), აგრეთვე აჭარაიმერეთის მთიანი სისტემის დასავლეთი ნაწილის (მესხეთისა და შავშეთის ქედების დასავლეთი ნაწილი) ფერდობებს, კოლხეთის დაბლობის დასავლეთ

ნაწილს. განსაკუთრებით უხვთოვლიანი რაიონის ჩრდილოეთ ნაწილს აღმოსავლეთიდან მდ. ენგურის აუზის დასავლეთი ნაწილი, ხოლო სამხრეთ ნაწილს ბახმაროსულოს მერიდიანის დასავლეთის მხრიდან მიმდებარე ტერიტორია ესაზღვრება.

გეოგრაფთა გარკვეული ნაწილის აზრით, საქართველოში მყარი ნალექებისა და თოვლის განსაკუთრებით დიდი სიუხვით მხოლოდ აჭარის დასავლეთი ნაწილი (მთა მტირალა და მისი მიმდებარე ტერიტორია) გამოიჩინება. 197576 და 198687 წლების უხვთოვლიანი ზამთრის მონაცემებმა დაამტკიცა, რომ საქართველოში არსებობს ერთი განსაკუთრებით უხვთოვლიანი რაიონი, რომელიც შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიას დასავლეთ კავკასიონისა და მისი სამხრეთ განშტრებების, აგრეთვე მესებთისა და შავშეთის ქედების დასავლეთი ნაწილის ფერდობებს მოიცავს. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს განსაკუთრებით უხვთოვლიანი რაიონის დასავლეთიდან მოსაზღვრე მდ. მზიმთის აუზში მდებარე აჩიშხეოში ჩატარებული დაკვირვების მასალებიც.

განსაკუთრებით უხვთოვლიან რაიონში მყარი ნალექების საშუალო სეზონური რაოდენობა იცვლება 16 მმდან (მახინჯაური) 877 მმდე (ცისკარა); ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100 მზე 6570 მმს შეადგენს. მყარი ნალექების მაქსიმალური რაოდენობა იცვლება 392 მმდან 1426 მმდე (გრადიენტი 100105 მმ), ხოლო მინიმალური რაოდენობა 13 მმდან 616 მმდე (გრადიენტი 5055 მმ). ტერიტორიის თოვლიანობის მახასიათებლებს მყარი ნალექების თავისებურება განაპირობებს; თოვლის სიუხვე ან სიმცირე მყარი ნალექების რაოდენობაზეა დამოკიდებული. მყარი ნალექების რაოდენობას კი პაერის ტემპერატურა და ატმოსფერული ნალექები განაპირობებს.

განსაკუთრებით უხვთოვლიანი რაიონის სამხრეთ ნაწილში, ჩრდილოეთ ნაწილთან შედარებით, ზღვის დონიდან ერთი და იგივე სიმაღლეზე, როგორც მთელი წლის, ასევე ცივი პერიოდის განმაღლობაში მოსული ნალექების რაოდენობა მეტია და პაერის ტემპერატურაც უფრო მაღალია. ამ რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში დაბალი ტემპერატურის დროს მოსული ნალექების ნაკლები რაოდენობა იმდენივე მყარი ნალექსა და თოვლს იძლევა, რამდენსაც განსაკუთრებით უხვთოვლიანი რაიონის სამხრეთ ნაწილში შედარებით მაღალი ტემპერატურის დროს მოსული ნალექების მეტი რაოდენობა.

განსაკუთრებით უხვთოვლიან რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება 113 სმდან (მახინჯაური) 751 სმმდე (აჩიშხეო), საშუალო სიმაღლე 32დან 481 სმმდე, ხოლო მინიმალური სიმაღლე 1 სმდან 235 სმმდე. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100 მზე დაბალმთიან ზონაში შეადგენს 4054 სმს, ხოლო საშუალომთიან ზონაში 1520 სმს; თოვ-

ლის საფარის საშუალო სიმაღლის ვერტიკალური გრადიენტი კი პირიქით საშუალომთიან ზონაში დიდია (3035 სმ), ხოლო დაბალმთიან ზონაში 1317 სმს არ აღემატება. თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლის ვერტიკალური გრადიენტი დაბალმთიან ზონაში არის 56 სმ, ხოლო საშუალომთიან ზონაში 2530 სმ. აღნიშნულ რაიონში, ზღვის დონიდან 400500 მზე მაღლა მდებარე ტერიტორიაზე თოვლი ყოველ ზამთარში მოდის; 1000 მზე მაღლა მდებარე ტერიტორიაზე ზამთარში მოსული თოვლის სიმაღლე ყოველთვის აღემატება 4050 სმს, ხოლო 15001600 მზე მაღლა მდებარე ტერიტორიაზე 190200 სმს.

განსაკუთრებით უხვოოვლიან რაიონში დიდია თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი, როგორც ერთი თოვის დროს, ისე დღედამეში. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის საფარის სიმაღლის მაქსიმალურმა ნამატმა ავადხარაზე შეადგინა 212 სმ (1931.01.1953 წ.), ცისკარაზე 329 სმ (31.0110.02.1960 წ.), რიჭაზე 155 სმ (47.01.1976 წ.), ფსხუში 164 სმ (1219.01.1976 წ.), ქედაში 195 სმ (1624.02.1985 წ.). თოვლის საფარის სიმაღლის დღედამეში ნამატი ავადხარაზე იყო 99 სმ (2425.01.1964 წ.), ფსხუში 96 სმ (34.03.1943 წ.), ქედაში 80 სმ (3112.1987 წ. 1.01.1988 წ.). ერთი თოვის დროს თოვლის საფარის სიმაღლის ნამატის განმეორადობა დიდი ცვალებადობით ხასიათდება. თოვლის საფარის სიმაღლის 30 სმზე მეტი ნამატით თოვის განმეორადობა შეადგენს ყველა თოვის 3040%ს, 50 სმზე მეტი ნამატით 3035%ს, 100 სმზე მეტი ნამატით 1020%ს, ხოლო 200 სმზე მეტი ნამატით მხოლოდ 23%ს. ცალკეულ უხვოოვლიან ზამთარში რამდენიმე თოვა დაიკვირვება თოვლის სიმაღლის დიდი ნამატით. ასე მაგალითად, ცისკარაზე 195960 წწ. ზამთარში ოთხჯერ იყო ისეთი თოვა, როცა თოვლის საფარის სიმაღლის ნამატმა გადააჭარბა 140 სმს; რიჭაზე 197576 წწ. ზამთარში 120 სმზე მეტი თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი სამჯერ აღინიშნა. მოედ საკვლევ ტერიტორიაზე ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად თოვლის საფარიან დღეთა რაოდენობის კანონზომიერი ზრდა აღინიშნება. ზღვის დონიდან 100 მზე დაბლა მდებარე ტერიტორიაზე თოვლის საფარიან დღეთა საშუალო რაოდენობა არის 520, 100 მდან 500 მმდე 2050, 500 მდან 1000 მმდე 5080. თოვლის საფარიან დღეთა მატების ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100 მზე არის 1213 დღე. საკვლევი რაიონის ცალკეულ საშუალომთიან რეგიონებში, უხვოოვლიან ზამთარში, თოვლი 57 თვე დევს. ასე, მაგალითად, ცისკარაზე 196364 წწ. ზამთარში 10 სმზე მეტი ისმაღლის თოვლი იდო 183 დღე, 100 სმზე მეტი 136 დღე, 200 სმზე მეტი 109 დღე, 300 სმზე მეტი 78 დღე, 400 სმზე მეტი 59 დღე, 500 სმზე მეტი 21 დღე, ხოლო 600 სმზე მეტი 1 დღე.

უხვოოვლიან რაიონს უკავია განსაკუთრებით უხვოოვლიანი რაიონის აღმოსავლეთით მდებარე დასავლეთ საქართველოს ტერი-

ტორია, ანუ დასავლეთ საქართველოს უმეტესი ნაწილი, რომელიც მოიცავს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილს და მდინარეების ენგურის, ხობის, რიონის, სუფსის აუზების მთიან ნაწილს, აგრეთვე მდ. აჭარისწყლის აუზის აღმოსავლეთ ნაწილს.

უხვოვლიან რაიონში მოსული მყარი ნალექების რაოდენობა კლებულობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ზავი ზღვის გავლენის შემცირების გამო; მისი რაოდენობა შედარებით ნაკლებია ჩაგრილ რეგიონებში (მდინარეების ენგურის, რიონის, აჭარისწყლისა და მათი მთავარი შენაკადების სათავეები მიმდებარე ტერიტორიით), რაც ოროგრაფიით არის განპირობებული.

უხვოვლიან რაიონში მყარი ნალექების საშუალო სეზონური რაოდენობა იცვლება 32 მმდან (ხარაგაული) 726 მმდე (ბახმარო); ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100 მზე შეადგენს 4045 მმს. მყარი ნალექების მაქსიმალური რაოდენობა იცვლება 285 მმდან 1197 მმდე (გრადიენტი 6070 მმ), ხოლო მინიმალური რაოდენობა 36 მმდან 300 მმდე (გრადიენტი 1520 მმ).

უხვოვლიანი რაიონის ტერიტორია, განსაკუთრებით უხვოვლიან რაიონთან შედარებით, უფრო დაშორებულია ზავი ზღვისაგან და, ამრიგად, ზღვის ნოტიო ჰაერის მასებისაგანაც, ამიტომ, აქ თოვლის საფარის სიმაღლე უფრო ნაკლებია. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება 111 სმდან (ქუთაისი) 580 სმმდე (ბახმარო), საშუალო სიმაღლე 32 სმდან 300 სმმდე, ხოლო მინიმალური სიმაღლე 6დან 115 სმმდე. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის მატების ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100 მზე განსაკუთრებით დიდია (4045 სმ) ზღვის დონიდან 300400 მმდე, უფრო მაღლა ის მცირდება და შეადგენს 2025 სმს. თოვლის საფარის საშუალო სიმაღლის მატების ვერტიკალური გრადიენტი დაბალმოიან (300 მზე დაბლა, და საშულომოიან (10001100 მზე მაღლა) ზონებში შედარებით დიდია და შეადგენს 2025 სმს, თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლის მატების ვერტიკალური გრადიენტი 1500 მზე დაბლა მდებარე ტერიტორიაზე 35 სმს შეადგენს, ხოლო უფრო მაღლა მდებარე ტერიტორიაზე 1520 სმს.

უხვოვლიანი რაიონის ცალკეულ რეგიონებში, მაგალითად, მდ. ენგურისა და მდ. რიონის აუზების შედარებით ჩაკეტილ ნაწილებში, განსაზღვრულ აბსოლუტურ სიმაღლეებს შორის მდებარე ტერიტორიაზე, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად კი არ იზრდება, არამედ კლებულობს; თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე, მდ. ენგურის აუზში ზღვის დონიდან 1200 მზე იყო 516 სმ (ლახამულა), 1270 მზე 421 სმ (ბეჭო), 1441 მზე 298 სმ (მესტია), ხოლო მდ. რიონის აუზში 544 მზე 154 სმ (ამბოლაური), 788 მზე 127 სმ (ონი); თრივე მდინარის აუზ-

ში, უფრო მაღლა მდებარე ტერიტორიაზე, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება. აღნიშნული მდგომარეობა განპირობებულია ოროგრაფიის გავლენით, კერძოდ, ეგრისის, სვანეთის, ლეჩეუმისა და რაჭის ქედების ზემოქმედებით, რომლებიც აღნიშნული აუზების განსაზღვრულ ნაწილში ხელს უშლიან ზღვის ნოტიო ჰაერის მასების დაუბრკოლებლად გავრცელებას.

უხევთოვლიან რაიონში დიდია თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი, როგორც ერთი თოვისთვის, ისე დღედამეში. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის საფარის მაქსიმალურმა ნამატმა ქუთაისში შეადგინა 111 სმ (27.12.1988 წ. 5.01.1989 წ.), წიფაში 228 სმ (31.02.1959 წ.), ხულოში 227 სმ (25.12.1988 წ. 6.01.1989 წ.), ლებარდეში 333 სმ (20.12.1986 წ. 10.01.1987 წ.), ბახმაროში 314 სმ (31.01.11.02.1985 წ.). თოვლის საფარის სიმაღლის დღეგლამური მაქსიმალური ნამატი ქუთაისში იყო 65 სმ (45.01.1989 წ.), წიფაში 72 სმ (12.01.1989 წ.), ხულოში 96 სმ (23.03.1975 წ.), ლებარდეში 166 სმ (13.14.01.1976 წ.), ბახმაროში 139 სმ (67.01.1950 წ.).

უხევთოვლიანი რაიონი ერთი თოვის დროს მოსული თოვლის საფარის სიმაღლის ნამატის დიდი ცვალებადობით ხასიათდება. აქ დიდია თოვლის საფარის სიმაღლის მნიშვნელოვანი ნამატის განმეორადობა. თოვის განმეორადობა თოვლის საფარის სიმაღლის 30 სმზე მეტი ნამატით შეადგენს კველა შემთხვევების 2530%ს, 50 სმზე მეტი ნამატით 2025%ს, 100 სმზე მეტი ნამატით 1015%ს, ხოლო 200 სმზე მეტი ნამატით მხოლოდ 12%ს. ცალკეულ უხევთოვლიან ზამთრებში რამდენიმე თოვა დაიკვირვება თოვლის საფარის სიმაღლის დიდი ნამატით. ასე მაგალითად, ბახმაროში 196768 წწ. ზამთარში თოხჯერ იყო ისეთი თოვა, როცა თოვლის საფარის სიმაღლის ნამატმა გადააჭარბა 100 სმს, ხოლო 196465 წწ. ზამთარში სამი თოვის დროს თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი მეტი იყო 140 სმზე; ლებარდეში 195354 წწ. ზამთარში სამჯერ იყო ისეთი თოვა, როცა თოვლის საფარის სიმაღლის ნამატმა 107 სმს გადააჭარბა.

უხევთოვლიანი რაიონის მოკლ ტერიტორიაზე, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად, ადგილი აქვს თოვლის საფარიან დღეთა რაოდენობის კანონზომიერ ზრდას. თოვლის საფარიან დღეთა საშუალო რაოდენობა იცვლება 15დან (ქუთაისი) 189 მდე (ბახმარო); თოვლის საფარიან დღეთა რაოდენობის მატების ვერტიკალური გრადენტი ყოველ 100 მზე 1011ია. ცალკეულ უხევთოვლიან ზამთარში საკვლევი რაიონის მაღალმთიან ზონაში თოვლი 78 თვე დევს.

საშუალოთოვლიან რაიონს უკავია აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთი ნაწილი, ანუ უხევთოვლიანი რაიონის მიმდებარე

ტერიტორია და მოიცავს მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების აუზებს მდ. ფრცხეოვისწყლისა და მდ. არაგვის შესართავებს შორის ამ ორი მდინარის აუზების ჩათვლით. ის შედარებით ვიწროა სამხრეთ ნაწილში, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში (კავკასიონის მთავარი ქედისა და მისი განშტრებების ფერდობები) უფრო განიერია.

საშუალოთოველიანი რაიონის ტერიტორიის დასავლეთ ნაწილზე ისევ იგრძნობა ზღვის ნოტიო ჰაერის მასების გავლენა და მათ მიერ არის გამოწვეული მყარი ნალექებისა და თოვლის შედარებით დიდი სიუხვე. მყარი ნალექების საშუალო სეზონური რაოდენობა იცვლება 94 მმდან (ბორჯომი) 680 მმდე (ჯვრის უდელტეხილი); მყარი ნალექების მატების ვერტიკალური გრადიენტი უღველ 100 მზე 3540 მმს შეადგენს. მყარი ნალექების მაქსიმალური სეზონური რაოდენობა იცვლება 146 მმდან 1396 მმდე (გრადიენტი 7580 მმ), ხოლო მინიმალური სეზონური რაოდენობა 41 მმდან 424 მმდე (გრადიენტი 2025 მმ).

საშუალოთოველიანი რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლე და სიმაღლის მატების ვერტიკალური გრადიენტი ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად კანონზომიერად იზრდება. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება 74 სმდან (გორი) 455 სმმდე (ჯვრის უდელტეხილი), საშუალო სიმაღლე 23 სმდან 232 სმმდე, ხოლო მინიმალური სიმაღლე 0დან 138 სმმდე. ზღვის დონიდან 12501350 მზე დაბლა მდებარე ტერიტორიაზე თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის მატების ვერტიკალური გრადიენტი უღველ 100 მზე არის 1015 სმ, საშუალო სიმაღლის ვერტიკალური გრადიენტი 510 სმ, ხოლო მინიმალური სიმაღლის 5 სმზე ნაკლები. ზღვის დონიდან 12501350 მზე მაღლა მდებარე ტერიტორიაზე თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის ვერტიკალური გრადიენტი არის 2025 სმ, საშუალო სიმაღლის გრადიენტი 1015 სმ, ხოლო მინიმალური სიმაღლის გრადიენტი 510 სმ.

საშუალოთოველიანი რაიონში საგმაოდ დიდია თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი, როგორც ერთი თოვლის დროს, ისე დღევამზე. ერთი თოვლის დროს მოსული თოვლის საფარის მაქსიმალურმა ნამატმა გორში შეადგინა 74 სმ (311.02.1976 წ.), ბორჯომში 85 სმ (2528.11.1964 წ.), ცხინვალში 95 სმ (22.01.3.02.1988 წ.), ფასანაურში 107 სმ (1319.01.1976 წ.), ბარისახოში 151 სმ (28.01.9.02.1956 წ.), ჯვრის უდელტეხილზე 205 სმ (511.01.1987 წ.), თოვლის საფარის დღედამური მაქსიმალური ნამატი გორში იყო 46 სმ (1011.02.1976 წ.), ბორჯომში 43 სმ (2728.11.1964 წ.), ცხინვალში 58 სმ (34.12.1967 წ.), ფასანაურში 70 სმ (12.01.1942 წ.), ბარისახოში 63 სმ (15.03.1983 წ.), ჯვრის უდელტეხილზე 121 სმ (1718.01.1968 წ.).

საშუალოთოვლიან რაიონში ერთი თოვის დროს თოვლის საფარის სიმაღლის დიდი ნამატის განმეორადობა უხვთოვლიან რაიონთან შედარებით ნაკლებია. თოვების განმეორადობა თოვლის საფარის სიმაღლის 30 სმზე მეტი ნამატით შეადგენს უკელა შემთხვევების 1520%ს, 50 სმზე მეტი ნამატით 1015%ს, 50 სმზე მეტი ნამატით 10%ზე ნაკლებს, ხოლო 100 სმზე მეტი ნამატით 1%ზე ნაკლებს.

საშუალოთოვლიან რაიონში ცალკეულ უხვთოვლიან ზამთარში რამდენიმე თოვა დაიკვირვება თოვლის საფარის მნიშვნელოვანი ნამატით. ბარისახოში 198687 წწ. ზამთარში სამჯერ იყო ისეთი თოვა, როცა თოვლის საფარის ნამატმა გადაძარბა 44 სმს. 198687 წწ. ზამთარში ჯვრის უდელტეხილზე ექვსჯერ ჰქონდა ადგილი თოვას, როცა თოვლის საფარის ნამატი მეტი იყო 44 სმზე, ხოლო სამჯერ კი ნამატი ადგმატებოდა 145 სმს. საკვლევი რაიონის მოედ ტერიტორიაზე ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად თოვლის - საფარიან დღეთა საშუალო რაოდენობა იზრდება 34 დღიდან (გორი) 218 დღემდე (ჯვრის უდელტეხილი); თოვლის საფარიან დღეთა მატების ვერტიკალური გრადიანტი ყოველ 100 მზე 89 დღეს შეადგენს.

მცირეთოვლიან რაიონს უკავია საშუალოთოვლიანი რაიონის აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ საქართველოს ტერიტორიის ჩრდილოაღმოსავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთაღმოსავლეთი რეგიონები. მცირეთოვლიანი რაიონი, ძირითადად, მოიცავს მდინარეების თერგის, ასას, არღუნის და ანდის ყოისუს აუზების საშუალო და მაღალმთიან ზონებს, იორის აუზის დაბალმთიან ზონას, აგრეთვე მდინარეების ალაზნის, ალგეთის, ქციახრამის და ფარავის აუზებს.

მცირეთოვლიან რაიონში მყარი ნალექების საშუალო სეზონური რაოდენობა 77 მმდან (დმანისი) 263 მმდე (რადიონოვაკა) იცვლება; მყარი ნალექების მატების ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100 მზე 2025 სმს შეადგენს. მყარი ნალექების მაქსიმალური რაოდენობა იცვლება 143 მმდან 453 მმდე (გრადიენტი 3540 მმ), ხოლო მინიმალური რაოდენობა 36 მმდან 165 მმდე (გრადიენტი 1520 მმ).

მცირეთოვლიან რაიონში დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასები ვერ აღწევს, რაც განაპირობებს მოსული მყარი ნალექებისა და თოვლის მცირე რაოდენობას. მცირეთოვლიან რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად კანონზომიერად იზრდება 35 სმდან (მარნეული) 147 სმდე (რადიონოვაკა); აქ თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის მატების ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100 მზე 310 სმს შეადგენს. თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე იცვლება 11 სმდან 40 სმდე, ხოლო მინიმალური სიმაღლე 0დან 10 სმმდე. დაბალმთიან და საშუალომთიან ზონებში თოვლის საფარის საშუალო და მინიმალური სიმაღლის მატების ვერტიკალური გრადიენტი ძალიან მცირეა და ყო-

ველ 100 მზე 12 სმს და 1 სმზე ნაკლებს შეადგენს, შესაბამისად. მა-
დალმთიან ზონაში თოვლის საფარის საშუალო და მინიმალური სი-
მაღლის მატება ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერ-
თად შედარებით უფრო დიდია და ყოველ 100 მზე 23 სმს შეადგენს.

მცირეთოვლიან რაიონში მცირეა თოვლის საფარის სიმაღ-
ლის ნამატი, როგორც ერთი თოვის დროს, ისე დღედამეში. ერთი
თოვის დროს მოსული თოვლის საფარის სიმაღლის მაქსიმალურმა
ნამატმა მარნეულში შეადგინა 35 სმ (711.02.1976 წ.), საგარეჯოში 45
სმ (2628.02.1962 წ.), დმანისში 48 სმ (1315.02.1984 წ.), წალკაში 58 სმ
(811.03.1970 წ.), ყაზბეგში 95 სმ (810.12.1956 წ.), ომალოში 97 სმ
(510.01.1987 წ.). თოვლის საფარის მაქსიმალური დღედამური ნამატი
მარნეულში იყო 22 სმ (89.03.1979 წ.), საგარეჯოში 29 სმ (1314.02.1984
წ.), დმანისში 47 სმ (1314.02.1984 წ.), წალკაში 36 სმ (1011.03.1965 წ.),
ყაზბეგში 65 სმ (34.02.1987 წ.), ომალოში 60 სმ (1718.01.1976 წ.).

მცირეთოვლიან რაიონში ერთი თოვის დროს მოსული თოვ-
ლის საფარის სიმაღლის ნამატი არ არის დიდი. აქ თოვის საერთო
რაოდენობის 90%-ზე მეტი ხასიათდება თოვლის საფარის 30 სმზე
ნაკლები ნამატით. თოვის განმეორადობა თოვლის საფარის სიმაღ-
ლის 30 სმზე მეტი ნამატით შეადგენს ყველა თოვის 10%-ზე ნაკლებს,
50 სმზე მეტი ნამატით 5%-ზე ნაკლებს, ხოლო 100 სმზე მეტი ნამა-
ტით 1%-ზე ნაკლებს. მცირეთოვლიან რაიონში განსაკუთრებით უხ-
ვთოვლიან ზამთრებშიც კი ერთი თოვის დროს მოსული თოვლის სა-
ფარის სიმაღლის ნამატი ნაკლებია 100115 სმზე.

მცირეთოვლიან რაიონში, ცალკეულ შედარებით უხვთოვლიან
ზამთარშიაც კი მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ დაიკვირვება თოვა
თოვლის საფარის საგრძნობი ნამატით; მაღალმთიან ზონაში მდებარე
ცხრაწყაროში 198990 წწ. ზამთარში ორჯერ იყო თოვა, როცა თოვ-
ლის საფარის საშუალო ნამატმა გადააჭარბა 69 სმს.

მცირეთოვლიანი რაიონის მოყლო ტერიტორიაზე ადგილის აბ-
სოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად თოვლის საფარიან დღეთა
რაოდენობის კანონზომიერი ზრდა შეიძნევა. თოვლის საფარიან
დღეთა საშუალო რაოდენობა იცვლება 17დან (მარნეული) 153 დღემ-
დე (რაიონონგა), თოვლის საფარიან დღეთა საშუალო რაოდენობის
მატების ვერტიკალური გრადიენტი კი, ყოველ 1000 მზე 89 დღეა.

თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური
სიმაღლის ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით ცვლილების
გრაფიკების და პიფსომეტრული რუკის გამოყენებით გამოვლენილია
თოვლის საფარის სიმაღლის ცვლილების თავისებურება საქართვე-
ლოს ტერიტორიაზე და შედგენილია შესაბამისი რუკები.

უხვთოვლიან ზამთარში საქართველოს ტერიტორიის მთლიანი
ფართობის 12,3%-ზე თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე აღემა-

ტება 400 სმს (ცხრ.1), ხოლო ამ რაიონის ცალქეულ რეგიონებში აღ-
წევს 490615 სმს; თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიმაღლეში ცისკო-
რაზე შეადგინა 615 სმ (29.01.1964 წ.), ბახმაროში 580 სმ (12.03.1959 წ.)
და 578 (3.02.1989 წ.), ლაბამულაში 516 სმ (31.12.1986 წ.), რიწაზე 490
სმ (9.02.1976 წ.). რაიონს, სადაც თოვლის საფარის მაქსიმალური სი-
მაღლე აღემატება 400 სმს, განსაკუთრებით დიდი ტერიტორია უკავია
მდინარეების ბზიფის, კოდორის, ენცურის და აჭარისწყლის აუზებში,
მნიშვნელოვანი ტერიტორია მდ. რიონისა და მდ. სუფსის აუზებში,
ხოლო მცირე ტერიტორია მდინარეების ლიახვის, ქსნისა და
არაგვის აუზებში.

ცხრილი 1 თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და
მინიმალური სიმაღლეების განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე

მაქსიმალური			საშუალო			მინიმალური		
სიმაღლე სმ	ფართობი კვ	%	სიმაღლე სმ	ფართობი კვ	%	სიმაღლე სმ	ფართობი კვ	%
< 100	19550	27.9	< 50	31110	43.0	< 30	46920	67.0
100-200	21510	30.7	50-100	18530	26.5	30-60	9200	13.2
200-300	11540	16.5	100-150	8600	12.3	60-90	7230	10.3
300-400	8800	12.6	150-200	6580	9.4	> 90	6650	9.5
> 400	8600	12.3	> 200	6180	8.8			

რაიონს დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, უკავია საშუალომ-
თიან და მაღალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორია, ხოლო აღმოსავ-
ლეთ საქართველოში მხოლოდ მაღალმთიან ზონაში მდებარე ტერი-
ტორია. კავკასიონის მთავარი ქედის დასავლეთი და ცენტრალური
ნაწილისა და მისი სამსრეო განშტოებების, მესხეთის, შავშეთისა
და არსიანის ქედების საშუალომთიან ზონაში მდებარე ფერდობების,
აგრეთვე კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთი ნაწილის და მი-
სი განშტოებების, თრიალეთის, ჯავახეთის, სამსარის ქედების მა-
ღალმთიან ზონაში მდებარე ფერდობების უმეტესი ნაწილი უკავია
რაიონებს, სადაც თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე შეად-
გენს 300400 სმს (საქართველოს მთლიანი ფართობის 12,6%) და
200300 სმს (16,5%). განსაკუთრებით დიდი ტერიტორია (საქართველოს
მთლიანი ფართობის 30,7%) უკავია რაიონს, სადაც თოვლის საფარის
მაქსიმალური სიმაღლე არის 100200 სმ. ეს რაიონი მოიცავს კოლხე-
თის დაბლობსა და მის მიმდებარე დაბალმთიან და აღმოსავლეთ სა-
ქართველოს საშუალომთიან ზონებში მდებარე ტერიტორიას. აღმო-
სავლეთ საქართველოს დაბალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორიაზე
მთლიანად და საშუალომთიან ზონაში მდებარე ტერიტორიის მნიშ-

ვნელოვან ნაწილზე თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე ნაკლებია 100 სმზე; თოვლის საფარის ასეთი სიმაღლე დამახასიათებელია საქართველოს მთლიანი ფართობის 27,9%სათვის.

თოვლის საფარზე დაკვირვების მრავალწლიანი მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიის 43% უჭირავს რაიონს, სადაც თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე ნაკლებია 50 სმზე. აღნიშნულ რაიონს დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, უკავია ზღვის დონიდან 200 მზე დაბლა მდგბარე ტერიტორია, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილში დაბალმთიანი ზონა, ხოლო სამხრეთ ნაწილში საშუალომთიანი ზონის მნიშვნელოვანი ნაწილიც. დასავლეთ საქართველოს დაბალმთიანი ზონა, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილის საშუალომთიანი ზონის ნაწილი და მაღალმთიანი ზონა უკავია რაიონებს, სადაც თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე შეადგენს 50100 და 100150 სმს; რაიონები შესაბამისად მოიცავენ საქართველოს მთლიანი ფართობის 26,5 და 12,3%ს. დასავლეთ საქართველოს საშუალომთიანი და მაღალმთიანი ზონები (კავკასიონისა და მისი სამხრეთ განშტოებების, აგრეთვე შესხეოს, შავშეთისა და არსიანის ქედების ფერდობები), აღმოსავლეთ კავკასიონის დასავლეთი ნაწილისა და მისი განშტოებების მაღალმთიანი ფერდობები უკავია რაიონებს, სადაც თოვლის საფარის სიმაღლე შეადგენს 150200 სმს ან აღმატება 200 სმს; მათ უჭირავთ საქართველოს მთლიანი ფართობის 9,4 და 8,8%, შესაბამისად. 200 სმზე მეტი თოვლის საფარის საშუალო სიმაღლის მქონე რაიონის ცალკეულ რეგიონებში (ბახმარო, ცისკარა) თოვლის საფარის საშუალო მრავალწლიური სიმაღლე აღწევს 300-344 სმს.

საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 9,5%ზე თოვლის საფარის სიმაღლე ყოველწლიურად აღმატება 90 სმს, ანუ აქ თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე მეტია 90 სმზე (ცხრ. 1). ამ რაიონის ცალკეულ რეგიონებში (ლებარდე, გუდაური, ბახმარო, ჯვრის უღელტეხილი, ცისკარა) თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე აღწევს 100145 სმს; რაიონი დასავლეთ საქართველოში მოიცავს, ძირითადად, საშუალომთიან და მაღალმთიან ზონებს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მაღალმთიან ზონას. დასავლეთ საქართველოს საშუალომთიანი, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილის საშუალო და მაღალმთიანი და სამხრეთი ნაწილის მაღალმთიანი ზონების უმეტესი ნაწილი უკავია რაიონებს, სადაც თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე არის 3060 და 6090 სმ; რაიონები შესაბამისად მოიცავენ საქართველოს მთლიანი ფართობის 13 და 10,3%ს. საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი (მთლიანი ფართობის 67%) უჭირავს რაიონს, სადაც თოვლის სა-

ვარის მინიმალური სიმაღლე ნაკლებია 30 სმზე. რაოთნი დასავლეთ საქართველოში, ძირითადად მოიცავს ზღვის დონიდან 8001000 მზე დაბლა მდებარე ტერიტორიას, ხოლო აღმოსავლეთი საქართველოში როგორც დაბალმთიან, ასევე საშუალომთიან ზონებს.

ლიტერატურა REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Абдушелишвили К.Л.,Калдани Л.А.,Салуквадзе М.Е. Труды ЗакНИГМИ, вып. 68/74, Л.,Гидрометеоиздат,1979,с.94105.
2. Папинашвили Л.К. Снежный покров и его распространение на территории Грузии. В кн.Некоторые вопросы физики атмосферных процессов.Изво "Мецниереба", Тбилиси,1974,с.7590.
3. Салуквадзе М.Е. Труды ЗакНИИ,вып.77/83,Л.,Гидрометеоиздат, 1982, с.6872.
4. Сваниძე Г.Г.,Абдушелишвили К.Л.,Калдани Л.А.,Папинашвили Л.К.,Салуквадзе М.Е.,Цомая В.Ш. Материалы гляциологических исследований.№66,М.,1986,с.6065.
5. Справочник по климату СССР.Вып.14.Влажность воздуха, атмосферные осадки,снежный покров. Л.,Гидрометеоиздат,1970,426с.
6. Цомая В.Ш. Труды ЗакНИГМИ,вып.68(74),Л.,Гидрометеоиздат, 1979, с.4856.

უაგ 551.578.46

საქართველოს ტერიტორიის დარაიონება თოვლიანობის მიხედვით.
/ლ.ქალდანი, მ.სალუქაძე/. ჰმის შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106.
–გვ.188-201. –ქართ.; რეზ. ქართ.,ინგლ.,რუს.

მყარი ნალექებისა და თოვლის საფარის მახასიათებლებზე მეტეოროლოგიური სადგურების მრავალწლიანი დაკვირვების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შესრულებულია საქართველოს ტერიტორიის დარაიონება თოვლიანობის მიხედვით. ამოყოფილია განსაკუთრებით უხვოველიანი, საშუალოთოვლიანი და მცირეთოვლიანი რაიონები. თითოეული რაიონისათვის გამოვლენილია ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან მყარი ნალექების რაოდენობისა და თოვლის საფარის სიმაღლის დამოკიდებულება და შედგენილია შესაბამისი განტოლებები.

გამოვლენილია თითოეულ რაიონში მყარი ნალექებისა და თოვლის საფარის მახასიათებლების თავისებურებანი. დადგენილია საქართველოს ტერიტორიაზე თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლის ცვლილების კანონზომიერება. ცხრ.I,ლიტ.დას.6.

UDC 551.578.46

Division into districts of the Georgian territory according to snow cover.
L.Kaldani, M.Salukvadze/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.188-201.Georg.: Summ. Georg., Eng., Russ.

The division into districts of the Georgian territory according to snow cover is carried out on the basis of the analysis of long series of observational data

characterizing solid precipitation and snow cover. There have been separated regions of particularly abundant snowfall, middle quantity of snowfall and scarce snowfall.

The analysis has shown the dependence of the depth of snow cover and the quantity of solid precipitation on the altitude and adequate formulae are derived.

The regularity of variation of maximum, medium and minimum snow cover depth over the territory of Georgia is established.Tab.1,Ref.6.

УДК 551.578.46

Районирование территории Грузии по снежности. /Калдани Л. А., Салуквадзе М.Е/ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.188-201. – Груз.; рез. Груз., Анг., Русск.

На основе анализа материалов многолетних наблюдений метеорологических станций по показателям твердых осадков и снежного покрова, проведено районирование территории Грузии по снежности. Выделены особенно многоснежные, среднеснежные и малоснежные районы. Для каждого района выявлена зависимость количества твердых осадков и высоты снежного покрова от абсолютной высоты местности и составлены соответствующие уравнения.

Выявлены особенности характеристик твердых осадков и снежного покрова для каждого района. Установлена закономерность изменения максимальной, средней и минимальной высот снежного покрова на территории Грузии. Таб.1,лит.6.

ჰიდროლოგია – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ჟრომები, ფომ № 106, 2001
TRANSACTIONS OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.#106, 2001
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ , ТОМ № 106, 2001

უაკ 551.321/322

ვ.ცომაია, ლ.პაპინაშვილი, ლ.ქალდანი

კაპასიტის ორგანულოვანი რესურსები

მსოფლიოს ბუნებრივ რესურსებში დიდ როლს ასრულებს თოვლებულში დაგროვილი წყლის მარაგი, რომლის მოცულობა 15 მლნ.კმ³ა, რაც მსოფლიო ოკეანის საერთო მოცულობის 35%ს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს არის უმაღლესი ხარისხის სუფთა წყალი, სრულიად გასაგები ხდება თუ როგორი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის გამოყენებას სამუშაოების საქმიანობაში. ამ მიმართულებით მუშაობა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაიწყო გასული საუკუნის 5060იან წლებში. თითქმის კვალგან წარმოებდა თოვლის საფარისა და მყინვარების შესწავლა. უკანასენელი 3040 წლის განმავლობაში დაგროვდა უნიკალური მასალა, რომლის ბაზაზე შეიქმნა თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე შედგენილი მყინვარების კატალოგი, თოვლის ზვავების კადასტრი, მდინარეების პიდროგრაფიული აღწერა, თოვლის საფარის სიდიდეთა ცნობარი, საშიში გლაციოპიდრომეტეოროლოგიური მოვლენების აღწერა და სხვ. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კიდევ უფრო გაფართოვდა სამუშაოები თოვლებინულოვანი რესურსების შესწავლის საქმეში და არსებულ მასალებთან ერთად მომწიფდა ატლასის შექმნის იდეა, რომლის შედგენის მეთოდოლოგიური გზები, სტრუქტურა, ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა აკადემიკოსმა ვლადიმერ კოტლიაკოვმა ითავა.

ატლასი შეიქმნა ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით. იგი წარმოადგენს მეცნიერობა დიდ დვაწლს საერთაშორისო პიდროლოგიური პროგრამის (სპპ) და საერთაშორისო გეოსფერობიოსფერულ პროგრამის (სგბპ) შესრულების საქმეში.

დასახული ამოცნის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გლაციოლოგებმა: ვ.ცომაიამ, კ.ქალდანმა, კ.აბდუშელიშვილმა, მ.სალუქვაძემ, კლიმატოლოგმა ლ.პაპინაშვილმა. გლაციოლოგებმა პრაქტიკულად ფეხით შემოიარეს მთელი კავკასია. მათ მიერ შეგროვილი დამატებითი მასალების საფუძველზე. შრომაბევვადი სამუშაოების ჩატარების შედეგად "მსოფლიოს თოვლებინულოვანი რესურსების აღლასში" კავკასიის რეგიონისათვის განთავსდა შემდგენ რუკები: "ცივი პერიოდის ხანგრძლივობა" (ი.ალიევი, მ.ზალიხანვი, ვ.ცომაია), "ზვავაქტიურობის ხარისხი", "ზვავწარმომქნელი ფაქტორები",

"ზვავების განმეორადობა", "ზვავების მოცულობა" (კ.აბდუ-შელიშვილი, ლ.ქალდანი), "ორ წელიწადში ერთხელ მოსალოდნელი ჭირხლლიპინულის შემონაფენის მასალა" (ლ.პაპინაშვილი), "ზედაპირის აბლაცია", "მყარი ნალექების სანგრძლივობა", "თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი", "თოვლის და ყინულის მარაგი" (ვ.ცომაია, რ.გობეჯიშვილი, ა.ტარიევა). ატლასი შესრულებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში. სამუშაოებს კურირებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, აგრეთვე საუწყებათაშორისო გეოფიზიკური კომიტეტი და პიდროლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია. სამუშაოები დაიწყო 1985 წლიდან.

გათვალისწინებული იქნა კავკასიის რთული პირობები, კერძოდ, ზღვის დონიდან ადგილმდებარეობის კონტრასტული სიმაღლეები, მთის სისტემების გრეხილების სტრუქტურა, ფერდობთა ექსპოზიცია და კონკრეტული ადგილის რელიეფი, რომელთა მეშვეობით ხდება პაერის მასების ცირკულაციური პროცესების შენელება ან გამძაფრება. თოვლების დონიდან რელიეფის რუკები დამუშავებული უნდა ყოფილიყო მთლიანად კავკასიის რეგიონისათვის.

აკადემიკოსმა ვ.კოტლიაკოვმა მაშინდელი ამიერკავკასიის სამეცნიეროკვლევითი პიდრომების მომდევნობის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს გ.სვანიძეს სთხოვა დაეკომპლექტებინა დარღობრივი ჯგუფი, რომელიც წარმართოვდა დასახულ სამუშაოს. ინსტიტუტმა იტვირთა ეს ძნელი საქმე და მთელი კავკასიის ტერიტორიისათვის შედგენილი იქნა რუკები, რომლებშიც წარმოდგენილია ატმოსფერული მყარი და თხევადი ნალექების, ლიპიდულის, თოვლის ზვავების, თოვლის საფარის, მყინვარებისა და მდნარი ჩამონადენის განაწილება კავკასიის ტერიტორიაზე.

მათი რაოდენობრივი სიდიდეების დასადგენად გამოყენებული იქნა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, სტავროპოლის, კრასნიდარის, ყაბარდობალყარეთის, ჩეჩენეთის, ინგუშეთის და ჩრდილო ოსეთის ტერიტორიებზე არსებულ მეტეოსადგურებსა და საგუშაგოებზე წარმოებული პიდრომების დაკვირვებების მონაცემები, რომელთა სანგრძლივობა რიგ შემთხვევებში 100 წელზე მეტია. თოვლის საფარის აგეგმვის შედეგად მიღებული მასალა მოიცავდა სხვადასხვა პერიოდს, სანგრძლივობით არა ნაკლები 2030 წელი.

მონაცემების დამუშავება შესრულდა თანამედროვე სტატისტიკური მეთოდების საფუძველზე, დაკვირვებათა მასალა გავრცობილი იქნა ექსტრაპოლაციის დახმარებით, ერთნაირ დანდშაფტურ პირობებში მყოფი სადგურების მონაცემთა დაზუსტებისათვის გამოყენებული იქნა კორელაციური ანალიზი. სიდიდეთა შეფასებისათვის

კორელაციის კოეფიციენტი არ უნდა ყოფილიყო 0,60%-ი ნაკლები. მიღებული შედეგები განიხილებოდა ატლასის რედკოლეგიასთან ერთად სამუშაო პირობებში, აგრეთვე დისკუსიებსა და სამუცნიერო კონტაქტების დროს.

ატლასის შექმნას აქტიურად უწყობდა ხელს "იუნესკო"-ს სამუცნიერო განყოფილება. სამუშაოები წარმოებდა გეოდეზიის და გეოფიზიკის საერთაშორისო ასოციაციის თოვლისა და ყინულების, აგრეთვე პიდროლოგიური კომისიების კონტროლით.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიკოსი ვ. კოტლიაკოვი სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში და წერილობით მადლობა გადაგვიხადა სამუშაოს მონაწილეებს დიდი დვაწლისათვის ატლასის შედგენაში. მან ხელი ატლასს უწოდა "წვენი საერთო ქმნილება" ("Наше общее детище") და ატლასის ერთი ეგზემპლარი საჩუქრად გადასცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტს.

ლიტერატურა – REFERENCES ЛИТЕРАТУРА

1. Атлас снежноледовых ресурсов Мира. Под редакцией В.М. Котлякова. РАН, М., 1997.

უკ 551.321.322

ძაგვასიის თოვლიულოვანი რესურსები. /ვ.ცომაია, ლ.პაპინაშვილი, ლ.ქალაძენი/. პმის შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. –გვ.202-204. –ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

სტატიაში გაანალიზებულია “მსოფლიო თოვლიულოვანი რესურსების ატლასში” მოთავსებული, ავტორების მიერ შედგენილი გლაციოლოგიური რეკები.ლიტ.დას.1.

UDC 551.321.322

Snow and glacial resources of the Caucasus. /V.Tsomaia, L.Papinashvili, L.Kaldani/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2001.V.106.p.202-204.Georg.: Summ.Georg., Eng., Russ.

The paper presents the analysis of glacial maps, elaborated by authors for the “World Atlas of Snow and Ice Resources”. Ref.1.

УДК 551.321.322

Снежноледовые ресурсы Кавказа. /Цомая В.Ш., Папинашвили Л.К., Калдани Л.А./ Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2001. – т.106. – с.202-204. – Груз.; рез. Груз., Анг., Русск.

Статья содержит анализ составленных авторами, гляциологических карт Кавказа, которые помещены в "Атласе снежноледовых ресурсов мира".Лит.1.

ს პ რ ე ვ ი

ს პ რ ე ვ ი		
1	გ.სვანიძე, გ.ცომაია, რ.მესხია საქართველოს წყლის რესურსების მოწყვლადობა და ადაპტაციის ღონისძიებები	11
2	გ.სვანიძე, გ.ჩიკვაიძე აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში სარ- წყავი წყლის დაფიციტის საკითხისათვის	30
3	ც.ბასილაშვილი, გ.ცომაია მდინარეთა ჩამონადენის პროგნოზების განახლება ინფორმაციული ქსელის შემცირების პირობებში	38
4	ნ.ბეგალიშვილი, კ. თავართქილაძე, ნ.ა.ბეგალიშვილი საქართველოს ზოგირთ მდინარეთა წყალშემცრებზე მიკროკლიმატის და ჩამონადენის საუკუნეობრივი ცვლილებების შეფასება	48
5	რ.გობეჯიშვილი, ნ.ცერცვაძე საქართველოში თოვლისა და ფირნის ხაზების მდებარეობა და დინამიკა	58
6	ვ.ცომაია, თ.ცინცაძე მდინარე რიონის წყლის მაქსიმალური ხარჯები რკინიგ- ზის გადაკვეთის უბანზე სადგურ რიონთან	67
7	დ.კერესელიძე, გ.პრიგოლია წყალსაცავებში წყლის ხარისხის განსაზღვრის სამეცნიობის შეფასება	76
8	ვ.ცომაია, მ.ფხაკაძე, ლ.პაპინაშვილი, ი.დანელოვა 1960-1970 წლების მცირე პერიოდიანი აცივების პიდრომეტ- ტეოროლოგიური თაგისებურებანი კავკასიის გლაციო- ლოგიურ ზონაში	82
9	ც.ბასილაშვილი საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების პროგნოზირება პიდროლოგიური ინფორმაციის შეზღუდულობის პირობებში	91
10	ი.გელაძე, ნ.დევდარიანი, ს.კოპაძე, გ.ჩიკვაიძე, თ.შეველიძე ოპტიმიზირებული მორწყვის ნორმები ძირითადი კულ- ტურების ზრდაგანვითარების სხვადასხვა პერიოდისათ- ვის აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში	99
11	რ.მესხია მეტეოროლოგიური კელების ობიექტები წარმოდგენის რიცხვითი გადაწყვეტა მდინარის ჩამონადენის მოდელისათვის, განაწილებული პარამეტრებით	108

პიდაროლობა – HYDROLOGY - ГИДРОЛОГИЯ

12	ლ.ქიტიაშვილი, ლ.სანებლიძე, გ.სტვილია განახლებული მონაცემები დასავლეთ საქართველოს მდინარეების მყარ ჩამონადენზე	112
13	ლ. ქალდანი, მ.სალუქვაძე, ნ.კობაძიძე ზვავშემკრებების გავრცელების სისშირე საქართველოს ტერიტორიაზე	120
14	ი.გელაძე, ნ.დევდარიანი, ს.კოპაძე, გ.ჩიკვაიძე, ო.ჭველიძე აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავა მიწებზე ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის დადგენა მირთად სასოფლო სსამურნეო პულტურათა ზრდა-განვითარების სხვადას- ხვა პერიოდისათვის	126
15	რ.ჭითანავა, გ.სტვილია, მ.ფხავაძე, ვ.ცომაია საქართველოს მდინარეების ჩამონადენის შეფასება კლი- მატის მოსალოდნებლი ცვლილების პირობებში და გაად- ვებისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ საადაპტაციო დო- ნისძიებანი	134
16	ნ.ნ. ბეგალიშვილი, კ.თავართქილაძე, ნ.ა.ბეგალიშვილი მდ. მტკვრის ჩამონადენის კლიმატურ ცვლილებათა მიმართ მგრძნობიარობის შეფასება ემპირიულ- სტატისტიკური მოდელის საფუძველზე	146
17	რ.მესხია წყლის ბალანსის სტრუქტურა ლანდშაფტის ტიპების მი- ხედვით	151
18	ც.ბასილაშვილი წყალსაცავებში ჩამდინარე წყლების პროგნოზირება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში	156
19	სგორგიჯანიძე საქართველოს გეოლოგიურ წარსულში ჩახერგვებით წარმოშობილი დაგუბებული ტბების გეოგრაფია	162
20	ნ.კოჭლამაზაშვილი შიდატენბრუნვის გამოთვლის მეთოდი მდინარეების არაგვის, ქსნის, ლეჩურასა და ლიახვის წყალშემკრები აუზების მაგალითზე	171
21	ლ.ქალდანი საქართველოს ტერიტორიის ზგავაქტიურობა	179
22	ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე საქართველოს ტერიტორიის დარაიონება თოვლიანობის მიხედვით	188
23	ვ.ცომაია, ლ.პაპინაშვილი, ლ.ქალდანი ქავასიის თოვლ-ყინულოვანი რესურსები	202

